„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№6 (234)
ივნისი
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეოცე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

## ასპინძის მატიანეში მოხსენიების 1130 წლისთავისთვის

## ასპინძა და ასპინძელობა



**მერაბ ბერიძე**

როდესაც ასპინძაზე დავფიქრებულვარ, ასეთი რამ კი იშვიათად არ მომხდარა, ჩემს ცნობიერებაში ცოცხლდება ისტორიული სურათები, შეიძლება ითქვას, ისტორია და ბავშვობა ჩემი. უცნაური სიმბიოზია ბავშვობა და ისტორია! ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის უცნაური. ჩემი თაობა ომის შემდგომ თაობას მიეკუთვნება. დღეს დიდ სამამულო ომზე, რომელსაც, მის გარკვეულ ფარგლებს, მეორე მსოფლიო ომსაც უწოდებენ, სხვადასხვაგვარი აზრია საზოგადოებაში შექმნილი, ჩამოყალიბებული. ერთნი ამბობენ, რომ ის იყო ჩვენი, ქართველების სამამულო ომი, ხოლო მეორენი კატეგორიულად უარყოფენ ამას და სხვის ომში გვიბრძოლია, ის ჩვენი არ იყოო, ბრძანებენ. თქვენ განსაჯეთ: მამა ქერჩიდან დაბრუნდა დაჭრილი, მეორედ წავიდა ფრონტზე მეგობრის გულისთვის და კვლავ გადარჩა. მამის ძმა ჩემი, ბიძაჩემი 18 წლისა დაიღუპა ომში, უგზოუკვლოდ დაღუპულთა სიაშია დღესაც. დედის ძმათაგან ორი დაიღუპა, ერთიც ნაფრონტალი დაბრუნდა. როგორ არ იყო ჩემი, ჩვენი ომი, ქართველების ომი? იყო, აუცილებლად იყო მეორე მსოფლიოც, სამამულოც და ქართველთა ომიც.

ძეგლი უნდა დავუდგათ იმ პირტიტველა ბიჭებს, თუ უდგათ, ნუ დავუნგრევთ. აი, ასეთი წინაპირობის ფონზე მოვიდა ჩვენი თაობა, 45-50-იანელები. ყველაფერი ემსახურებოდა დამთავრებული ომის იდეოლოგიზაციას. მამაჩემის შინელი, კოლმეურნეობის თავმჯდომარის გალიფე შარვალი და „ცარსკები“ მახსენებდა, რომ რუხი ფერის სამოსი ომიდან დაგვრჩენოდა და პატივი უნდა გვეცა მისთვის. ორად გაყოფილები ერთმანეთს ომობანას თამაშის დროს რომ ვუპირისპირდებოდით, ვცდილობდით, „ჩვენებში“ მოვხვედრილიყავით, არავის უნდოდა „გერმანელობა“, მაგრამ გაყოფა გაყოფა იყო და ვიღაცა ფაშისტი იყო, ვიღაცა - წითელარმიელი. ბევრი რამ აკლდა ჩვენს თაობას, მაგრამ გვქონდა ერთი უმთავრესი რამ, ეს იყო იმედი მომავლისა! როგორც დამარცხდა ფაშიზმი, ასე დავამარცხებდით ნებისმიერ მტერს! ეს იყო სულისკვეთება ჩვენი ბავშვური ცხოვრებისა. თითქოს პესიმიზმის ნიაღვარს უნდა წაელეკა მომავალი, მაგრამ ასე არ მოხდა. ასიათასობით ქართველი ვაჟკაცი დაეცა ამ ომში, ეს ხომ ჩვენი გენოფონდი იყო, მათ უნდა გაეგრძელებინათ ქართველობა, მაგრამ ვინც დაბრუნდა, ცხოვრების სახსრის ძიებასთან ერთად გამრავლებასა და მომავალზეც ფიქრობდა. ასე მოვიდა ომგამოვლილი გენიდან ჩვენი თაობა. ალბათ სტატისტიკა თავის ადგილზე დასვამს ნებისმიერ ემოციასა და ლოგიკას, მაგრამ ამჯერად სტატისტიკის გარეშეც ნათელია ყველაფერი. ომის შემდგომი თაობის ბავშვებისგან ასპინძის სკოლაში პარალელური კლასები იქმნებოდა, მე თავად ვიყავი „ა“ კლასელი, ვიღაცები იყვნენ „ბ“ კლასელები. შედით იმავე სკოლაში დღეს და ნახავთ, რამდენი ბავშვია, შეადარეთ ყოველგვარი სტატისტიკის გარეშე, გაავლეთ პარალელი და ყველაფერი ნათელი გახდება. მთელი მე-20 საუკუნე ასპინძისათვის, საქართველოსათვის ომების, მომავალი თაობის გაუფრთხილებლობის, თავისი ქვეყნისგან უზრუნველად გაწირვის საუკუნეა. ამიტომ არის ჩემთვის ბავშვობა მთელი ისტორიის ტოლფასი. მაშინ ვიყავი ჩემი ქვეყნის, ასპინძის და ჩემი ოჯახის ნაწილი. არ მინდა პესიმისტური ნოტა გაჟღერდეს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ახალი არაფერი მომხდარა მე-20 საუკუნეში – ხან ჩვენს ომში ვიბრძოდით, ხან – სხვისაში. ბევრი დროშის ქვეშ გვიქნევია ხმალი, პოლიტიკა ოხერი რამ არის, თავად პოლიტიკას ცბიერი და ავანტიურისტი პოლიტიკოსები ქმნიან, შედეგი კი 18-20 წლის ბიჭების მხრებსა და თავებზე გადის.

ყველას კარგად ახსოვს, რა საშინელი სიტყვა იყო „ავღანეთი“, როდესაც რუსული დროშის ქვეშ ვიბრძოდით. იტყვი ამ სიტყვას და თვალწინ დაგიდგება ცინკის კუბოებით ჩამოტანილი ჩვენი ახალგაზრდები. განა რამე შეიცვალა?! ახლა ამერიკის დროშის ქვეშ ვიბრძვით, ავღანეთი კი ავღანეთად რჩება. მეთოდიკაა სხვადასხვა და დახვეწილი. რუსები გვიმალავდნენ, რომ ავღანეთში დაიღუპა ქართველი ჯარისკაცი, ამერიკელები ამითაც პიარს იკეთებენ – „ნახეთ, რა ლამაზად დაიღუპა ქართველი ჯარისკაცი!„

წავიდა ბავშვობა, დარჩა ასპინძა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო და ასაზრდოებდა თაობებს. ჩემი თაობის მთავარი ნიშანი, როგორც უკვე ითქვა, ოპტიმიზმია. ოპტიმიზმი, რომელიც ჩვენი პატარა დაბისადმი განსაკუთრებულ სიყვარულშია გადაზრდილი იმთავითვე. ამ ყველაფერმა დაბადა დიდი სიყვარული ასპინძისა, სიყვარული პატარა დაბისა, რომლის ოდნავი სახეცვლილებაც კი ჩვენში ზრდიდა იმედს და სურვილს, სამომავლოდ გაგვეკეთებინა კეთილი საქმეები, რომელიც ჩვენს მშობლიურ ასპინძას წაადგებოდა, ქვეყანას გამოადგებოდა. მახსოვს, ტრადიციული საგზაო ტრაფარეტი რომ იდგმებოდა „ასპინძის“ აღსანიშნავად ახალციხიდან მიმავალ გზაზე მაშინდელი მილიციის სიახლოვეს, დაახლოებით დღევანდელი „ზველის“ მარკეტის მისადგომთან რომ იდგა, მერე „სატყეოს გორის“ ძირას გადაიტანეს, შემდეგ ცოტა შორს და დღეს სადაც არის, ყველა ხედავს. ჩვენ ამას აღვიქვამდით ასპინძის ზრდად, ჩვენს პირად წარმატებად, ქვეყნის წინსვლად. ასევე იყო ხვილიშის მიმართულებით. როდესაც ასე შეხედავს გარემოს ახლგაზრდა, ინფრასტუქტურის გაფართოების და წარმატების ნებისმიერი გამოვლენა რომ საკუთარ წარმატებად მიაჩნია, მისთვის სუიციდი, ათასი სისულელე, რის გამოც არაერთი ბავშვი იღუპება დღეს, აზრს კარგავს და მხოლოდ ჯანმრთელ ცხოვრებაზე ფიქრობს, სიყვარულზე ფიქრობს.

მამებზე ვთქვით, ვინ იყვნენ და მათი თაობა რითიც გახლდათ გამორჩეული, ცნობილია. თაობა, რომელიც გადაურჩა 1937 წელს, მაგრამ ვერ გადაურჩა სამამულო ომს. თაობა, რომელმაც გამოიარა არა მხოლოდ კოლმეურნეობა, თავისი ავითა და კარგით, არამედ გამოიარა ის განწყობა და ფსიქოლოგია, შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, გამოიარა კომუნების პერიოდი, როდესაც სოფლიდან გავიდა გარკვეული რაოდენობა ოჯახებისა და შექმნეს საერთო საცხოვრებელი, საერთო ოჯახი, „ერთი დიდი კერა“ და როცა საქმე საერთო საბ- ნამდე მიდგა, მაშინღა მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, ესეც ასპინძის ისტორიაა, ესეც გავიარეთ.

მძიმე იყო პაპების თაობის ცხოვრება, რუსის ხიშტის ქვეშ მდგარი თაობის ყოფა. დაპირისპირების, ხალხთა და რელიგიათა გადაკიდების თაობა. ასპინძისათვის და ასპინძელობისათვის დღემდე მოვიდა 1918-1919 წლები, გაქცევები და მობრუნებანი. ჩვენ გვიყვებოდნენ არა როგორც ზღაპარს და გადმოცემას, არამედ, როგორც თავსგადახდენილს და ფაქტს, რომ, როდესაც მდევარი მოგდევს, როგორც მწევარი გაქცეულ ცხოველს, ყველაფერს აკეთებ თავის გადასარჩენად. დედას დაუტოვებია გზაზე ბავშვი, რომ დანარჩენები გადაერჩინა, ან აკვნიან ბავშვთან ერთად გადაჩეხილა კლდეზე, რომ მომხვდურს არ ჩავარდნოდა ხელში. ეს იყო, ხდებოდა... თუ ვინმეს ეეჭვება, ნახოს შესანიშნავი თვითნასწავლი მხატვრის მიხეილ იაძის ტილო და დარწმუნდება ნათქვამის ჭეშმარიტებაში.

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 500-ზე მეტი ქართველი ქალი გათხოვდა თურქეთში. მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო რომელიმე ეროვნების ადამიანზე, მით უმეტეს თურქზე, ლამის ნახევარი გერმანია თურქების ხელშია, მაგრამ ის, რაც ოსმალომ გადაგვატარა, ღირს დასაფიქრებლად!

ასე ვიზრდებოდით და თანდათან ფართოვდებოდა ჩვენი თვალსაწიერი. დედა, მამა, პაპა-დიდედა, ნათესავები... სკოლა, მეგობრები, თანაკლასელები, თანაკუთხელები... ჰო, ეს უცნაური საზომია ბავშვთა ერთობისა – თანაკუთხელები. კუთხე, ანუ მხარე, დიალექტი არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმებოდა თანაკუთხელებში. ასპინძას ჰქონდა თავისი კუთხეები. მაშინ რა ვიცოდი, თუ კუთხელობა, იგივე უბნელობა, მისი სახელდების და მოტივაციის საკითხები ჩემი საქმიანობის დიდ ნაწილად იქცეოდა. ასპინძა იყოფოდა სამ კუთხედ. ჩვენც ჯერ ჩვენი კუთხის პატრიოტები ვიყავით, მერე – ასპინძისა და შემდეგ – მთელი ქვეყნისა. მე ქვედაკუთხელი გახლდით, კიდევ იყო შუაკუთხე და ზედაკუთხე. ტოპონიმიაში კლასიკური დაყოფაა უბნების ასეთი დაყოფა. ზოგჯერ არ არის აუცილებელი სამივე კუთხე (უბანი) არსებობდეს. მაგალითად, აჭარაში არსებობს შუახევი, მაგრამ არ არსებობს ქვემოხევი ან ზემოხევი, სამაგიეროდ, არსებობს იმერხევი თურქეთში, ისიც ჩვენთვის არსებობს, ჩვენი ცნობიერების ნაწილია, ისიც ანიმაციური, არა რეალისტური, სადღაც მეხსიერებაში არსებული, თორემ იმერხევს რა ჰქვია თურქეთში, თურქულად არც ვიცი, ან რატომ უნდა ვიცოდე, ის ხომ სცდება ჩემს ისტორიულ და თანამედროვე თვალსაწიერს. ჩვენ ხომ ძალისძალად ვცდილობთ, შევინარჩუნოთ ის მხოლოდ სახელის დონეზე, ესეც საქმეა! რას იზამ! აი, ასპინძაში კი გვქონდა სამივე კუთხე. რაც უფრო პატარები ვიყავით, მით უფრო გვიყვარდა ჩვენი ქვედაკუთხე და მტრად წარმოგვედგინა ზედა თუ შუა კუთხეები. ხშირად ერთმანეთი დაგვისისხლიანებია ჩვენი კუთხის სიყვარულით, მართლა სიყვარული იყო ეს, ოღონდ რაღაც ფეოდალური ეპოქის ნარჩენს ჰგავდა ჩვენს ფსიქოლოგიაში. ვიზრდებოდით და ვაფართოებდით გეოგრაფიულ და სოციალურ თვალსაწიერს. აი, სკოლის მაღალკლასელობისას „ავმაღლდით“ კუთხელობაზე და ასპინძის პატრიოტები შევიქენით. ეს უკვე რაღაც ეროვნულ ცნობიერებას უახლოვდებოდა, ოღონდ არარეალისტურ საფუძვლებზე იყო დაყრდნობილი, არ ეტეოდა საბჭოთა იდეოლოგიაში, რომელიც გვასწავლიდა, რომ უნდა გვყვარებოდა ყველა ერისა და ეროვნების ადამიანი. ასე დავუპირისპირდით ერთხელ ტამალელ სომეხ თანატოლებს. დღესაც მიხარია, რომ მაშინ ათობით ახალგაზრდა ერთმანეთის პირისპირ რომ დავდექით და ჩვენი დაპირისპირება ჩხუბში არ გადაიზარდა. სომხები უარესი პატრიოტები არიან თავისი ეროვნებისა, მაგრამ გვეყო მაშინ ორივე მხარეს ჭკუა და საბოლოოდ დავმეგობრდით კიდეც. ეს მეგობრობა ბოლომდე გაგვყვა. ერთი რამ კი აშკარა იყო, ჩვენი (ჩემი) ასპინძისადმი დამოკიდებულება ფესვებს უახლოვდებოდა, ვცდილობდი, გავრკვეულიყავი, რა იყო ასპინძა, რა იყო ასპინძელობა. ჩვენს თავმოყვარეობას, თუ პატივმოყვარეობას არა, ასაზრდოებდა ისიც, რომ ასპინძა გახლდათ რაიონული ცენტრი, ე.ი. დანარჩენ დასახლებათაგან (სოფელთაგან) გამოირჩეოდა. ჩვენ კი ამ რაიონულ ცენტრში, ერთი პატარა „ქვეყნის“ პატარა დედაქალაქში ვცხოვრობდით.

ხშირად დამისვამს (დაგვისვამს) კითხვა საკუთარი თავისა და უფროსების წინაშე: რატომ არის რაიონული ცენტრი ასპინძა და არა სხვა რომელიმე სოფელი? შეიძლება დღეს ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ მაშინ მე ამაზე პასუხი არ მქონდა, არც უფროსები მპასუხობდნენ დალაგებულად, ძირითადად რაღაც ბუნდოვან, ლეგენდისმაგვარ ამბავს გვიყვებოდნენ. საქმეს ართულებდა ისიც, რომ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში რაიონული ცენტრი ტოლოში იყო. მტკვრის პირას ტიტლიკანები რომ ვეყარენით, სრულიად სარიოზულად ვნერვიულობდით, რა გვეშველებოდა, ასპინძა რომ რაიონის ცენტრი არ ყოფილიყო?! ეს კი სოციალისტური საზოგადოებისათვის შეუფერებელი და მძიმე კითხვა აღმოჩნდა. გამორჩევითობა იმ დროს სერიოზულად ისჯებოდა. ლიდერობა ისევ და ისევ საზოგადოებრივი, გეგმიური, სოციალისტური ხაზით უნდა განვითარებულიყო. კომკავშირი იყო ლიდერი, ხოლო პიროვნება მხოლოდ აქტივისტი შეიძლება ყოფილიყო. ასპინძა იყო ლიდერი, მაგრამ მხოლოდ იმ დონეზე, რომ ის იყო კომუნისტების, აქტიური კომუნისტების, აქტივისტების საკრებულო და არა თავისთავად ლიდერი სოფელი. მაშინ საკითხი ასე იდგა, ჭკუით იყავით, თორემ ნებისმიერი ლიდერი მხოლოდ იმ დონეზე შეიძლება არსებობდეს, რა დონეზეც **ზემოთ,** ხელმძღვანელებს სურთ. აკი შეიძლებოდა და იყო კიდეც ტოლოში რაიონული ცენტრი და კიდევ უფრო უარესი – ხრუშჩოვის პერიოდში მოინდომეს და საერთოდ გააუქმეს ასპინძის რაიონი, შეუერთეს ახალციხეს, გაამსხვილეს რაიონები. აი, თუ სხვათა ნება-სურვილზე

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

◀დასაწყისი გვ. 1

# ასპინძა და ასპინძელობა



არ იყო დამოკიდებული ადამიანების, ქალაქების, სოფლების დაწინაურება თუ დაკნინება, ჩასახლება თუ გადასახლება. ამიტომაც იყო, რომ მოგვიანებით დამამთავრებელ კლასში, როდესაც ასპინძის ისტორიას როგორც ვახერხებდი, ისე ვეცნობოდი და აღმოვაჩინე, რომ საუკუნეების სიღრმეში მიდიოდა ასპინძის, როგორც ლიდერი დასახლების ისტორია. ის დასახლებათა, სოფელთა გარკვეული ნაწილის ცენტრი ყოველთვის იყო და ეს ძირითადად ისტორიულ-გეოგრაფიული პირობებით იყო მოტივირებული. გარშემო ხეობათა და მთიან დასახლებათა შორის ასპინძას გამორჩეული ადგილი ეკავა. აბა, დავუკვირდეთ, რამხელა ველია ასპინძის ველი მთელი მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე უხსოვარი დროიდან ხიდით შეერთებული. ციხე განა ყველა სოფელს ჰქონდა? ასპინძას კი მუდამ ჰქონდა ციხე. რამდენი სოფელია დედამიწის ზურგზე, მის მცხოვრებთ მდინარე რომ არ უნახავთ, ასპინძაში კი გაწოლილია საქართველოს დედამდინარე მტკვარი. საკმაოდ წყალუხვი მდინარე ერთვის აქვე ციხისძირის გავლის შემდეგ მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან, მანამდე ასევე თავის დროზე წყალუხვი, მაგრამ დღეს თითქმის დამშრალი კოხტის ხევი ერთვოდა, ეს სიმდიდრე იყო ოდითგან და ქმნიდა პირობებს ასპინძის დაწინაურებისა.

ბევრჯერ მყოლია ჩემი სტუდენტები ასპინძის ციხეზე, გადმოგვიხედავს ქონგურიდან. ადით, ბატონებო, გადმოიხედეთ ასპინძის ციხიდან და ნახავთ, როგორი სტრატეგიული დანიშნულებისაა ეს პატარა პროდუქტი ფეოდალური ეპოქისა. აქედან გადამდგარმა, არ არის აუცილებელი დავით აღმაშენებლობა ან ნაპოლეონობა, რომ ბრძოლის რეალური სურათები წარმოიდგინო. ხელისგულივით წინ გიდევს დაცემული ვაკე, მართალია, დღეს დასახლებული და სახლებით გაჯერებული, მაგრამ მაინც ვაკე. აი, ამ ციხემ განსაკუთრებული ძალით გვაგრძნობინა ჯერ კიდევ ძალიან პატარებს, რომ რაღაც ისეთი დამთავრდა ასპინძის ისტორიაში, რომელსაც მომავალი აღარა აქვს, ოღონდ ძალიან ვაჟკაცური, გმირული და საკუთრივ ჩვენი (ჩემი) რომ იყო, ის დაგვეკარგა. ხის ხმლებით ვიცავდით და ვესხმოდით ერთმანეთს ციხეზე და ციხის გარშემო.

დიდი ლომგულობით გამორჩეული არ გახლდით, ამიტომ ვერ დავიტრაბახებ იმ ერთადერთ გვირაბში შესვლას, ზოგიერთები რომ შევიდნენ კოშკის ქვეშ. ისიც არ ვიცი, მართლა ბოლომდე შევიდა თუ არა ვინმე, მაგრამ ისინი დიდ ამბებს ჰყვებოდნენ იქ ნანახს. ასპინძის ციხე კეტავდა ორ დიდ ხეობას, მტკვრისას (ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით) და ოთისწყლისას. მოპირდაპირე მხარეს ერკოტის ძირში იდგა კიდევ ერთი ციხე, რომელიც ერუშეთის მხარეს კეტავდა. ჯავახეთის დარაჯად იდგა კოხტის ციხე დღევანდელი ტამალის თავზე, მათ შორის მაინც გამოირჩეოდა ასპინძა, რადგან იგი უფრო დიდ ხეობებსაც კეტავდა, მის სიახლოვეს გადიოდა საქარავნო თუ სხვა სახის გზები და შედარებით დიდიც იყო.

ასპინძის ციხის გაცოცხლება გვინდოდა მუდამ, მისთვის ძველი სულის ჩადგმა. ომობანა არ გამოგვდიოდა, იმდენი ვერ ვგროვდებოდით, რომ ყიზილბაშებისა და სხვათა შემოსევა გაგვეთამაშებინა მის კედლებზე, თანაც ამას კარგი „რეჟისურა“ სჭირდებოდა (ჩვენ ხომ მაშინ ისეთ ფილმებზე ვიზრდებოდით, ეროვნულ სულს რომ ამაღლებდა!) სამაგიეროდ, მისწრება იყო ჭიაკოკონობა. მთელი თვით ადრე ვიწყებდით სამზადისს ჭიაკოკონობისათვის. ვაგროვებდით მანქანის საბურავებს და ზედა კუთხეს, ციხის დასახლებას, ვერავინ უდებდა ტოლს. ასპინძის ციხეზე დანთებული ცეცხლი კუდიანებსაც ებრძოდა, ეშმაკსაც აფრთხობდა და ასპინძის ნებისმიერი კუთხიდან ძალიან ლამაზი სანახავიც იყო.

მაღალ კლასებში გატაცებით ვიფართოებდით ასპინძელობას, ვეჯიბრებოდით ჩვენი ბავშვური შეჯიბრით სხვა რაიონთა ცენტრებს, განსაკუთრებით კი ახალციხეს, თუმცა ვაღიარებდით ახალციხის დედაქალაქობას მთელი მესხეთისა. პირველად სწორედაც ასპინძის ციხის გამო ვიფიქრე, რომ რაბათი მხოლოდ ახალციხეს არ ჰქონდა და ჩვენ რომ ციხის უბანს ვეძახდით, ისეთივე რაბათი ყოფილა, როგორც ახალციხეში, თუმცა ეს სიტყვა ჩვენთვის უკვე მოძველებული იყო. ახალციხელი რაბათელები ისტორიიდან მოდიოდნენ, ხოლო ასპინძელი რაბათელები აღარ იყვნენ, ისინი გაასახლეს 1944 წელს. მათვე წაიღეს ხსოვნა რაბათისა, ახალმოსახლენი, იმერეთიდან ჩამოსახლებულნი, არ იცნობდნენ ამ არაბულ სიტყვას და მათთვის ციხის შემოგარენს ციხის დასახელება და ციხის ძირი ერქვა.

ასპინძა იყო მთავარი თემა, როდესაც მხატვრულ ლიტერატურას გვირჩევდა სკოლა ან პიონერია. ვეძებდით იმ ავტორებს, ვისაც რამე ჰქონდა ნათქვამი ჩვენს ასპინძაზე. გატაცებით ვკითხულობდით ლადო ასათიანის „ასპინძის ომს“ სცენიდან მთელი ჯგუფი. მაშინ გავაცნობიერე და დავაკავშირე ერთმანეთს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი საბანაო ადგილი მტკვარზე და ასპინძის ომი. **ერეკლეს ნახიდარი** გამორჩეული საბანაო იყო თავისი სიღრმით, პირველ რიგში, საშიშიც გახლდათ მტკვრის ეს მონაკვეთი, რადგან კლდე სიგრძივ შედის წყალში და დიდი სიფრთხილე სჭირდება ზევიდან გადახტომისას, ხიფათს რომ არ გადაეყარო.

ასპინძის ბრძოლა საამაყოა თითოეული ასპინძელისათვის, განსაკუთრებით იყო საამაყო ჩვენი თაობისათვის, რადგან ამაში ჩვენეულს ვხედავდით ყველაფერს მაშინ, როდესაც მისაბაძად და საამაყოდ ყოველდღე ჩაგვჩიჩინებდნენ, უნდა გვყოლოდა ლენინი, მარქსი, ენგელსი, ძველი რევოლუციონერები და კომკავშირლები. ასპინძა კი ქართველებმა მოიგეს, ერეკლე მეფემ მოიგო. ერეკლეს ნახიდარიო, როდესაც ვამბობდით, ვიცოდით, რატომ იყო ნახიდარი, ისიც გავიაზრე, რომ შეიძლება გააკეთო „ცუდი“ საქმე, ჩაჭრა ხიდი და გააკეთო დიდი საქმე, მოიგო ბრძოლა. იმ პერიოდში ძნელი გასარჩევი იყო მტერი და მოყვარე, რადგან „ერთადერთი“ მტერი გვყავდა გერმანია და გვყავდა მუდმივი მტრები, თურქეთი და სპარსეთი.

ასპინძის ციხიდან კარგად „ჩანდა“ ბრძოლის ბატალიები, როგორ გადმოვიდა მტკვრის მარცხენა ნაპირიდან მტერი, როგორ დაბანაკდა მარჯვენა ნაპირზე, როგორ იომეს და ღამემ როგორ გაყარა მოწინააღმდეგე მხარეები. პაპა ცოცხლად მიყვებოდა ერეკლესა და ლეკთა ბელადის შერკინებას ერთი-ერთზე. ერეკლეს ხმალმა ისე ოსტატურად გაკვეთა მოწინააღმდეგე, რომ ამცდაო – შესძახა ლეკთა ბელადმა. „სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, გადმოვარდა ცხენიდან!“ – ეს პაპის სიტყვებია, რომელიც ჩამრჩა გონებაში და დღესაც მახსოვს. პაპის დახატული ბრძოლის სცენა მუდმივად თვალწინ მიდგას.

განა ბევრია ადგილის სახელი, რომლის შექმნის ისტორია და მასთან დაკავშირებული ფაქტები ასე კარგად რომ ვიცოდეთ და მოეღწიოს ჩვენამდე! აი, რატომ ჰქვია ნახიდარი, თანაც რამდენ საუკუნეს არის გამოვლილი ის რკინის დუღაბი, რომლითაც ბურჯია ნაშენები. მერე კი თვით ასპინძის ეტიმოლოგია გახდა ნაცნობი და ახლობელი. ეს უკვე სცდებოდა სკოლისა და ბავშვობის ასაკს. ეს უკვე სტუდენტობის წლებია, როდესაც ცოდნის მისაღებად თბილისს წასულები შორიდან ველაციცებოდით და ვეფერებოდით ასპინძას. პირველ რიგში, არ შეიძლება არ დააკავშირო ერთმანეთს **ასპინძა** და **მასპინძელი.** ქართველი კაცისათვის მასპინძელი რაც არის, ყველას მოეხსენება. აღმოჩნდა, რომ მასპინძელი ნიშნავდა ასპინძის პატრონს. ე.ი. **ასპინძა სასტუმროს, ღამის გასათევს, ცხენთა დასასვენებელ და, შეიძლება, გამოსაცვლელ ადგილს ერქვა**. ბევრი ასპინძა იყო საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში. მაშინ იგი საზოგადო სიტყვა გახლდათ და არა მხოლოდ ერთი ადგილის სახელი. სიტყვა აღმოსავლურია, სპარსული, მისი ძირია **ასპ-**, რაც ცხენს ნიშნავს. ამავე ძირიდან მოდის კიდევ ერთი სახელი ჩვენს მხარეში. ეს არის ჯავახეთის სოფელი **ასპანა,** რომელიც თავფარავნის ტბის ნაპირზე მდებარეობს, სოფელ თავფარავნის მოპირდაპირე მხარეს. ამ ადგილებში, ამ სოფლებში შეიქმნა ქართული ხალხური ბალადის კლასიკური ნიმუში „თავფარავნელი ჭაბუკი“. ჯავახი იყო ის ჭაბუკი, რომელიც „ასპანას ქალსა ჰყვარობდა“, ზღვა რომ ჰქონდა „წინად სავალი“ და „გასვლას შიგ არა ზარობდა“. ასპანელი იყო ის ბებერიც, რომელიც „ვაჟისთვის ანთებულ სანთელს აქრობდა, აბეზარობდა“. ამ ბალადის ტრაგიკული ფინალი ცნობილია, ამიტომ აღარაფერსვიტყვი, აღარ გავაგრძელებ. ამავე ძირისაა ჩვენს მხარეში გავრცელებული ცნობილი გვარი **ასპანიძე**. ასპანას უწოდებდა ძველი ქართველი ისპაჰანს.

საქართველო და, კერძოდ, მესხეთი ყოველთვის მსოფლიო მოვლენების მონაწილე იყო. მეზობელი ჩვენთან მხოლოდ ხმლითა და ომით არ მოდიოდა. ენობრივი კონტაქტები კიდევ უფრო ძველია, ვიდრე რეალური ისტორია, ის ისტორია, ჩვენს მატიანეებსა და წყაროებში რომ არის დადასტურებული. აი, ამ კონტაქტების შედეგია სპარსული სიტყვის შემოსვლა ქართულში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე. ქართულ ენას აქვს ერთი უნიკალური თვისება, სხვა მრავალ თვისებათა შორის, რომ ყველა გრამატიკული კატეგორია შესაბამისი აფიქსით აღნიშნოს. თუ ჩვენს მკითხველს თავს არ შევაწყენთ ლინგვისტური ტერმინოლოგიით, რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ, ნათელი რომ გახდეს, როგორ მივიღეთ **ასპინძიდან მასპინძელი**. მ-ელ კონფიქსი (მაწარმოებლები) აწარმოებს წარმომავლობა-კუთვნილებას. ძველ ქართულში ეგვიპტელს **მეგვიპტელს** უწოდებდნენ. ადგილის სახელს დაერთვოდა აღნიშნული აფიქსები, ისევე, როგორც **ეგრისის** მკვიდრი და პატრონი იყო **მეგრელი**. (-ის სუფიქსი ჩამოსცილდება ასეთ დროს, როგორც ადგილის სახელთა მაწარმოებელი). ამავე წარმოებისაა ცნობილი გვარი **მაჩაბელი**, რომელიც **აჩაბეთის** მკვიდრს ნიშნავს. აქაც ჩამოსცილდება -ეთ ტოპომაწარმოებელი. ასევე მივიღეთ ასპინძაზე მ-ელ მაწარმოებელთა დართვით მასპინძელი, რაც ნიშნავდა ასპინძის მკვიდრსა და პატრონს. შემდეგ სიტყვა და აღსანიშნი ობიექტი დასცილდა, როგორც ხდება ხოლმე და ორივე სიტყვამ დამოუკიდებელი ცხოვრება გააგრძელა. ერთმა საზოგადოდ, ხოლო მეორე – **ასპინძა,** დარჩა ადგილის სახელად. როდესაც სასტუმროს აღნიშნავდა და ჯერ საკუთარ სახელად არ იყო ქცეული, ბევრი ასპინძა გვქონდა, ყველა სასტუმროს ასე უწოდებდნენ, ბოლოს კი ერთგან შემოგვრჩა და ეს არის ჩვენი ასპინძა.

ასპინძის პირველ ხსენებას მატიანეში თარიღი უზის. ეს არის 888 წელი. მას შემდეგ კი 1130 წელი გავიდა. ქართველი კაცის ფსიქოლოგიაში დროის აღქმა ძალიან პირობითია. ათასწლეულობით ვზომავთ წარსულს, ამიტომ ყოველთვის გვეახლოვდება ჩვენი ისტორიის რომელიმე მონაკვეთი. თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს თარიღი და ისტორიაში ხსენების ასაკი ასპინძისა, ამაზე ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის თუნდაც



ხვილიშა. VII ს.

ის ფაქტი, რომ კიევის რუსეთმა ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ მიიღო ქრისტიანობა. ასპინძის ისტორიაში ხსენების ასაკზე ერთი საუკუნით უმცროსია მართლმადიდებელი რუსეთის სარწმუნოების ისტორია. ადვილი წარმოსადგენია, რას ნიშნავს ეს დრო და ასაკი ქვეყნისათვის, რა და როგორი ცხოვრება განვლო, რა სიმაღლეებს მიაღწია ჩვენმა მეზობელმა ქვეყანამ ამ ხნის მანძილზე. ასპინძა კი ისევ იქ არის, ისევ ის ისტორიული გარემო აკრავს მას. მაშინაც დიოდა მტკვარი და ერთვოდა მას ოთის წყალი, გაღმა ვარნეთის ციხე იდგა და ვარნეთელები ცხოვრეობდნენ. იქვე **ოსკერია** შველთა სიმრავლით გამოირჩეოდა. ერკოტა-ზველს შორის დიდი სპორტული თამაშები იმართებოდა. საქარავნო გზა ასპინძაში იყოფოდა, აქ იქმნებოდა დიდი გზაჯვარედინი. ერთი გზა ზეკარ-გოდერძის გადავლით დასავლეთ საქართველოსკენ, ისტორიული კოლხეთისკენ, ზღვისკენ მიემართებოდა, მეორე – აღმოსავლეთისკენ, აწყურიდან ქართლის გზით შიდა ქართლსა და თბილისს ჩადიოდა. მესამე გზა ჯავახეთზე გაივლიდა, გადიოდა სომხეთზე, სპარსეთსა და ინდოეთისაკენ მიემართებოდა, ხოლო მეოთხე – ერუშეთის, ტაო-კლარჯეთის ქვეყნების გავლით ბიზანტიასა და რომს სწვდებოდა. ამ გზაჯვარედინობის გამო იყო, რომ ასპინძა ადგილის სახელად მხოლოდ აქ, სამცხე-ჯავახეთის საზღვართგასაყარზე შემორჩა და არა სხვაგან. სწორედ ამ გზაჯვარედინობის გამო აღმოჩნდა ასპინძა აგრეთვე მუდმივად ბრძოლებისა და ყურადღების ეპიცენტრში. ასე იყო მე-9 საუკუნის ბოლოსთვისაც, მისი ისტორიაში ხსენების წელს: **სუმბატ დავითის ძე,** ჩვენი ერთ-ერთი დიდი მემატიანე, წერს: „ხოლო ადარნასე, ძე მოკლულისა კურაპალატისა, განვიდა ბრძოლად მისა, და მიყვა მისთანა შეწევნად ადარნასესა გურგენ კურაპალატი და შვილნი მისნი - და ყვეს ბრძოლა და ომი დიდი ნასრის ზედა და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ – ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას, მეოტ ქმნეს, **შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ხევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას**, ქრონიკონსა რ ე. და არა დაუშთა შვილი ნასრას და აღიხოცა სახსენებელი მისი“. სწორედ ეს არის სპინძის პირველი ხსენება, თანაც მითითებულია, რომ იგი მდებარეობს **„ხევსა სამცხისასა“** ზედა, რომელიც დღევანდელი ოთის წყალი, ან თვით მტკვარი უნდა იყოს. ასპინძა რადგან სამცხის ხევზეა მდებარე, ხოლო **კოხტა (კოხტის ხევი),** დღევანდელი ხვილიშასთან ჩამდინარე **ტამალის წყალი** ჯავახეთისა და სამცხის საზღვარია (ვახუშტი ბატონიშვილი), კიდევ უფრო იზრდება მნიშვნელობა ამ ფაქტისა. მემატიანე ნასრას ეპიზოდის აღწერით გვაწვდის ძვირფას ცნობას, რომ **ასპინძა სამცხეში მდებარე სოფელია**. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხდებოდა სწორედ ასპინძა ბრძოლების ასპარეზი. აქ მტკვარი შედარებით მდორედ მოდის, ხოლო ახჩია-ვარძიიდან მოყოლებული, არტაანის მტკვარზე და ახალქალაქდლივის წყლის ქვემოთ მთლად ვიწროებია, ერუშეთისა და ჯავახეთის მთებს შორის, მტკვარი ხმაურითა და დაქანებით მოდის, ამიტომ ბრძოლის გაშლის საშუალება არ არის. ასპინძასთან კი იშლება მთებით მოცული გარემო - მტკვრის მარცხენა ნაპირზე **კაკაველია**, ხოლო მარჯვენა ნაპირზე – **კოტორაულები,** დღეს რომ **ერკოტის უბანი** ჰქვია. მას ჩაჰყვებოდა დიდი ჭალა მდინარის ნაპირზე. ასპინძისა და ვარნეთის ციხეები კიდევ უფრო მეტ სტრატეგიულ დატვირთვას აძლევდა ამ მიდამოებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაღმა-გამოღმა ველებს ჩვენთვის უკვე ცნობილი ხიდი აერთებდა.

ერთი ბრძოლის ეპიზოდს ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს. იგი დაკავშირებულია ჩვენს დიდ წინაპართან, **გიორგი სააკაძესთან**. გიორგი სანადიროდ იყო გასული, მოინადირა ოთა-ოშორის მიდამოები, რომელიც ბოლო დრომდე ირმების სიმრავლით გამოირჩეოდა. ნადირობისას, მართალია, მხოლოდ მონადირენი ახლდა მას, მაგრამ მონადირე მებრძოლი და მეომარი იყო პირველ რიგში. აი, რას წერს დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი დიდი მოურავის შესახებ: ყორჩიბაშმა გაგზავნა ყიზილბაშები. „მოსრულთა ყიზილბაშთა გარემოიცვეს ასპინძა, მაშინ მოურავი იყო ნადირობასა და მუნიდამ იხილა ასპინძა, მოცული ყიზილბაშითა, **მოეტევა მცირედითა კაცითა, ეკუეთა და აოტნა ყიზილბაშნი და მოსწყვიდნა იგინი**“.

ასპინძასთან გამართული ბრძოლები, სამწუხაროდ, ყოველთვის ჩვენი გამარჯვებით არ მთავრდებოდა. **შაჰ-თამაზი**, ჩვენი დიდი მტერი, საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდა. „ახალი ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „ხოლო ვითარცა ესმა შაჰ-თამაზ, განიხარა ფრიად და წარმოემართა სპიტა ურიცხვითა საათაბაგოს ზედა: მოესწრა ყაენი შაჰ-თამაზ... **ვარძია, თმოგვი და ვანის ქვაბი და აწყური, ასპინძა, ვარნეთი და სრულიად სამცხის ციხეები აღილო**“. სრულიად სამცხის ციხეთა შორის მოხსენიებული ასპინძა დიდი ბრძოლის ობიექტად იქცა.

ასპინძა მაინც გამორჩეულად ერეკლეს სახელთან არის დაკავშირებული, როგორც უკვე ითქვა, ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ მესხებმა სწორედ მას უძღვნეს ბევრი ლექსი და გადმოცემა:

„შენ ერეკლე, ომიანო,
ცხენ-ლამაზ უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლოს ჰყრიანო,
ყვავი, ყორანი ლეშსა შჭამს,
კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო“.

ერეკლეს გამარჯვებამ გამოაფხიზლა როგორც ქრისტიანული, ისე მაჰმადიანური მესხეთი. ხერთვისში ერისთავის ნაცვლად, მე-18 საუკუნეში ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ბეგი ზის. ის ქართველია, მაგრამ ასრულებს სხვა ქვეყნის ადმინისტრატორის როლს. მაჰმადიანური წესით მცხოვრები ბეგის გარშემო მის ჰარამხანას ლამაზი ქალები ამშვენებენ, მათი მაშინდელი ტერმინოლოგიით – ხანუმები. ასპინძის ომგამოვლილ ერეკლეს, რომელიც მიემართებოდა თბილისისაკენ, განსაკუთრებით შვენოდა ბრძოლაგადახდილი ვაჟკაცის შარმი:

„ამ ერეკლემ არ დასთმო თავისი მუცლის ჩხვერაო,
ადგა, ჩაყარა ლაშქარი, წამოვა ნელა-ნელაო,
ასრე ჩამოვა **ხერთვისსა,** თვარეც არ არის, ბნელაო.
**ხანუმებმა** გადმოხედეს, ტურფად დაუწყეს ცქერაო,
დღეში სამჯერ ვილოცავდით, ღმერთმა არ
დაგვიჯერაო,
ვაიმე, თუ დაგვიმძვირდეს სარაიებიდან ცქერაო.
ფადიშაჰს შემოუთვლია, ერეკლე რა კაციაო?!
რო მოგახსენო, ბატონო, პატარა ყმაწვილიაო,
გული უდგია სპილოსი, გარედან სალი კლდეაო,
ასე დაანგრევს ციხესა, როგორც ფუტურო ხეაო“.

ხერთვისის შემდეგ თბილისისკენ მიმავალ ერეკლეს და მის გამარჯვებულ ლაშქარს ხიზაბავრელებმა ნადიმი გადაუხადეს. იყო მოლხენა და სიხარული, საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების სადღეგრძელოები.

ასე იცავდა ქართველი კაცი თავის მამულს. როგორც ვნახეთ, ბევრი რამ გადაიტანა ასპინძამ, ისევე, როგორც მთელმა საქართველომ, მაგრამ უმთავრესი გადასატანი წინა აქვს. დღეს იარაღით აღარავინ მოდის. აღარც ოსმალები მოდიან ოსმალური გალესილი ხმლებით. დღეს სხვა ომია, ფული წყვეტს ყველაფერს. სხვა ქვეყნის ფულს სხვანი შემოჰყვებიან, ემკვიდრებიან ჩვენს მამულში, ისტორიას ლამის წარმართობის დროიდან იქმნიან. ვინც მიწას პატრონობს, ქვეყანაც იმისია. ისტორიაგამოვლილი ასპინძა, რომელიც მეორე ათასწლეულს ითვლის, ღირსეულად უნდა შეხვდეს ამავე ათასწლეულის ბოლოს – ეს არის მისი და ჩვენი ყველას მიზანი.

# მაია დიაკონიძე

## არაგვის შხუილს მოვისმენდი!

არაგვის შხუილს მოვისმენდი, თერგის გრუხუნსაც,
ავუყვებოდი მაღლა-მაღლა ალპურ მდელოებს,
დავკრეფდი ყვავილს, ატაცებულ ღეროებიდან,
ცხვარს მოვმწყევსავდი, გავიყვანდი მაღლა ბექობზე.
ფესვს გავიდგავდი იმერეთში, ჩემს ძველ ეზოში,
გადავხურავდი კარმიდამოს მწვანე ფოთლებით,
ზამთარში კაკალს დავაყრიდი ყავარ-სახურავს,
კაცსაც და თაგვსაც გაეხარათ თავის გემოზე.
გადავიფრენდი არწივივით კავკასიონზე
და მოვიტანდი ახალ ამბავს, გასახარებელს,
რომ ჩრდილოეთით გატყდა ყინვა, იძრა ყინული,
გაზაფხულდა და გვისახსოვრებს მიწა ხავერდებს.

## კაენი არ დაიბადება!

მიიპარება, როგორც გველი, ცრემლი უბისკენ,
უნდა მოწვას და ამოშანთოს ძუძუსთავები,
– არამი იყოს, არ შეგერგოს, – ამბობს ტირილით,
კახეთის მეფის, კონსტანტინეს დედა-გამზრდელი...
და რამდენ მკვლელს და მოღალატეს იცნობს ეს მიწა,
იუდას პირმშოთ აძინებდა ქართლის ნიავი,
თუმცა ეკიდათ გულისპირზე ჯვარი-თილისმა,
სისხლი სწყუროდათ უმანკოთა, სისხლი მტირალის.
და ცახცახებდა იმათ მკერდში გული მალულად,
წვავდათ ცოდვები, იღლებოდნენ ჯვარის ტარებით,
მუდამჟამს თავს ხომ ახსენებდათ მშობლის თილისმა,
შიგ გულში წყენით უყურებდნენ დედის თვალები.
ადრე თუ გვიან მოსდიოდათ ცრემლი ალალი,
ეწვეთებოდა მათ ხელებს და მუხლისთავებსაც,
ღმერთმა ქნას, დარჩეს ყოველივე იმ ღრმა წარსულში,
ჩვენ კი, ვირწმუნოთ, კაენი არ დაიბადება.

## ამდევნებია რუხი ფიქრები

ამდევნებია რუხი ფიქრები,
ჩაუხლართიათ ჩემს ირგვლივ ღობე,
მას ვეჯახები თავგამეტებით,
დავგლეჯ დუმილით სისხლიან კოლტებს.
მწუხარედ რეკავს ზარები შორით,
ხმა მესმის მხოლოდ, გულში ღამეა,
შავი ნაღველი ასრულებს ქოროს,
მე პირველი ვარ, ის – მესამეა.
ვეძებდი ბილიკს, ნაზს და ვარდისფერს,
დამაგვიანდა მე მეტანია,
ვერ შევასრულე ორკესტრში სოლო,
მე პირველი ვარ, ის – მესამეა.

## მხოლოდ სურვილი მკლავს ჩახუტების

გულს უხარია შეხვედრა მთებთან,
ვუმზერ მწვერვალებს, – თეთრს და ცრემლიანს,
აქა-იქ მძიმე ნისლები სხედან,
მზე – ოქროს ფონდი, – მათაც სწვევია.
ჩამოინაცვლებს ზეგანზე მზერა,
წყაროსთვალივით წმინდა, ანკარა,
აქ უამრავი ბებერი ხე დგას,
მათ თავზე შეკრა სხივმა კამარა.
შემიპყრობს ჟინი დალარულ ხეთა,
ამიტაცებენ მაღლა ფიქრები,
შემოვხვევ ხელებს, დავყნოსავ მერქანს,
ყრმის ნეტარებით გავირინდები.
ზედ კენწეროსთან ბუდეა ჩიტის,
ქვემოდან სალამს ვუგზავნი ბარტყებს,
თითქოს ხიდი ვარ ცისა და მიწის,
მინდა, პატარებს ვაწვდიდე საკვებს.
მზის დიადემა დაუდგამთ ქედებს,
ვეღარ მალავენ კადნიერ ზრახვებს, –
წითელ პალეკარტს ისხამენ მხრებზე,
რომ ერთი ბიჯით ამაღლდნენ ცაზე.
მხოლოდ სურვილი მკლავს ჩახუტების,
ვიცი, არასდროს არ არის გვიან...
მთისაკენ ბილიკს ბრმად გავუყვები,
რომ შევეგებო ბრწყინვალე დილას.

## გაზაფხულამდე შორია

ხარხარი ისმის მდინარის,
ხევი სავსეა ლოდებით,
შარშანწინ გულს უხაროდა,
ახლა ნაღველით ვღონდები.
ეს თქარათქურა ტალღები
მორბის, ვით ირმისა ჯოგია,
ზამთარი მიტევს ტიალი,
გაზაფხულამდე შორია.

## გელოდი

გელოდი, მაგრამ მოლოდინს,
ქვაც ვეღარ უძლებს ოხერი,
ჩატყდება, ჩაილეწება,
ხევში გორაობს სოველი,
ხავსი ჭამს, წყალი თავს უვლის,
გაჭირვება ვთქვა, რომელი?!
უკულმართობის შვილნი ვართ,
უკეთესს არც მე მოველი.

## განაჩენია სასტიკი

განაჩენია სასტიკი,
ლუკმას რომ ვერ ჭამს ღარიბი,
დაამუნათებს ცხოვრება, –
მასავით მჭლე და ყარიბი.
განაჩენია სასტიკი,
თუ დაიბადე არიფი,
შრომის საზღაურს მოგცემენ
მხოლოდ დაბალი ტარიფით.
განაჩენია სასტიკი, –
ვერ შეადგინე განრიგი, –
უკეთ მოგეწყო ცხოვრება,
უსახსრობასთან გარიგდი.
განაჩენია სასტიკი,
ვეღარ მოძებნე ბალიში,
ცოტათი რომ შეგესვენა,
მოგფერებოდნენ ბადიშნი.
განაჩენია სასტიკი, –
ულმერთოებთან კავშირი,
გასვრა ლაფსა და ტალახში,
თვით ჯოჯოხეთის ნახშირში.
განაჩენია სასტიკი, –
ვერ იგრძნო მოძმის ტკივილი,
სრულიად რომ არ გაწუხებს
მისი კვნესა და ჩივილი.
განაჩენია სასტიკი, –
პირს შეგყინვია ღიმილი,


ნახ. ამადეო მოდილიანისა

ყოფა ხელიდან გეცლება,
დნება პირველი ფიფქივით.
განაჩენია სასტიკი, –
ქვეყნის რომ არ ხარ აბედი,
დაოჩნებული ვირივით
კლდეს შერჩენილი დაბერდი.
განაჩენია სასტიკი....

## ირისი – სოსანი

დილა ქოჩორს გადავარცხნის
მოვერცხლისფრო ირისებს,
დააპკურებს ცვარს და მინას
ცეცხლად ააგიზგიზებს,
მზე გაუყრის სხივებს თვალში
ისრიმისფერ ირისებს,
სიო გაჰკრავს, ნაკადული
ნაზად მოუღიღინებს.

## ღმერთმა მაღალმა დაგვიდგინა ცხოვრების წესი

ღმერთმა მაღალმა დაგვიდგინა ცხოვრების წესი,
მაგრამ გზა ვეღარ გაგვიგნია თვალებით ბეცით,
ხელის ფოტინით მივუყვებით აღმართ-დაღმართებს,
მხოლოდ მართალნი მიხვდებიან ცათა კამარებს.
აჭრელებული ზონრებით და ბაფთა-რახტებით,
როგორც ცხენები ალღუმისთვის დავირახტებით,
მოკაზმულები ვეტანებით თივას და ნეკერს
და აღარ გვახსოვს – შიშველია ამ ქვეყნის მეფე!

## კაშკაშა შუქი გვაბრმავებს

მომავლისაკენ რომ მიგვიძღვის ოცნების ხიდი,
ხან ტორტმანით და ხან იმედით ვაგრძელებთ ნაბიჯს,
დაგვეკიდება ზოგჯერ გულთან ტყვია და მჭიდი
და ამ ცხოვრების მღვრიე წყალთან ვუნდებით ჭიდილს.
ასინათლდება ზეცის კიდე, როგორც თოლია,
მოწყურებული ბავშვებივით მივაპყრობთ თვალებს,
მაგრამ სინათლე სულ ყოველთვის კარგი როდია,
კაშკაშა შუქი გვაბრმავებს და გვიხურავს არეს.

## სურას ყელში ამოვართვი

სურას ყელში ამოვართვი
რაკრაკა ხმა, სანაძლეოდ,
რომ წარვუძღვე ლხინს და ნადიმს,
სიყვარულით გული ზეობს.
მოგოგმანებს გზაზე გოგო,
მზის სხივების დასადარი,
ჩურჩხელების აცმა მოაქვს,
ჩირეულიც ათასგვარი.
აკიდოზე ჭრელაჭრულა
შემოდგომა აუწყვია,
მოდის გოგო – შემოდგომა,
არ აქო, რა ნამუსია!
შარიშურობს იქვე ჩალა,
მოსავალი აუღიათ,
შიგ ბოჩოლა დარჩენილა,
ხარბადა ჭამს, ალბათ შია,
შიგადაშიგ თანაც ზმუის, –
ხვავი უკვე მარანშია,
ძოწეული, ლალი, ქარვა,
ჯერ არ მაჭრობს, ბადაგშია.
სურას ყელში ამოვართვი
რაკრაკა ხმა, სანაძლეოდ,
ჩემსას მაინც იმისი სჯობს,
ღვინით სავსე თასში მზეობს.

## შენ მიმატოვე უდაბნოში

შენ მიმატოვე უდაბნოში
და არც კი გითქვამს,
რატომ და რისთვის დამატეხე
თავს შენი რისხვა,
ცუდად ამიხდა ის სიზმარი,
გუშინ რომ ვნახე,
გადამიჭირა ამ ცხოვრებამ
ულმობლად სახრე,
დიუნების ქვეშ მოქცეულს კი
გამათბობს ქვიშა.
თვალთაგან ჩემთა წამოსული
მშიერი წვიმა
მიუალერსებს უდაბნოში
გადაშლილ ყვავილს,
ღმერთი რომ აძლევს გაუხუნარ
ფერებს და წადილს,
მე კი მომაშთობს თაკარა მზის
ქარი და ხვატი,
ასე რომ მწვავს და უსაშველოდ
არაქათს მაცლის.

## ბუტაფორია

ზეცაში ვუმზერ მთვარის მხოლოდ ბუტაფორიას
და ვარსკვლავებიც ხელოვნური არის, მგონია,
რატომ ვიყავი ოცნებებში იმათ იმედად, –
გამღვიძებოდა, ასე გვიან, ღმერთმა ინება,
ცეცხლიც კი ვნების, თურმე არის ბუტაფორია,
სიყვარული და მეგობრობაც, ხელოვნურია,
რატომ ვიყავი, ასე მყარად, იმათ იმედად,
რად არ გავყევი ტკბილ ზღაპრებში ჩემს დიდ დიდედას.

## ექოდ მოისმის

ზარდამცემ ოხვრას მოუცავს თორლვა,
დაგუბებულხარ, დარდების წყალო,
გულს დასცემიხარ ბებრად და კოჟრად,
ქვეყნის წარწყმედა როდემდე ვმალო?!
ზარდამცემ ოხვრას მოუცავს თორლვა,
სიკეთით შვილთა ვეღარა ხარობს,
ექოდ მოისმის იმისი მოთქმა,
გარშემო ტყეებს სიცივით აზრობს.

## შეჭედილია ზეცაში ხურმა

საფერავის ფერს ვუჭვრეტ ჭიქაში,
შეჭედილია ზეცაში ხურმა,
ძროხამ აიკლო ეზო ბღავილით,
ბებო საჭმელში მსხალს და ვაშლს ურთავს.
მოგონებები დასხდა სინაზე,
საფერავის ფერს ვუჭვრეტ ჭიქაში,
ირგვლივ ფოთლები ჩაბმულან ვალსში,
სახიდან ნიღაბს ვიღაცა მაცლის,
ვრჩები დედასთან სულ თოთო ბავშვი.

## მინდა, მთები ხარხარებდეს!

წუთიერი აღტაცება, წუთიერი დუმილი...
მირჩევნია წამიყვანოს ზეცამ ჭექა-ქუხილით,
ზარების ხმა აყრუებდეს კლდეებსა და კბოდეებს,
ზანზარებდეს დედამიწა, მეხი სცემდეს ხეობებს.
წუთიერი აღტაცება მოკვდავების ხვედრია
და წუთიერ დუმილს ვუძღვნით, ვინც პატივით მეტია,
სხვისთვის იყოს წუთიერი... აღტაცებაც, დუმილიც,
მინდა, მთები ხარხარებდეს, ვულკანს ვგავდე დუღილით.
კოსმიური ნათებები წინ მიძღოდეს ღმერთებთან,
არ ჩაქრეს და არ ჩანაცრდეს ჩემი სულისკვეთება,
არ დამინდოს შავმა ბედმა, არწივს ვგავდე, მყვირალი,
გავხდე სხვათა გაჭირვების, დარდის თანაზიარი,
მხოლოდ მერე გამიხსენონ წუთიერი დუმილით,
ჩაცხრეს სადღაც ხევ-ხუვებში ქარის ტირილ-ღმუილი.

# „ქართული ავტობუსი, ანუ კონსტანტინე ციხისჯვრელის მოგზაურობა ტრაპიზონიდან ბათუმამდე“

## კახაბერ ჯაყელი



ორმა ძმამ, ულუსლასარებმა – იბრაჰიმმა და აჰმედმა, როგორც დათქმული გვქონდა, დილიდანვე მომაკითხეს და 7 საათზე სკოლის შენობასთან მოვიდნენ. ქართველი პროფესორი, შხაპმილებული, უკვე თურქული სკოლის სასადილოში იჯდა და ზეთისხილს შეექცეოდა, თანაც ყველსა და ჩაის აყოლებდა. ცოტა ზედმეტი მოუვიდა ჩაის ფერი და გაშავებულ ჭიქას დაფიქრებული უყურებდა. გული აწუხებდა და უფრთხოდა „ჩეფირს“.

– აქ ვართ, ოჯამა – უთხრა იბრაჰიმმა და ქართველ პროფესორს ჩაით ხელში მიუჯდა.

– ვან იბრაჰიმ, ნასილსინ, – თქვა კონსტანტინემ და იბრაჰიმს ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა, რაზეც იბრაჰიმმა დარცხვენით გაუღიმა და მის პატიოსან სახეზე გაკვირვება გამოიხატა.

– რამდენი ბავშვი სწავლობს ამ სკოლაში? – იკითხა კონსტანტინემ და ბავშვებს გახედა, რომლებიც დილის 7 საათზე სასადილოში შემოდიოდნენ და ყვითელ ჰალსტუხიან, ლურჯ კელვინ-კლაინის კოსტიუმში გამოწყობილი ორმოცი წლის მამაკაცს გაკვირვებით უმზერდნენ.

იბრაჰიმი დაიბნა. ასე სჩვევიათ პატიოსან ახალგაზრდებს, ისინი სწორი პასუხის მოსაძებნად ოდნავ არეულად გამოიყურებიან.

– 600 ბავშვი, მისტერ კონსტანტინ, – თქვა იბრაჰიმმა და ჩაი მოსვა.

– კარგია, კარგი, – თქვა პროფესორმა და მთის წვერზე აშენებული სკოლის ფანჯრებიდან დაბლა გადაიხედა.

უმშვენიერესი ხედი გადაიშალა კონსტანტინეს თვალწინ: ბაღებში ჩაფლული სახლები, მოვლილი ეზოები, ლამაზი ღობეები, ქვევით – ცისფერი ზღვა, მეთევზეთა ნავები, გემები და... ბედნიერების იდუმალი განცდა.

– ტრაბზონის იმპერია... ქართველი დედოფალი ჯიაჯაკ – ჩაილაპარაკა კონსტანტინემ. იბრაჰიმმა ყურები ცქვიტა და სახეზე გაკვირვება გამოეხატა.

– 8 საათზე გავდივართ, არა? – იკითხა კონსტანტინემ. იბრაჰიმი ფიქრებიდან გამოვიდა. – დიახ, კონსტანტინ-ბეი, დიახ. 8-ზე გავდივართ, მალე მოვა აჰმედი ავტომანქანით და ავტობუსის გაჩერებამდე მიგვიყვანს. კიდევ ხომ არაფერი გნებავთ? – ჰკითხა იბრაჰიმმა და ნამცხვრის მოზრდილი ნაჭერი შესთავაზა პროფესორს, რაზეც მან უარი განუცხადა და მხოლოდ სთხოვა, მზარეული მოეყვანა და ასეთი გემრიელი საუზმისთვის მადლობა გადაეხადა.

ცოტა ხანში თურქმა მზარეულმა მოწიწებით ჩამოართვა ხელი ლურჯ კოსტიუმიან და ყვითელ ჰალსტუხიან სტუმარს მაშინ, როცა სტუმარმა, თურქული ჩვეულებისამებრ, შუბლი-შუბლზე თუ საფეთქელი-საფეთქელზე ორივე მხრიდან 2-2-ჯერ მიადო. მზარეული და ბავშვები ხელის ქნევით დაემშვიდობნენ კონსტანტინეს. ამ დროს აჰმედის „ფოლკსვაგენიც“ გამოჩნდა და ძმებმა პროფესორი ავტოსადგურისაკენ გააქროლეს.

– ყველგან მშვიდობისა და სისუფთავის, შინაგანი პატიოსნების განცდა სუფევს, აფერუმ თქვენ, – თავისთვის ჩაილაპარაკა კონსტანტინემ, როცა კიდევ ერთხელ გადახედა თავის ჯერ კიდევ მიმდინარე ფაზაში მყოფ მოგზაურობას თურქეთის მიწაზე, სადაც მან ისტამბულის კონფერენციაზე გამოსვლა მოასწრო და ახლა უკვე ბათუმისკენ მიეჩქარებოდა, რათა იქაც გამოსულიყო თავისი მორიგი მოხსენებით.

განსაკუთრებით ერთი რამ აოცებდა პროფესორს, – თურქები მოხსენებას დიდი გულისყურით უსმენდნენ და მის მეცნიერულ ძიებებს უფრო ღრმად უკვირდებოდნენ, ვიდრე საქართველოში ხდება ხოლმე. იმდენად სიამოვნებდა კონსტანტინეს ამგვარი ყურადღება, რომ ერთი კი გაიფიქრა, თურქეთში ხომ არ წავიკითხო ლექციებიო, მაგრამ იმ წამსვე უკუაგდო ეს აზრი.

– ამერიკაში არ დავრჩი, გერმანიაშიც, ძილში სულ საქართველო მაბოდებდა და ახლა თურქეთში წავიდე? სისულელეა! – გაიფიქრა კონსტანტინემ და უეცრად გაეღიმა. ამ ბოლო ხანს ხშირად აწუხებოდა იგი იდუმალ წინააღმდეგობებს საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ ქალაქში, სამეზობლოში, ოჯახშიც კი. ეს წინააღმდეგობა მართლაც იმდენად იდუმალი და უხილავი იყო, რომ პროფესორმა ბოლო ხანებში მრავალ პასუხზე გასაცემად ასტროლოგიაში დაიწყო ძიება. რამდენჯერმე საკუთარი ხელის გულებსაც დახედა და ქირომანტიულ ძიებებში შეფერხდა, მაგრამ აქაც ჩიხში მოექცა და გაჩერდა. კონსტანტინეს საქმის საკეთებლად ჯერ სრული ინფორმაცია და თეორიული მომზადება სჭირდებოდა. ალბათ ეს იყო მისი ხასიათის ნიშანი და სწორედ ამიტომაც გახდა იგი პროფესორი და არა ბიზნესმენი, სადაც რისკების ატანას უფრო მეტი შედეგი მოჰქონდა, ვიდრე თეორიულ ცოდნას. კონსტანტინე მიხვდა, რომ ასტროლოგიისა და ქირომანტიის ჭინკები და მამბერები მისგან საფუძვლიან პროფესიულ ცოდნას მოითხოვდნენ და ამ ცოდნის უქონლობის გამო შეჩერდა. იდუმალმა წინააღმდეგობამ კი გააგრძელა მისი გულის ფიცრის ხერხვა უჩინარი ხერხით ისე, რომ ნახევარი უკვე გადახერხილი ჰქონდა და მეორე ნახევარი მომავლისთვის დაიტოვა. კონსტანტინე ამერიკიდან, იელის უნივერსიტეტში წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ უმალ დაუბრუნდა თბილისს და მაშინ გააცნობიერა, რომ ადამიანები, თანამემამულენი, ახლობლებიც კი, მისი პიროვნებით მთლად კმაყოფილნი არ იყვნენ.

კონსტანტინე ამერიკის წიაღში – იელის უნივერსიტეტში, საკუთარ კაბინეტში ასკეტივით გამოკეტილი, საქართველოს ჯანდაცვის ეკონომიკის მოდელზე მას შემდეგ შეუდგა მუშაობას, როცა ერთი საინტერესო სტატიის წერა დაამთავრა. ეს სტატია ადამიანში ჰუმანური კაპიტალის ზრდის მეთოდებს ეხებოდა. კონსტანტინემ თითქოს აღმოაჩინა კიდევაც მეთოდი ადამიანის ჰუმანური სიმდიდრის შესაქმნელად. მან ამაზე 5 წლის წინ ფორმულაც კი შექმნა, რომლის ძალითაც ფიქრობდა ადამიანთა გაბედნიერებას. პროფესორმა ფორმულის საფუძვლად ისეთი არაათვლადი ცვლადი მახასიათებლები გამოიყენა, როგორც მიზანდასახულობა, ვაჟკაცობა, ქალის პატიოსნება, ორივე სქესის მოქალაქეთა სახელმწიფოებრივი აზროვნება და განსწავლულობა. ამ მახასიათებლებმა გააკვირვა პროფესორის ამერიკელი მენტორი, ჩინური წარმოშობის ბრძენი პროფესორი ჰონგ ვინგი, რომელიც კონსტანტინეს კონცეპციის გაცნობის შემდეგ აღფრთოვანებული და გაკვირვებული ამბობდა: – დაფიქრება გვმართებს, მაგრამ დიდი ოპტიმიზმი გვჭირდება ოსომ, მისტერ კარტველ„! მას შემდეგ თითქმის 4 წელი გავიდა, ბრძენი ჰონგ ვანგი გადაიკარგა, კონსტანტინე საქართველოში დაბრუნდა. ყველა დიდი იდეა თუ ჩანაფიქრი გაუთავებელ ლექციებში, სუფრებში, ლხინსა თუ პრობლემებში დაიკარგა და კონსტანტინეს მხოლოდ საკუთარი ხალხისაგან წამოსული იდუმალი წინააღმდეგობა შემორჩა. ჰონგის ერთგვარი პარადოქსი მისი არამეცნიერული მენტალური, ანუ თვისობრივად არამეცნიერული, მაგრამ სახით მეცნიერული არსებობისა.

– ნუთუ საკუთარი ჰუმანური კაპიტალიც დავკარგე? – გაიფიქრა კონსტანტინემ და როდესაც ძმებმა – აჰმედმა და იბრაჰიმ ულუსლასარებმა „ფოლკსვაგენი“ დიდ, თეთრ ავტობუსთან შეაჩერეს და მისი ჩანთა ავტობუსის „გადახსნილ მუცელში“ გადაიტანეს. მძღოლი – ჰალსტუხიანი თურქი, მისალმების შემდეგ, ხალისით შეუდგა ჩანთის დაბინავებას. აჰმედი და იბრაჰიმი პროფესორს დასამშვიდობებლად გადაეხვივნენ – თავით თავზე დაებდნენ, საფეთქელი-საფეთქელზე მიაჭდეს. დამშვიდობებისას კონსტანტინემ ჩვეული ზედმეტობა გამოიჩინა და, – თქვენ ჩემი ძმები ხართო, – უთხრა მასპინძლებს, რომლებიც სირცხვილისაგან გაწითლდნენ, რადგან მათთვის, სახელგანთქმული მეცნიერის მხრიდან, გამოჩენილი ამგვარი ჟესტი ყოველგვარ წარმოდგენას აღემატებოდა. ძმები მანქანაში ჩასხდნენ და გამოემშვიდობნენ. კონსტანტინე შემოტრიალდა და ავტობუსში ავიდა: – თეთრ ვეშაპს ჰგავს, რომელმაც ენოქი გადაყლაპა, ხომ არ იყო ის ვეშაპი რაღაც მცურავი აპარატი ნეტავ? – ფიქრობდა თავისთვის.

– ბათუმისკენ, თეთრი ვეშაპის მგზავრებო, დაბრძანდით, ყავას მოგართმევთ. მე ია მქვია, თქვენ? – მომმართა საკმაოდ გაცვეთილი ხმით ქართველმა გამცილებელმა გოგონამ, რომელსაც იმერული ნაკვთები და ცისფერი, მაგრამ დაღლილი თვალები ჰქონდა.

– გმადლობთ, მე კოტე მქვია, აქ დავჯდები, თუ შეიძლება? – უთხრა პროფესორმა და ავტობუსის გამცილებლის ცისფერმა, დაღლილმა თვალებმა, მას კვლავ იდუმალი წინააღმდეგობის განცდა მოჰგვარა. ავტობუსში უეცრად სიჩუმემ დაისადგურა. კეხიანმა, მოგრძო ცხვირებმა, ქართულ- თურქულ-სომხურმა ელემენტებმა თუ მათმა ნარევმა, პროფესორის თვალწინ გაიელვა და ისიც უმალ მიხვდა, რომ ადამიანური კაპიტალის პატარა ლაბორატორიაში მოახვედრა განგებამ. მისი ტვინი სწრაფად ამუშავდა: – აქ ომნიზეს კვლევასაც გავაკეთებდი და ეთნოგრაფიულ კონცეპციასაც შევიმუშავებდი, – გაიფიქრა და საწერი კალამი მოიმარჯვა, უბის ჯიბიდან თავად ფილიპ კოტლერის მიერ ნაჩუქარი ბლოკნოტი ამოაძვრინა, გადაფურცლა და წერას შეუდგა. ამ დროს ავტობუსი ატორტმანდა. ერთმა კეხიანმა ცხვირმა, გამცილებელ იას რომ მისშტერებოდა, გამომწვევად გასძახა: – დაია, ქმარი თუ გყავს? იამ პასუხად ჭინკისა და მამბერას, ბერიკასა და ოინბაზის ყველა ილეთი გამოიყენა, უეცრად გარდაიქმნა, თვალები გაუნათდა და იმერული კილოთი ბრძანა: – უიმე, დაია, სამი ქმარი მყავს. იქ, ტრაბზონში და ერთიც სამსუნში. – ჰი, ჰი, ჰი. ვერ მოგართვეს. რა ქმარი, ქალო, ქმარი ქალს ამ დამწვარ ავტობუსზე გამოუშვებს სამუშაოდ? ყველა გაჩერებაზე, ყველა შავი, წითური ახმედი თუ ოხერი გჩქმეტს და გეხვეწება, მის გარაჟში დარჩე, თუნდაც ერთი წლით და, თუნდაც, ერთი ღამით. რაფერ გამაცინე! მაინც ვერ გაიგებ, შენ, მე რას ვგულისხმობ. თვითონ თუ გყავს ქმარი, დაია? – არ გაგიკვირდეს რომ ასე ავიბუძგე. ასეთი კითხვა როგორ მაკადრე, ჯობდა პირდაპირ შემოგელაწუნებინა და მერე ისეთს გითავაზებდი, რომ, აგერ, პროფესორი რომ ამოვიდა და ახლა ბლოკნოტში რომ იწერს რაღაცას, ისეთ თემას მივცემდი, რომ ყველაფერს დავავიწყებდი.

გამცილებელი გოგონა ისე ახარხარდა, რომ მისი ქალური კდემამოსილების ბოლო ნაშთიც კი სადღაც გადაიკარგა და კონსტანტინეს თვალწინ ვნებისაგან დამთვრალი, დიონისეს მიმდევარი, ლოთი, უშვერსიტყვიანი, უმწიფარი, ქალ-ბიჭა, გარდამავალ სქესიანი ვაკხი, ჭინკა, შფოთისთავი, თამაგანწყობილი ია ამოიწვერა: – ღიპიც ჰქონია. ეს თუ ქალია, მაშინ მე ვყოფილვარ მინადორა! – გაიფიქრა პროფესორმა და ფილიპ კოტლერის ნაჩუქარ ბლოკნოტში პირველი წინადადება ჩაწერა: – „ქალ-ბიჭა იასთან შეხვედრა“. ნეტა ამას თუ აქვს რაიმე ადამიანური კაპიტალი? საკითხავი აი ეს არის! მაგრამ, რა კითხვა დაუსვა? – უეცრად ჰამლეტად წარმოიდგინა თავი პროფესორმა. ჰამლეტმა ამ პარადოქსებს კიდევ ერთხელ შემახვედრაო და ქალების იასთან სიტყვიერ კამათს მიენდო, მთელი ეთნოგრაფიული დაკვირვება ყურების ცქვეტით შემოიფარგლა.

– მე რომ მომწვდი, გოგო, რა დაგიშავე? ისე გკითხე რა, ქმარი თუ გყავსო, ბოდიში ჩემო დაიავ, თუ რამე გაწყენინე. – დასამშვიდებლად განაგრძო საუბარი მომცრო ტანის, კეხიან ცხვირიანმა ქალმა, რომელიც კვლავ მუშტადქცეულ, გასარტყმელად მომზადებულ იას მიშტერებოდა. ია კი სულ მთლად დაიკუნთა და კეხიან ცხვირიანს მიუახლოვდა. ყველა ტყლაშანის მოლოდინში გაირინდა, იამაც აღარ დააყოვნა, კაბა აიწია და სამურაივით, მოკლე ხტომით მიუახლოვდა საწყალი თვალებით მომზირალ ქალს, რომელსაც წინ წამოწეული ნიკაპი ახლოს მიუტანა და კბილებში გამოსცრა: – გოგოვ, დაბლა ჩაგათრევდი, ჩემი ავტობუსი რომ იყოს, მაგრამ ამ ჩათლახისაა და გადარჩენილი ხარ, თანაც სარფს ვუახლოვდებით და, ჰაიდა, ახლა, შენი სულელური კითხვებით, გაიგე? შეშინებული ქალი ათრთოლებული უსმენდა იას, რომელმაც საუბრის გათავება იმით დააგვირგვინა, რომ გიტარა მოიმარჯვა და „შატილის ასულო“ წამოიწყო.

– ყალბი ხმით მღერის, მაგრამ სმენას არა უშავს, – ჩაილაპარაკა კონსტანტინემ. „თეთრი ვეშაპი“ ნელა უახლოვდებოდა საქართველო - თურქეთის საზღვარს. უეცრად ყველა გაირინდა, იაც გაჩერდა და, ბოლოს, ისევ მისმა ღრიალმა გამოაფხიზლა დაღლილი მგზავრები: – ჩვენი მიწაა, რას გაჩუმებულხართ, აბა ვუმღეროთ ქართულ მიწას რაიმე, მოდით, ვუმღეროთ: – „გაფრინდი შავო მერცხალო, გაფრინდიიიი... შავოოოოო მერცხალოოოოოო...“ – წამოიწყო ბოხი ხმით, მერე ცოტაც გააფუჭა, მაგრამ ერთი სანდომიანი სახის ქალბატონი, რომელიც ის აჰყვა, ისეთი სწორი ტონალობით უშვებდა ჰანგებს, რომ იას ვოკალური ჩავარდნები ამოსწია და საქართველოს საზღვარს გარეთ დარჩენილი საქართველო წამიერად თითქოს მართლაც შეიცვალა, აიქოჩრა და საყოველთაო ეროვნულ ჟრუანტელში ჩაშაქრდა.

– როგორც დაკვირვება მიჩვენებს, ამ „ეროვნული ჟრუანტელის“ შემდეგ მუდამ სირცხვილის გრძნობა ეუფლებათ თანამოჟღურტულებს. საინტერესოა, აქაც თუა მსგავსი სინდრომი, განცდა, თუმცა, ვის უნდა ვკითხო? – გაიფიქრა კონსტანტინემ და მის წინ მჯდომ 25 წლის ქალიშვილს გამოელაპარაკა:

– თქვენც მღეროდით, არა? – და ახლოს მიუჯდა.

– არა. პირს ვაღებდი, მხოლოდ. თქვენ? – იყო მოკლე პასუხი.

– მე არ ვმღერივარ, ომნიზეს კვლევას ვახორციელებ. აი ჩემი სავიზიტო ბარათი.

– კარგით, რა, ბიძაჩემო. რა კვლევაა ასეთი, იქნებ მართლა ეგრეა თუ სხვა მიზეზია?

– ჟრუანტელმა ხომ არ დაგიარა, სიმღერის დროს?

– დიახ, დამიარა, მაგრამ სწრაფადვე გადამიარა, – ეშმაკურად გადახედა რესპოდენტმა კონსტანტინეს. ალბათ, მასში კარგად მოვლილი, საინტერესო მამაკაცი აღმოაჩინა.

– ალბათ შემდეგ სირცხვილის განცდაც დაგეუფლათ? – არ შეეშვა კონსტანტინე გოგონას.

– გამიშვი, ჩავდივარ, აღარ მინდა კითხვები! – შეჰყვირა გოგონამ და სასოწარკვეთილი სახით წინ გადაჯდა და კისერზე ჩამოკიდებული სასმენები ყურში გაირჭო.

კონსტანტინე გაშრა და გაქვავდა. უეცრად მასაც დაეუფლა სირცხვილის და იდუმალი დაძაბულობის განცდა, მაგრამ... – სარფს ვუახლოვდებითო, – დასძახა გამცილებელმა და კონსტანტინემაც პასპორტის ძებნა დაიწყო ისე, რომ წერისათვის თავი არ მიუნებებია. გრძნობდა, რომ რაღაც სერიოზულს წააწყდა და ამის შესახებ აუცილებლად უნდა ჩაეწერა, შემდეგ კი გაეანალიზებინა ჩანაწერი.

– „2012 წლის მაისია. ვბრუნდები კონფერენციიდან სარფის საბაჟოს გავლით. ვდგავარ სადღაც მეჩეთსა და ეკლესიას შორის. მოვიწევ სამშობლოსაკენ“. ჩაწერა მეცნიერმა ბლოკნოტში და აყაყანებული ხალხის რიგში ჩადგა. ძლივს მიაღწია „დისთობამდე„და პასპორტი გაუწოდა თურქ მებაჟეს, რომელმაც თურქულად რაღაც უთხრა და კონსტანტინემ მეჩეთს კვლავ გახედა, მერე ეკლესიაზე გადაიტანა მთელი ყურადღება. მეჩეთი თითქოს გალაღებული ჩანდა, ხოლო ეკლესია – ასკეტური და ჩაფიქრებული.

– „ახალგაზრდა ისლამი, ჯერ კიდევ გავრცობის, გაფართოების ძალას ფლობს, აქ, სარფში, იგრძნობა ორი მდინარის დაპირისპირება, მრავლისმნახველი ქრისტიანობა ეჭვისთვალით შეჰყურებს ისლამს, რომელიც ახალ ტალღას ამზადებს ამ ასკეტი გოლიათის წინააღმდეგ, მე კი სადა ვარ?“ – ჩაწერა კონსტანტინემ და ღრმად დაფიქრდა... მართლაც სად იყო იმჟამად.

ამჯერად კი იგი მეჩეთის მიწაზეა და ტაძრისაკენ მიიკვლევს გზას, ნაბიჯებსაც ლაღად, თუმცა უფრო მოწიწებით დგამს, თავმოდრეკილი უახლოვდება სამშობლოს მიწას. ბედის ირონიაა, განა თურქეთის მხარესაც ძირძველ ქართულ მიწაზე არ იდგა ამ ცოტა ხნის წინ? დიახ. მაგრამ! ოჰ, ეს მაგრამ!!! ამ „მაგრამ“-ის აღსაწერად მრავალი ფილმი გადაიღება, მრავალი წიგნი და სტატია დაიწერება, მაგრამ? აქაც „მაგრამ„! – წერე და იკითხე!

კონსტანტინემ იგრძნო, რომ იგი დიდ ბრძოლებში დამარცხებულ-შევიწროებულ, დაშლილ, კავკასიის ქედზე მინარცხებულ სამშობლოს უახლოვდებოდა, „მაგრამ“... კვლავ „მაგრამ“ არ ასვენებდა პროფესორს, რომლის მოცანცარე ჰალსტუხი რაღაც უაზრო მელოდიას უმღეროდა და იკლაკნებოდა...

– ტაქსი... ტაქსი... რამდენჯერმე შეევაჭრა ტაქსის მძღოლებს, რომლებიც პროფესორს არარეალურად გაზრდილ ფასებს სთავაზობდნენ, მას კი, ბათუმში, კონფერენციაზე ეჩქარებოდა და, ბოლოს, როგორც იქნა ბათუმისაკენ დაიძრა:

– მოდიან თურქები, ერთმანეთს ეპატიჟებიან, უყვებიან (ცოტა თურქული მეც მესმის), ვხვდები რასაც ამბობენ, – აჭარა ჩვენი იყოო... გაოგნებული ვარ. ერთხელ საუბარში ჩავეჭერი, – რას ამბობთ-თქო, ვეღარ მოვითმინე. შემაჩერებინეს ავტომანქანა, ჩავიდნენ და სხვა ტრანსპორტში გადაჯდნენ, – არ ჩერდებოდა აღელვებული მძღოლი და კონსტანტინესაც დაჟინებით აკვირდებოდა, – ესეც თურქი ხომ არ არისო.

– რთული მდგომარეობაა, ძალიან რთული. – ჩაილაპარაკა კონსტანტინემ და დადუმდა.

– გახსოვთ, ალბათ, რუსები რომ ამბობდნენ, – „სტრაშნი კაკ ტურკიო„! – არ ცხრებოდა მძღოლი.

კონსტანტინე კი ისევ ფიქრს მისცემოდა – რუსები 90-იან წლებში მოვიძულეთ ქართველებმა, არა ქართველებმა კი არა, უგუნურმა დისიდენტმა ლიდერებმა, რუსების გინებაზე ააგეს თავიანთი პოლიტიკური პლატფორმა, წინა ხელისუფლებებმაც 2001 და 2002 წლებში ხომ იგივე გაიმეორეს. შემდეგ, 2005-2007 წლებში იმდენი აგინეს ჩრდილოელ მეზობელს რომ...

აღარ მინდა ამაზე ვიფიქრო. ტვინი

→

დაადუმა კონსტანტინემ, მაგრამ პროფესორის კვიმატმა ტვინმა, უხმოდ განაგრძო ფიქრი იმაზე, თუ რა უნდა ქნას ქართველმა ხალხმა, თუ ახლა თურქეთის კარიც ჩაირაზება პოლიტიკის გასაღებით...

— „ქარდუნიას მეფეები ჩვენი თანამოძმეები იყვნენ, ისინი ერაყში იჯდნენ და იქიდან მართავდნენ“, — ყელმოღერებით ყვება ქალბატონი ნათელა საკონფერენციო დარბაზში თავისი თემის თითქოსდა ყველაზე დიდ მიგნებას. „რა ქარდუნია, რა ერაყი?“ — გაოფლილი შევარდა კონფერენციაზე კონსტანტინე, დასაჯდომი ადგილი მონახა და სმენად იქცა.

— „მე მოვითხოვ, GE გადაკეთდეს QA-დ საქართველოს ინტერნაციონალურ კონტექსტში წარმოსაჩენად„! — ბრძანებს მომხსენებელი ნათელა და ყველაფერი გასაგებია. მისი თემა იმთავითვე არარეალურია და მისტიურ-სულელურია. აი, ახლა, თურქი პროფესორი გამოვა — ისმაილი. ნახეთ, როგორ წააგავს ტანმორჩილი ისმაილი დიდ რევოლუციონერს, ახალგაზრდა თურქეთის ლიდერს „ენვერ ფაშას“. ისმაილ ოსოის უბრწყინავს სათვალე, იგი სწრაფი ნაბიჯით აიჭრა ტრიბუნაზე და თავის ნაშრომი ინგლისურად ჩამოარაკრაკა. ბათუმის უნივერსიტეტი, როგორც დასაკლავად განწირული მსხვერპლი, ისე უსმენს ისმაილ ოჯამს, რომლის თემა მეტად საინტერესოა და მთელ მსოფლიოში ამ რელიგიის ბატონობის ფინანსურ მხარეს ეხება — „ისლამური ბანკინგი“, ანუ საბანკო საქმე, ისლამური კანონებით გახლავთ ისმაილისა და მსოფლიოს თავსატეხი. ისმაილი კონსტანტინეს გაჰყურებს, რადგან შარშან სწორედ კონსტანტინემ პირველმა შეუტია ისლამური ბანკინგის თეორიას. უცნაურია ახლა კონსტანტინე დუმს და ისმაილს თვალს არ აცილებს. — ძალიან გადავიღალე გზაში, ამ ისმაილს ახლავე შევუტევ და ისეთ კითხვებს დავუსვამ, რომ ადგილზე მოჯდება, მაგრამ, ოჰ ეს „მაგრამ“ არ მასვენებს, ეს თურქები ზურგიდან რომ დამყურებენ, მომავალ წელს მოინდომებენ ჩემს დადუმებას კონფერენციაზე, ვიღაცას მოიწვევენ, რომელიც უცოდინარობის ან კომფორმიზმის გამო ტაშის კვრით გააცილებს სახლში ისმაილებს და სხვა ფაშებსა თუ ბეიებს.

— ბატონო კონსტანტინე, თქვენ არ გაქვთ შეკითხვა? წინა შეხვედრაზე სწორედ თქვენ აქტიურობდით. ისმაილის გამარჯვებული მზერა მისი სათვალის ათინათსაც გადაედო და სხივი სწორედ კონსტანტინეს მიმართულებით გასტყორცნა.



— დიახ, მე, ცოტა არ იყოს, დავიღალე, გუშინდელს აქეთ, მოვფრინავ ბათუმისკენ, მაგრამ კითხვა როგორ არ მაქვს, ისმაილ-ბეი, — დაბნეულად დაიწყო კონსტანტინემ, ინგლისურის აქცენტი სულ მთლად ამერიკული რომ ჰქონდა და იელის უნივერსიტეტში ერთწლიანი სტაჟირების შემდგომ თავი რომ მოჰქონდა, ჟღერადი ამერიკანისტული გამოთქმებით.

ისმაილი, პანტურქის ფარული ძრწოლით ელოდა კონსტანტინეს მიერ კითხვის შუბივით ძგერებას: — ბატონო ოსოი, ისლამური ბანკინგი კრედიტზე პროცენტს არ ითხოვსო, — აი უკვე მერამდენე წელია ამბობთ თქვენ და ახლაც აცხადებთ, მაგრამ, ბატონო ისმაილ, წარმოიდგინეთ, ამგვარი ისლამური ბანკი კუნძულზე, სადაც, ვთქვათ, 1000 საწარმოა, ორ წელიწადში ისლამური ბანკი თითქმის ყველა საწარმოს მეწილე გახდება, ხოლო 10 წელიწადში, კუნძული ისლამურ მონოპოლიას დაექვემდებარება! ასე არ არის? — იკითხა კონსტანტინემ ყელმოღერებით და ოსოის სათვალიდან არეკლილი სხივი თვალში მოხვდა. — პირდაპირ მიმიზნებს პროფესორი ოსოი? — გაიფიქრა მან და პასუხის მოლოდინში გაირინდა.

ისმაილ ოსოი შეშფოთებული არ ჩანდა, იგი, უბრალოდ, კონსტანტინეს აკვირდებოდა, უღიმოდა და პასუხის მიმართულებას აყალიბებდა.

— აი ბოლშევიკი, იდეოლოგიის მოყვარული ბანკირი. ეს ბოლშევიკზე უარესი მონაა. — გაიფიქრა კონსტანტინემ და თვალი მილულა. ოსოის სტანდარტულ პასუხს არც კი უსმენდა. იგი შეშფოთებული იყო...

კონფერენციის დახურვისას ქართველებმა სამსხვერპლო ცეკვები შეასრულეს. მრავალი ქვეყნის მოქალაქე აღფრთოვანებული უყურებდა მოგოგმანე მოცეკვავეებს და წარა-მარა სურათებს უღებდნენ. დარბაზში მხოლოდ ოსოი ისმაილი არ დაუნახავს კონსტანტინეს, ენვერ ფაშას იდეური მემკვიდრე სწრაფად გამგზავრებულიყო, მოუცლელობა მოუმიზეზებია და მართლაც იყო მოუცლელი, იგი ხომ ვებერთელა ისლამური საზოგადოების საფინანსო იდეის პრომოციაში ათენებდა და აღამებდა.

— ეჰ, ჩემო ბედკრულო სამშობლოვ, მურვან ყრუს, იდიოტი გრაფი კანკრინის, ლენინისა და ხრუშჩოვის შემდეგ მოგიწევს ისლამური ეკონომიკის, ფინანსების და, განსაკუთრებით, მათი „ბანკინგის“ გადატანა... ღრმა ფიქრობს მისცემოდა კონსტანტინე, რომელიც კონფერენციის დამთავრებისთანავე ფეხით აუყვა ერას ქუჩას, სადაც მისი ახლო ნათესავები ცხოვრობდნენ.

— გაუმარჯოს უძველეს ციხისჯვარელებს, ბიძაჩემს და ბიძაშვილებს, თქვენი კონსტანტინე მოვედი. სიხარულით ეხვეოდა დაღლილი პროფესორი სისხლისმიერ ახლობლებს და ლოყებზე ქართულად კოცნიდა. იჯდნენ ციხისჯვარელები თავიანთ გამოფხეკილ სახლში, გამოფხეკილი ჯიბეებით და ამაყად შეჰყურებდნენ თავიანთ ბიძაშვილს!

— საიდან ჩამოხვედი, კოსტ? — იკითხა თვალმშვენიერმა ბიძამ — ზურიკომ.

— სტამბოლში ვიყავი, კონფერენციაზე, შემდგომ სწრაფად გამოვწიე ბათუმისაკენ, ტრაბზონში ჩამოვფრინდი და, თურქები რომ არა, ბათუმში ვერ ჩამოვასწრებდი დღეისათვის.

— რატომ გეჩქარებოდა, ასე? — ჩაიცინა ბიძამ და ღვინო „სტალინის“ ჭიქაში ჩამოასხა.

— აქაც კონფერენციაზე მოვიჩქაროდი, გამოსვლა მქონდა. უნდა ჩამომესწრო და ჩემი პოზიციები დამეცვა. ჭიქას-ჭიქაზე უჭახუნებდა ბიძაშვილებს კონსტანტინე და ერთი სული ჰქონდა, დასაძინებლად განმარტოებულიყო.

— რა ხდება ოსმალეთს? — იკითხა უფროსმა ციხისჯვარელმა.

— ეჰ, ბიძაჩემო, ოსმალეთს რა უჭირს, კარგად არიან. დღეს ჩვენი მეგობრები არიან, მაგენი. — გურულად მოაგროვა სათქმელი და მიართვა ბიძას.

— რას ამბობ, კოსტა — არ არის და ვერც იქნება თურქი — ოსმალო, ჩვენი მეგობარი, ეს რა მითხარი? — თვალები სიბრაზისაგან აენთო უფროს ციხისჯვარელს.

— ადამიანის ბედნიერება, ერთის მხრივ, მარტივი ჭეშმარიტებაა: სიყვარული, შთამომავლობა, საკვებით უხვი სივრცე მათთვის და შენთვის. ამ საქმეში თურქები წინ არიან, ბედნიერი ხალხია. მრავლდებიან და მიდის ქვეყანა წინ. — განმარტა დაღლილმა კონსტანტინემ.

— ჰო, მაგრამ, ნახევარი საქართველო რომ წაუღიათ და ახლა აქეთაც გვიტევენ, ექნებათ სარჩო-საბადებელი, აბა რა. — თქვა ერთ-ერთმა ციხისჯვარელმა და პროფესორმა იგრძნო, რომ მთავარი მშვიდობაა ამ სანაპიროზე.

— მშვიდობა ეწოდება უხმაურო კონფლიქტების დიდ სიმრავლეს, სადაც ერთ-ერთი იმარჯვებს ბუნებრივ კონკურენციაში, ხოლო მეორე ემზადება, ფიქრობს, ეძებს კონკურენციის სტრატეგიულ ფორმებს, რომლითაც წაგებულს უკან მოგება აქვს გადაწყვეტილი, — გაიფიქრა და დაამატა: — საყვარელო ბიძა და ბიცოლა, ნუ მაკამათებთ ახლა პოლიტიკაზე და, განსაკუთრებით, ეკონომიკაზე, გთხოვთ, დამაძინოთ. ხვალ არც საუზმეზე შეწუხდეთ, რადგანაც 7 საათზე უხმაუროდ გავიპარები.

— დარჩი, ბიჭო, კაი ღვინო გვექნება ხვალ, „აცანური“. — ჩაიცინეს ციხისჯვრელებმა.

— ღვინოს რომ სვამდნენ ქართველი პოლიტიკოსები პარიზში, იმიტომაც დავაგვიანეთ ერთა ლიგაში შესვლა, არ მინდა ლხინი, მამუშავეთ ხალხო, თორემ, თუ მაშინ მე-11 არმიამ დაგვიპყრო, ახლა ისლამური ბანკი მოგვიღებს ბოლოს, სიმწრით გამოსცრა კონსტანტინემ კბილებში და დასაძინებლად მოემზადა.

— მაგი რაა? — იკითხა ბიძამ.

„ახალი მარქსიზმი“. — განუმარტა კონსტანტინემ ციხისჯვრელებს და საწოლზე გაიშოტა.

იმ დროს, როცა ციხისჯვრელებს ეძინათ და, იქნებ, უკან დაბრუნებული ციხისჯვარი ესიზმრებოდათ, ოსმალო ოსოი, ენვერ ფაშას მსგავსი სათვალითა და ულვაშით შემკული, სარაევოს კონფერენციის ტრიბუნაზე იდგა და თავის საყვარელ თემაზე ლექციას თურქულად კითხულობდა.

---



# „შეხვედრა ჯავახეთთან“

ზუსტად რვა წლის წინ, ფრიად განათლებულმა, განსწავლულმა, თავის კუთხე-კუნჭულზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ჯავახმა კაცმა კუკური მეტრეველმა ჯავახეთის ისტორიით, კულტურით დაინტერესებულ ადამიანებს დიდი საჩუქარი გაუკეთა, — საკუთარი სახსრებით გამოსცა დიდებული, შესანიშნავად ილუსტრირებული, ორენოვანი (ქართულ-რუსული) სამაგიდო წიგნი — „ჯავახეთი“, რომელმაც, გამოცემისთანავე, ფართო საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო.

უკანასკნელ ხანს ჯავახეთით არაერთი ცნობილი მეცნიერი, მკვლევარი დაინტერესებულა. ბევრი სამეცნიერო, პუბლიცისტური ნაშრომიც გამოქვეყნებულა, არაერთი წიგნიც დაბეჭდილა, მაგრამ ბატონ კუკურის დასახელებული ნაშრომი კიდევ ერთი დიდი შენაძენია ჯავახეთზე არსებულ სხვა გამოცემებს შორის.

**„სამშობლოზე ძვირფასი განა რა აქვს ადამიანს? არც არაფერი! ამიტომ ჭირდება მას თვალის ჩინივით გაფრთხილება, დაცვა და პატრონობა“.** — წერს შესავალ ნაწილში ავტორი და, მართლაც, სამშობლოზე ძვირფასი რა უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისათვის. მის თითოეულ გოჯ მიწას გაფრთხილე ბა, მოვლა-პატრონობა ჭირდება.



ჯავახეთი ჩვენი წმიდათა წმიდა ადგილია, საიდანაც შემოაბრძანა ქრისტეს ჯვარი წმინდა ნინომ და ცოტა ხანში სრულიად საქართველო მოაქცია ქრისტეს რჯულზე. სწორედ ამ რწმენამ იხსნა სრულიად საქართველო გადაშენებისაგან, ქრისტეს რჯულზე მოქცევამ შეგვაქმნევინა ზარზმა, საფარა, გელათი, სვეტიცხოველი, კუმურდო... ყველა ის სიწმინდეები, რომლებშიც სახიერდება მთელი ქართველობა და რომელ ჯვარმაც გამოგვატარა საუკუნეები და დღემდე მოგვიყვანა. ჭეშმარიტი რწმენა გადაგვარჩენს დღესაც, სწორედ ახლა, როდესაც გამალებული ბრძოლა მიმდინარეობს ეროვნულ ფასეულობებთან, სიწმინდეებთან... ლიბერალიზმი არ ნიშნავს აღვირახსნილობას, ადამიანი ყველაფრისაგან თავისუფალი არც არასოდეს ყოფილა და არც არასოდეს იქნება, რადგან ჩვენი თავი, ჩვენი სიცოცხლე, ყოველთვის ეკუთვნის, უპირველესად, დედასამშობლოს, ოჯახს და ვალდებულები ვართ დავიცვათ ეს ჭეშმარიტი მცნება. კარგად თქმულა — ყველაფრისაგან თავისუფლები მხოლოდ გიჟები არიან! ამიტომ გვმართებს ყოველთვის იქ ვიყოთ, სადაც სამშობლოს დაჭირდება.

ვისაც ერთხელ მაინც დაუვლია სამხრეთ საქართველო, მისი უმშვენიერესი სანახები, ერთხელ მაინც დამტკბარა კუმურდოს საკათედრო ტაძრის სიდიადით, ერთხელ მაინც უგემნია ლაღი ფარავნის გრილი სიოს შეხებაც კი, არ შეიძლება არ შეყვარებოდეს ეს მხარე. კუკური მეტრეველი თხემით-ტერფამდე ამ მიწის შვილია, ურომლისოდაც ვერ წარმოუდგენია სიცოცხლე. თბილისში, დედაუნივერსიტეტში მუშაობას, პროფესორის პორტფელს, დიდ ქალაქში ცხოვრებას, ანაცვალა ეს მიწა, სადაც დაიბადა, გაიზარდა, ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები გაატარა... ამიტომ სხვებზე მეტად განიცდის მის სიყვარულს (სიყვარულში გაჯიბრებაც ხომ დიდბუნოვანი ადამიანების ხვედრია). მისი სამეცნიერო კრებული — „ჯავახეთიც“ ხომ ამ ღვთაებრივი სიყვარულითაა გაჯერებული.

60 წელს გადაცილებულ მეცნიერ-კიბერნეტიკოსს, ალბათ, თავისი პროფესიისთვის იმდენი დრო და ენერგია არ შეულევია, რამდენადაც ამ წმინდა მიწისთვის დახარჯულა — მტკაველ-მტკაველ დაუვლია მისი ქარაფები, ველ-მინდვრები, ეკლესია-მონასტრები, სათუთად მოფერებია, შეუსწავლია, წერილობით დოკუმენტებს ღრმად ჩასწვდომია და, მასთან ერთად დიდებული ფოტო მატიანეც შეუქმნია, იგი თავის წიგნშიც შეუტანია და საშვილიშვილო საქმე გაუკეთებია. ეს დიდი ღვაწლი უყურადღებოდ არ დარჩენილა, — მას არაერთხელ დაუთმეს საგამოფენო დარბაზები როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და მრავალ დამთვალიერებელს მიეცა საშუალება ახლოს გასცნობოდა ჯავახეთის უნიკალურ ხედებს, პეიზაჟებს, ისტორიულ ძეგლებს; რამდენიმე ტელეარხმაც მიუძღვნა სპეციალური გადაცემა და ტელეარხ „იმედის“ „იმედის გმირიც“ გახდა.

ახლახან კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა კუკური მეტრეველთან, როგორც ფოტოხელოვანთან, ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. რომლის ნამუშევრები ყოველთვის გამოირჩევიან თავიანთი ინდივიდუალობით, ორიგინალობით, მხატვრული ღირებულებებით და ფოტოხელოვანისათვის დამახასიათებელი ფორმით — საკუთარი ხედვით, ფერთა სიუხვით. მაგალითისთვის შორეთის მონასტრის, ქვაბ-კომპლექსების ხედებიც კმარა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ღონისძიების ორგანიზატორმა, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა **ლილი აჩელაშვილმა**, მის შემოქმედებაზე ისაუბრა მსახიობმა **მანანა ბერიძემ**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის მენეჯერმა **ციური ლაფაჩმა**, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ**, ქ.ახალციხის მერის მოადგილემ **გურამ მელიქიძემ**, მერიის კულტურის სამსახურის სპეციალისტმა **რეზო ანდღულაძემ**, ბიზნესმენმა **ვლადიმერ ზედგინიძემ**, ახალგაზრდა პოეტმა **გიორგი ბერიძემ**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **გელა ნოზაძემ**, ფოტოხელოვანის თაყვანისმცემლებმა **ალექსანდრე თამაზაშვილმა, ელეონორა გვარამაძემ, ლალი მექოშვილმა, ზაზა ნათენაძემ**, სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურიის უფროსმა **ქეთევან მეშველაძემ**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელმა **ლალი ბერიძემ**; უმცროსკლასელმა **დავით ინასარიძემ** წაიკითხა მესხეთისადმი მიძღვნილი ლექსი.

ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში ხშირად იმართება კულტურული ღონისძიებები, — შეხვედრები კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. დასასრულს ხაზგასმით აღინიშნა, რომ შეხვედრა კუკური მეტრეველთან, როგორც ჯავახეთის დიდ კოლორიტთან, იყო ჯავახეთთან შეხვედრა, იმ ტკივილების გაზიარება, რომელიც ესოდენ აწუხებს მთლიანად ჯავახეთს და თითოეული ჭეშმარიტი ქართველისაგან მეტ მხარდაჭერასა და ყურადღებას მოითხოვს.

თუ ოდესღაც ჯავახეთის პურის ბეღელმა იხსნა სრულიად საქართველოს მოსახლეობა შიმშილისაგან, დღეს ქართულმა კულტურამ, — „სულის პურმა“ უნდა იხსნას ჯავახეთი დამცრობისაგან.

ავთანდილ ბერიძე

# ომაზ ჩხეიძე – 70

## მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული



ბორჯომელ მწერალს და მხატვარს ომაზ ჩხეიძეს 70 წელი შეუსრულდა. მას, სამწუხაროდ, არათუ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის მხარეშიც კი ,,წესიერად“ ვერ იცნობენ. თვითონ არ ცდილა (და ახლაც არ ცდილობს) თავისი სახელის პოპულარობას და იმიტომ! არადა, მას სწორედ სამცხე-ჯავახეთის ისტორიაზე აქვს დაწერილი შესანიშნავი ისტორიული რომანი ,,გახლეჩილი რწმენა“. ამ რომანს, ჩემი პიროვნული შეფასებით, საქართველოში დაწერილი ისტორიული ჟანრის რომანების პირველ ათეულშიც კი შევიყვანდი! ეს წიგნი მთლიანად საქართველოში თუ არა (რატომაც არა?), სამცხე-ჯავახეთის სკოლებში (და უმაღლეს სასწავლებელში) მაინც უნდა ისწავლებოდეს, რადგან ძალზე მნიშვნელოვანია იგი, როგორც მხატვრული ძეგლი, – მესხეთში მცხოვრებ ქართველთა ტანჯული ისტორიული ყოფის წარმოსაჩინებელი.

მისი საიუბილეო ხნოვანების ზუსტად შუა წელზე, სრულიად შემთხვევით, გავიცანი ბატონი ომაზი. ფშავიდან ახალი ,,გადმოხვეწილი“ და ,,გაბორჯომებული“ ვიყავი და, რადგანაც ჭადრაკი ჩემი ,,ჰობია“, მინერალური წყლების ისტორიული პარკის წინ მდებარე ჭადრაკის მშვენიერ სახლს მივაკითხე. იქ ვიღაც სიმპათიური ახალგაზრდა მოწინააღმდეგეებს რიგ-რიგობით ,,ცელავდა“. მალე ჩვენი შერკინების ჯერიც დადგა. მე წინააღმდეგობა გავუწიე და დამიმახსოვრა. თურმე, რაიონის მრავალგზის ჩემპიონთან მქონდა საქმე (შემდეგში მისი ,,უხერხული მეტოქე“ ყოველთვის ვიყავი). გაცნობისას თავისი სახელი ,,ომაზი“ რომ მითხრა, ,,ომარი“ მომესმა. არა, ,,ომაზი“ მქვიაო. ასეთი სახელი არ გამეგონა. ალბათ, საქართველოში, მართლაც არავის ჰქვია ,,ზ“ თანხმოვანგარეული ეს სახელი.

ჭადრაკმა დაგვამეგობრა. ბატონი ომაზი მაშინ პარტიის რაიკომში მუშაობდა. მისი კაბინეტი ცხრასართულიანი ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარეობდა, საკმაოდ დიდი ფართის კაბინეტი იყო. საღამოს ექვს საათზე, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, რედაქციიდან პირდაპირ მის კაბინეტისკენ „გავრბოდი“ ხოლმე. იგი ყოველთვის ადგილზე მხვდებოდა. სულ რაღაცას წერდა. თურმე, „გახლეჩილ რწმენაზე“ მუშაობდა. წერას მიატოვებდა და ჭადრაკის თამაშს „გავახურებდით“. აქვე მოდიოდნენ ჩვენი „ღირსეული“ მეტოქეები: ირაკლი მაღრაძე, გივი ელიოსიძე, გიორგი (ლაყაფა) გელაშვილი, კოკა ნოზაძე, მიასნიკ პეტროსიანი, სერგო თურმანოვი. ჩვენი სტუმრობით ომაზი ძალიან ხარობდა, თავისი იუმორით გვახალისებდა.

სწორედ იმ წლებში (გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს) გამოსცა მან თავისი მშვენიერი რომანი, რომელიც ყველას ძალიან მოგვეწონა, მაგრამ როდესაც ცნობილმა კრიტიკოსმა გურამ გვერდწითელმა რესპუბლიკურ გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში“ (1993 წელს) დადებითი რეცენზია მიუძღვნა მას, უფრო სხვანაირი თვალით შევხედეთ ჩვენს მეგობარს.

რაფიელ ერისთავზე ამბობენ: მარტო „სამშობლოს ხევსურისა“ რომ დაეწერა, მაინც დიდ პოეტად დარჩებოდაო. ამასვე ვიტყვი ბატონ ომაზზე და მის „გახლეჩილ რწმენაზე“. თუმცა მას სხვა წიგნებიც აქვს: – ,,ჩვენი მესხები“ (ე.წ. თურქ-მესხებზე) „ბორჯომული იუმორი“ (რომელიც ბესტსელერად იქცა), მაგრამ „გახლეჩილი რწმენა“ სულ სხვაა! ამ წიგნის გმირების ტრაგიკული თავგადასავალი და სიყვარული მკითხველს რომანის ბოლომდე აჯაჭვავს და გაუნელებელი ინტერესით იკითხება. აღსანიშნავია, რომ რომანში წარმოდგენილი ისტორიული ადგილები, საქართველოსა და თურქეთში, ბატონ ომაზს ფეხით აქვს მოვლილი!

სული და გული მაინც ლიტერატურა და ხელოვნება იყო, რაშიც თავისი სიტყვა თქვა. იგი რაიონის „ინტელექტუალური კოჰორტის“ ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. დიდი წვლილი მიუძღვის რაიონში სპორტის განვითარებაშიც. თავის დროზე იყო ფეხბურთელთა გუნდის – „თორის“ პრეზიდენტი. განსაკუთრებით თვალსაჩინოა რაიონში ჭადრაკის პოპულარიზაციისათვის მისი წვლილიც. როგორც პრაქტიკოსმა მოჭადრაკემ, არაერთხელ ასახელა რაიონი. ჭადრაკის სახლიც მისი ინიციატივით აშენდა, თუმცა, წინა ხელისუფლებამ, 2006 წელს, იგი გაყიდა და მას შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატობის ორგზის ჩამტარებელი ქალაქი ჭადრაკის სახლის გარეშე დარჩა! ამ ჩემპიონატების ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი თვითონ ბატონი ომაზი იყო.

მისი თაყვანისმცემლებისთვის აქვე დავაანონსებ, – ბატონმა ომაზმა ახლახან დაასრულა „გახლეჩილი რწმენის“ მეორე ნაწილზე მუშაობა, რომელიც ასევე მაღალმხატვრული ნაწარმოებია და დიდი ინტერესით იკითხება.



ნახ. ო. ჩხეიძისა

თავისი ნიჭი ბატონმა ომაზმა მხატვრობაშიც გამოავლინა. მრავალი პერსონალური გამოფენა აქვს მოწყობილი. მისმა ფერწერულმა ტილომ ,,გალაკტიონმა“, თავის დროზე, პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, ოქროს მედალი დაიმსახურა. ინტერნეტში მისი ნახატები შეფასებულია როგორც ,,ქართული ფერწერის შედევრები“.

ომაზ ჩხეიძე ხიდების მშენებელია, მაგრამ თავის პროფესიით არასოდეს უმუშავია, თუმცა რაიონში ხელმძღვანელ პარტიულ თანამდებობაზე მუშაობდა, მისი

და, ბოლოს. ბატონ ომაზს ვუსურვებთ თავისი ლამაზი გმირებივით სულიერად მუდამ გაუტეხელი იყოს და ყოველგვარი სიძნელე დაძლიოს ამ წუთისოფლის ნარეკლიან გზაზე!

**უშანგი ჯანგირაშვილი**
*ქ.ბორჯომი*

### არსენ კარაპეტიანი

### მიბაძვა საიათნოვას

ლამაზების დიდ კრებულში
უცხო, ტურფა ლალი შენ ხარ,
ტრფობის კოცონს მინთებ გულში,
ცხარე ცეცხლის ალი შენ ხარ.

მაგ ფიქრიან თვალებს ვფიცავ,
ნეტა იმას, ჰკოცნის ვინცა,
ზურმუხტის ხარ, მარჯანიცა,
ძვირფასი ქვა, ლალი შენ ხარ.

იქნებ მზე ხარ ეგრე ცხარე,
ან გაშლილი ბადრი მთვარე,
ოქროს ბეჭედში ელვარე,
ლურჯ ფირუზის თვალი შენ ხარ.

ვით ვთქვა ქება ბროლის ყელის,
მაგ ზარიფი წმინდა წელის,
ყვავილოვან მინდორ-ველის,
მოხდენილი ხალი შენ ხარ.

მიხსენ ტანჯვას, მომეც ხელი,
მე სიცოცხლეს შენგან ველი,
მონადირის გულისმწველი
ოქროსთმება დალი შენ ხარ.

ტანს ვერ ვარჩევ ალვის ხიდან
თვალთა სიღრმეს – შავი ზღვიდან,
უშენობას ვერ ავიტან,
სიცოცხლის ბადალი შენ ხარ.

თვალებს წამწამთ ჯარით მალავ,
გულს მიკოდავ, წყლულით მჭვალავ,
ისარს მესვრი, მშვილდს მიმალავ,
ტინის კლდეზე სალი შენ ხარ.

როგორც ნავი მღელვარ ზღვაზე,
ისე დავალ ქვეყანაზე,
დამაქანებ შენს ნებაზე,
გრიგალი და ქარი შენ ხარ.

შენთვის ცეცხლის ალზე გავალ,
აზვირთებულ ზღვაში შევალ,
ათას მტერთან მარტო გავალ,
ჩემი მცველი ფარი შენ ხარ.

ხან მომალხენ, ხან მაღონებ,
რაც გინდა თქვა, მაინც გმონებ,
ნაყოფსავსე ბედს მაგონებ,
მწვანე მთა დარი შენ ხარ.

მოდი, მოდი, ტურფა ქალო,
იაგუნდის ანათალო,
ათასიც რომ დამემალო,
ნორჩი მგოსნის ცალი შენ ხარ.

# ვასილ კვინცხაძის საიუბილეო საღამო

ახლახან მესხეთის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ღვაწლმოსილი პოეტისა და სახალხო მთქმელის, ქ.ახალციხის საპატიო მოქალაქის, ვეტერანი ქორეოგრაფის, **ვასილ**



**კვინცხაძის 80** წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

მონაწილეებს გულითადად მიესალმა და დალოცა ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა *მეუფე* **თეოდორემ.**

იუბილარს საკუთარი ლექსით მიესალმა პოეტის შვილიშვილი, უმცროსი **ვასილ კვინცხაძე**, ახალციხის ყოფილი მერი **ვლადიმერ ზედგინიძე,** მუნიციპალიტეტის მერი **ზაზა მელიქიძე,** ხალხური რეწვის ოსტატი, სოფელ მუსხის სკოლა-მუზეუმის დამფუძნებელი, 90 წელს მიტანებული ქალბატონი **მარიამ ჟუჟუნაძე,** იუბილარის ქალიშვილი **ხათუნა კვინცხაძე,** კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი **გიორგი ჟუჟუნაძე** და სხვები.

დამსწრე საზოგადოებას თავიანთი ხელოვნება უჩვენეს საქართველოს კულტურის განვითარებისა და აღორძინების ცენტრის წარმომადგენელთა მიერ რეგიონებიდან მოწვეულმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა. დასასრულს, ვასილ კვინცხაძემ სამადლობელი სიტყვით მიმართა თაყვანისმცემლებს და მეუღლესთან, ქალბატონ **ზაირა კვინცხაძესთან** ერთად შეასრულა ცეკვა ,,ქართული’’.

საიუბილეო საღამოზე დიდხანს ისმოდა ქართული ჰანგები, სრულდებოდა ქორეოგრაფიული ნომრები, იკითხებოდა ლექსები. ანსამბლმა ,,**მესხეთმა**’’ შეასრულა ვასილ კვინცხაძის ლექსზე შექმნილი ,,სიმღერა ვარძიაზე’’ (კომპოზიტორი **რევაზ ლაღიძე**).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის ფოიეში მოეწყო ხალხური რეწვის ოსტატის მარიამ ჟუჟუნაძის ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქართული ფოლკლორის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში გაწეული დიდი წვლილისათვის საქართველოს კულტურის განვითარებისა და აღორძინების ცენტრის მიერ ვასილ კვინცხაძე დაბადების 80 წელთან დაკავშირებით დაჯილდოებული იქნა საპატიო სიგელით.

საიუბილეო საღამო მიჰყავდა მესხეთის თეატრის მსახიობებს – **ცირა ტაბატაძეს** და **მანანა ბერიძეს.**

*საკუთარი ინფორმაცია*



# ომაზ ჩხეიძის „გახლეჩილი რწმენა“ – მესხეთის ტრაგედია





ისტორიული თემატიკა ქართული მწერლობაში ყოველთვის ქართველი მკითხველის დიდ ინტერესს იწვევს. წარსულის გააზრება და რეალისტური პრინციპებით წარმოსახვა მნიშვნელოვნად განაპირობებს მწერლის წარმატებას. ხშირ შემთხვევაში, ისტორია ტენდენციურად შუქდებოდა: – ან დადებითი ხედვა სჭარბობდა ან უარყოფითი. ომაზ ჩხეიძის რომანი „გახლეჩილი რწმენა“ კი, ძირითად ასპექტებში, ობიექტურად ასახავს ქრისტიანული რელიგიის საკითხსა და ხალხის მდგომარეობას სამცხე-ჯავახეთში XIX ს-ნის დასაწყისში. ეს თემა მარადმტკივნეული თემაა და მისი მხატვრულად ასახვა დიდ პასუხისმგებლობას, ისტორიის საფუძვლიან ცოდნასა და ობიექტურობას მოითხოვს. ალბათ ამიტომაცაა, რომ ნაკლები იწერება ამ პერიოდის მესხეთში მიმდინარე პროცესებზე.

რომანი თავის დროზე მოეწონა პროფესორ შოთა ლომსაძეს. მას გამოეხმაურა, აგრეთვე, კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი.

ომაზ ჩხეიძემ თავის რომანში გაბედულად და დამაჯერებლად წარმოაჩინა სამცხე-ჯავახეთში ოსმალეთის ბატონობით შექმნილი ვითარება, აჩვენა ქართველთა გამაჰმადიანების სავალალო შედეგები. ქრისტიანობის რწმენის ძალადობით წარმართვა, სიკვდილის შიშით, წამებითა და გვემით მაჰმადიანურ რელიგიაზე გადაყვანა. მწერალმა ასახა დამპყრობელის რეალური სახე, აჩვენა ყაჩაღად ქცეული ზოგიერთი იანიჩარისა და ასკერის ძალადობა, ქრისტიანთა მიმართ მტრული დამოკიდებულება, მუსულმანური ფანატიზმით გაჟღენთილი სიძულვილი ქართველთა მიმართ, რომელნიც არღვევენ სახელმწიფო კანონებსა და ზოგადადამიანურ ზნეობას, ვეღარ ზომავენ, გონივრულად ვერ იაზრებენ კარზე მომდგარ ომს რუსეთის ძლიერ არმიასთან. ნაცვლად იმისა, რომ ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდეს მოსახლეობასთან, რომ ომში მოსახლეობამ მხარი მათ დაუჭიროს, რასაც ომის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ისინი პირიქით, გაათკეცებული ჯიბრით და სისასტიკით ეპყრობიან ქართველებს. რომლებიც, შესაბამისად, დიდი სიმტკიცითა და შეუპოვრობით პასუხობენ, ხშირ შემთხვევაში სიკვდილს არჩევენ შეურაცხყოფითა და დამცირებით მაჰმადიანობაზე გადასვლას. ამით ისინი შთამომავლობას უკვალავენ გზას ქრისტიანობის შენარჩუნებისა და საქართველოსთან ინტეგრაციისაკენ. ეს რთული პოლიტიკურ-ეროვნულ-რელიგიური პრობლემა მწერალს გიორგი მელიქიძის ოჯახის ფონზე აქვს ასახული. გიორგი სიმბოლური მხატვრული სახეა ქრისტიანი მესხისა, რომელმაც ხატის სიყვარული და პატივისცემა შეინარჩუნა, ისიც და მისი ცოლიც – ჟუჟუ ქრისტიანობას ფარულად ინახავდნენ. მათ სიცოცხლე შესწირეს სამშობლოსა და ქრისტიანობას, მოკვდნენ ქრისტიანებად.

გიორგი მელიქიძის სახით მწერალმა აჩვენა იმ პერიოდის მესხის ზოგადი ტიპი, ეს აზრი დასტურდება მელიქიძეთა სახლის დარბევისას იქ მოგროვილ ქართველთა განწყობაში, მათ უარყოფითი დამოკიდებულებაში მოძალადე იანიჩარ იბრაგიმისა და მისი ბანდის მიმართ. ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ გიორგის, მაგრამ ძალა არ შესწევთ, მათ არც იარაღი აქვთ და არც საბრძოლო გამოცდილება, იმ დროს, როცა ასკერებიც და იანიჩარებიც კბილებამდე შეიარაღებულები და კარგად გაწვრთნილი მეომრები არიან.

ნაწარმოების მთავარი გმირი ბეშქენია – გიორგი მელიქიძის ვაჟი. იოლი მისახვედრია, რომ, ისეთ მტკიცე ქრისტიანს, როგორიც გიორგია, ბეშქენისთანა ზნეობრივ-რელიგიური შვილი ეყოლება. ბეშქენის გზა, რომელიც ძნელ გეოგრაფიულ და პოლიტიკური ვითარებაში მიედინება, ეს არის გზა მესხეთისა საქართველოში დაბრუნებისაკენ.

ო. ჩხეიძე რომანს ჭიდაობის რიტუალით იწყებს, ეს ტრადიციული მეთოდია ქართველთა და დამპყრობელთა ურთიერთობის წარმოსაჩენად. აკაკი წერეთელი „ბაში-აჩუკში“ ჭიდაობას ასახავს ყიზილბაშთა და ქართველთა დაპირისპირების საჩვენებლად, მაგრამ ეს დამპყრობლები განსხვავებულები არიან ყიზილბაშებისაგან, ისინი მათზე სასტიკნი და მოძალადეებია. სპარსეთი მხოლოდ მეფის მაჰმადიანობით კმაყოფილდებოდა, ოსმალები კი მთელი ხალხის გამაჰმადიანებას ცდილობენ. ამით უნდათ თავიანთი ქვეყნის გაძლიერება და გაფართოება, რაც, ფაქტობრივად, ვერ შესძლო. ძლიერ ზეწოლას, ძლიერი ამოვარდნა მოსდევს.

რომანში ნათლად ჩანს რწმენის გახლეჩის პროცესი, რომელიც ორი მიმართულებით ვითარდება. პირველი ის არის, რომ მოსახლეობის ნაწილი, ოფიციალურად, მოჩვენებით აღიარებს ისლამს და ინათლება, ფარულად კი ცდილობს ქრისტიანად დარჩეს, რაც უკვე რელიგიური დუალიზმია და, მეორეც, მშობლები რომ იღებენ მაჰმადიანობას, შვილები და მომავალი თაობა ორ ცეცხლშუაა მოქცეული.

ჩვენ აბოს მაგალითზე ვიცით, რომ თუ მშობლები მაჰმადიანებია, შვილს ევალება მაჰმადიანი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯება. ამიტომ მშობლების მიერ დამპყრობელის რელიგიის აღიარება შვილებს გზას უკეტავს იყვნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები. რომანში ატმოსფერო ისეთია, რომ ფარული ქრისტიანობაც შეუმჩნეველი არ რჩებათ სასულიერო პირებს, ამიტომ ეწირებიან გიორგი მელიქიძე და მისი მეუღლე ქრისტინობას, ამიტომ არ უნდათ მიიღონ ისლამი, ამით ბეშქენისა და მომავალი თაობის რწმენაზე ზრუნავენ. ეს აზრი ნათლად გამოიკვეთა ქრისტიანი პერსონაჟის იუსუფ იორდანიძის სიტყვებში: „**რამდენ ქართველს მიუღია მოჩვენებით მაჰმადიანობა, მოჩვენებითვე ჩამდგარა ყიზილბაშთა და თუ ოსმალთა სამსახურში, მაგრამ შემდეგ მათ შვილებსა და შვილიშვილებს ამით გზა გამრუდებიათ. რწმენის შენარჩუნება დღეს ქართველობის შენარჩუნებას ნიშნავს. ვინც მაჰმადიანობის კლანჭებში მოექცევა, იოლად ვეღარ დაიხსნის თავს**“ (გვ. 86). ამიტომაც არ მიიღეს მაჰმადიანობა გიორგიმ და ჟუჟუმ. ფაქტობრივად, ისინი მოწამეობრივი სიკვდილით კვდებიან, რითაც დიდ ზეგავლენას ახდენენ ხალხზე, რომელიც შეკრებილიყო მათი დასჯის სანახავად. ერმა დაინახა თუ როგორი ერთგული უნდა იყოს ადამიანი თავისი რწმენისა და თავისი ქვეყნისათვის. მათ რჯულის შეცვლას, დამპყრობლისადმი მონობას, ქრისტიანად და თავისუფალ ადამიანებად სიკვდილი არჩიეს. მშობლების ასეთი სახელოვანი სიკვდილის შემდეგ ბეშქენს მოვალეობა აქვს იბრძოლოს ქრისტიანობისა და თავისი ქვეყნისთვის. მშობლების თავდადება მის ავტორიტეტს ერთი ორად ამაღლებს მესხების თვალში. ის ახლა იბრაგიმის მთავარი სამიზნეა. მის დამორჩილებას ან მოკვლას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს დამპყრობლური პოლიტიკისათვის. ამიტომაც გამწარებული დაეძებს მას, რაც უფრო მეტად იბრაგიმის ბეშქენთან ჭიდაობაში მარცხით გამოწვეული პირადი მტრობით უფრო მძაფრდება.

ბეშქენს ერთადერთი გზა რჩება, დატოვოს მესხეთი და ქართლში გადავიდეს, საიდანაც ბრძოლის გაგრძელება უფრო შედეგიანი იქნება. თავის სამშობლოში ხელ-ფეხშეკრულია, იქ კი თავისუფლად შეუძლია იმოქმედოს, იქ დამპყრობლები არ არიან. ცხადია ოცდაერთი წლის კაცისთვის ეს რთულია, მას არა აქვს გამოცდილება, არ იცის გზა. ამიტომ მისთვის აუცილებელია თანამებრძოლი, წინამძღოლი, რომელიც გვერდით დაუდგება და სწორი გზით წაიყვანს. ამ მიზნით რომანის ავტორს მოქმედებაში შემოჰყავს პერსონაჟი იუსუფ იორდანიძე. ეს არის ძველი ქრისტიანი მებრძოლი დამპყრობლების წინააღმდეგ. მტერთან შეურიგებელი და დაუმორჩილებელი ქართველი; ის გამოცდილი, ბრძენი, გონიერი პიროვნებაა, მას ყველა თვისება გააჩნია, რომელიც აუცილებელია ძლიერი და სასტიკი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მის ყოველ მოქმედებაში, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ სიტყვაში იგრძნობა რწმენის და ერის ერთგული, საღად და სხარტად მოაზროვნე კაცი, ნამდვილი მამულიშვილი.

გზა, რომელიც ბეშქენმა და იორდანიძემ უნდა გაიარონ, აღსავსეა ხიფათითა და სიძნელეებით, მტრის გარემოცვაში მოქცეული მესხეთიდან ამ ორი გმირის გამოსვლას მნიშვნელოვანი მხატვრული დატვირთვა აქვს. მათი გამოსვლა სამცხიდან უკუქცევითი, მიზანმიმართული პროცესია, რომელიც, თავის დროზე, აშოტ კურაპალატისა და გრიგოლ ხანძთელის თბილისიდან გამოსვლას ეხმიანება. VIII-IX საუკუნეებში არაბთა მიერ დაპყრობილ თბილისში ქართველები შებოჭილნი იყვნენ და ვერ ახერხებდნენ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ. ამიტომ სამეფო კარი მიეშურება სამხრეთში, სადაც არაბთა ხელი ვერ სწვდებოდა და სადაც მათ შეეძლოთ ძალის მოკრება და დაპირისპირება არაბებთან.

რომანში ასახული ეპოქა პირიქით უბიძგებს გმირებს: ახლა სამხრეთიდან უნდა წავიდნენ თბილისში, რომ შეძლონ აქ გაბატონებული დამპყრობლების დამარცხება.

დრამატულად და მაღალმხატვრულადაა რომანში აღწერილი გზა, რომელიც ბეშქენმა და იუსუფმა გამოიარეს მესხეთიდან ქართლამდე. ქართლში მოქმედების გადმოტანისას მწერალი არანაკლებ რთულ და მნიშვნელოვან პრობლემას ასახავს. ეს არის ქართლის მოსახლეობის ნაწილის შეხედულება მესხებზე. რომელთაც მტრის უღელქვეშ მოქცეული მესხები ყველა „გათათრებულად“ მიაჩნიათ. ეს გულსატკენი ფაქტი რომანის გმირებს მეორე დილემის წინაშე აყენებს. ასეთი აზრი ქართველთა ერთიანობის დამანგრეველია, – მართლა გამაჰმადიანებულ ქართველს არ უნდა ვუწოდოთ თათარი, ის ქართველია და არ უნდა მოვწყვიტოთ ისინი მშობლიურ ერს. საბედნიეროდ, აზრი მესხთა „თათრობაზე“ პროვინციულია, ქართველთა ელიტა ასე არა ფიქრობს! თბილისის თავად-აზნაურობა პრობლემის მოგვარებაზე ზრუნავს და არა ერის დიფერენციაზე. ამ მიზნით მწერალს რომანში შემოყავს ახალი პერსონაჟი ლუკა ორბელიანის სახით, რომელიც თავის თანამოაზრეებთან ერთად ეძებს გზებს მესხეთის საქართველოსთან დაბრუნებისა და ქრისტიანული რწმენის გაძლიერებისათვის. ამდენად, ნათელი ხდება, რომ აზრი მესხეთის „თათრობის“ შესახებ, მცდარია, ზოგიერთი ქართველის პრობლემის გაუცნობიერებისა და შეუგნებლობის შედეგია.

რომანში საბრძოლო მოქმედებები სამცხე-საათაბაგოს ოსმალებისაგან განთავისუფლებისათვის ისტორიული ფაქტებზე დაყრდნობით არის ასახული. ამ საკითხს მწერალი თბილისის განწყობის ფონზე აშუქებს. დედაქალაქის ელიტას უნდა სჯეროდეს, რომ მესხეთი ისევ ქართული მხარეა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქრისტიანია და მისი შემოერთებით საქართველო გაძლიერდება. ამ პრობლემის გადაჭრა ბეშქენმა და იუსუფმა დააჩქარეს, მათ დაარწმუნეს ლუკა ორბელიანი და სხვა ცნობილი თავადები, რომ მესხებს ოსმალების უღელქვეშ ყოფნა არ უნდათ და დედასამშობლოსთან ერთად უნდა ცხოვრება.

ისტორიული წყაროების მიხედვით აშუქებს მწერალი პასკევიჩის მეთაურობით ახალციხის, ახალქალაქის, აწყურის, ყარსის, არზრუმის და სხვა ქალაქების აღებასა და იმ სავალალო შედეგებს, რაც მესხეთში რუსეთის შესვლის შემდეგ მოხდა. ფაქტობრივად ერთი დამპყრობელი შეცვალა მეორემ, რომელმაც დაანგრია სამცხე-საათაბაგო, განდევნა ქართველები მშობლიური სოფლებიდან. ამასთანავე ყარსი, ართვინი, არტაანი, მთელი ტაო და კლარჯეთი ისევ ოსმალებს დაუბრუნა. ამიტომაც ამბობს იუსუფ იორდანიძე რუსეთსა და ოსმალებზე: – **„წყალსა და მეწყერს წაუღია ერთიცა და მეორეც“**.

რწმენის გახლეჩას ერის გახლეჩაც დაემატა, – გახლეჩა პოლიტიკური და გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით.

გამორიცხული არ არის, რომ რუსეთში ქართველთა მიმართ უნდობლობა ახალქალაქის მაჰმადიან მესხთა შეუპოვარმა ბრძოლამ გამოიწვია, რაც საფუძველი გახდა აეყარათ ქართველობა და იქ ჩამოესახლებინათ სომხები, რომლებიც საქართველოსა და ოსმალეთს შორის ჩადგებოდნენ და მათი სანდო დასაყრდენი იქნებოდა. რუსეთის ასეთმა პოლიტიკამ ერი გათიშა, მესხეთიდან ოსმალეთში გაასახლა არამარტო გამაჰმადიანებული და ფარულქრისტიანი, არამედ მართლა ქრისტიანი ქართველებიც. რუსები მესხებში არ ეძებდნენ ქრისტიანს, ისინი იმპერიის ინტერესებს ემსახურებოდნენ, რაც იმას გულისხმობს, რომ მათ მიერ დაკავებულ მიწაზე, რაც ნაკლები ქართველი იცხოვრებდა, მით უკეთესი იქნებოდა.

რომანში შემთხვევითი არ არის, რომ ერთი ძმა – ბეშქენი ქრისტიანია, ხოლო მეორე, ბექა – მაჰმადიანი, ბეშქენი საქართველოში დაბრუნდა, ხოლო ბექა ოსმალეთში დარჩა ტოლოშელებთან ერთად. მათ რუსები არ უშვებენ საქართველოში.

მწერალი რომანტიკულ ექსკურს აკეთებს საზღვრებს იქით დარჩენილ ქართველთა წმინდა ეკლესია-მონასტრების ასახვისას. ამით ცდილობს, შეახსენოს მკითხველს ოშკი, იშხანი, ხახული, აგრეთვე ძირძველი ქართული მხარეები – კლარჯეთი, ტაო, ჭოროხის ხეობა და სხვა, რითიც მიგვანიშნებს, რომ იქით დარჩენილი ლამაზი ქართული მხარეები თავისი მოსახლეობით, ჩვენი ქვეყნის ნაწილია და ჩვენი სატკივარია, რომელიც არა მარტო დამპყრობლის ძალადობამ, არამედ სამშობლოს მოღალატეებმა დაგვაკარგვინეს.

ომაზ ჩხეიძის რომანი „გახლეჩილი რწმენა“, ერთ-ერთი საინტერესო მხატვრული ნაწარმოებია. რომელიც ისტორიული მესხეთის რთულ, პრობლემებით აღსავსე პერიოდს – XIX საუკუნის დასაწყისსა და სამცხე-საათაბაგოს რუსეთის მიერ დაპყრობასა და დედასაქართველოსთან დაბრუნების მტკივნეულ პროცესს ასახავს.

ეს რომანი თავისი ლიტერატურულ-ისტორიული და მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობით საპატიო ადგილს იმსახურებს XX საუკუნის 90-იანი წლების შემდგომი პერიოდის ქართული პროზის ისტორიაში.

ვახტანგ ინაური

# აშოტ კისკასის ვინაობისათვის

სომხური ისტორიოგრაფიის დაუსაბუთებელი პრეტენზიები საქართველოს უძველესი პროვინციის ტაო-კლარჯეთის მხარის შესახებ, საყოველთაოდაა ცნობილი და ამ პრობლემას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. ზოგადი შეხედულებით, ეს საკითხი ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილია ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომლის კვინტესენციას წარმოადგენს პავლე ინგოროყვას ვრცელი გამოკვლევა „გიორგი მერჩულე“. ამ შრომის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: *„ისტორიულ წარსულში, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა ეთნოგრაფიულად (მოსახლეობის შემადგენლობითა და გავრცელებული ენის მიხედვით) მესხეთის ქვეყანა მთელი მოცულობით, ე.ი მხარეები: სამცხე, ჯავახეთი, არტაან-კოლა, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, სპერი, ტაონი, ..., გარდამავალი ტერიტორიული ზონა საქართველოს სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობდა არა ჭოროხსა და მტკვრის ხეობებში, არამედ არაქსის ხეობაში, ასეთ გარდამავალ ზონას წარმოადგენდა ბასიანის მხარეები, რომლებიც, როგორც პოლიტიკურად, ისე ეთნოგრაფიულადაც საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებული მთელი ისტორიული პერიოდის მანძილზე“* (ინგოროყვა, 544,1954). პავლე ინგოროყვა ამ დასკვნამდე მიიყვანა უზარმაზარი ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ეთნონიმური, სოციალურ-პოლიტიკური და გეოგრაფიული მასალების შესწავლამ, ცალკე აღნიშვნის ღირსია ამ მხარეში, ქართველთა მიერ შექმნილი და დანატოვარი მატერიალური კულტურის ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, მემორიალური კულტურის ძეგლები, საფლავის ქვები და მათზე ამოტვიფრული ლაპიდარული წარწერები. ყველა ამ მასალაში ერთმნიშვნელოვნადაა გამოკვეთილი ქართული კულტურის დომინანტური სივრცე, პოლიტიკური და რელიგიური მყოფადობის რეალობა და კიდევ ბევრი ისეთი დეტალი, რომელთა ერთობლიობა არ ტოვებს არავითარ შანსს, რომ ამ მხარის ქართული სახელმწიფოსადმი კუთვნილებაში რაიმე ეჭვი იქნეს შეტანილი.

მიუხედავად ამისა, სომეხ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ვერ ელევა ისტორიული ტაო-კლარჯეთის სომხებისადმი კუთვნილების საკითხს და ყოველ ნიუანსს, რომელიც მათ გამოადგებოდათ, უძებნიან მათთვის სასარგებლო მხარეს და იყენებენ თავიანთი შეხედულების დასასაბუთებლად. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებულადაა გამოკვეთილი ერთ რიგ სომეხ მეცნიერთა იმ ნაშრომებში, რომლებიც ეხებიან საქართველოს ისტორიის საკითხებს. ეს პრობლემა არსებობს, ამ პრობლემაზე ბევრია დაწერილი და, ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება.

ამ მცირე ზომის წერილში გვსურს ამ შეხედულების დამადასტურებელ ერთ ნიუანსს შევეხოთ, რომელიც უკავშირდება ტაო-კლარჯეთში, კერძოდ, არტანუჯში მოღვაწე პოლიტიკური პერსონის **აშოტ ბაგრატიონის – „კისკასის“** ვინაობის საკითხს.

როგორც ცნობილია, X საუკუნის მეორე ნახევარში, ტაო-კლარჯეთის სამეფო სამად იყო გაყოფილი, რომელთაგან თითოეულს ბაგრატიონთა გარკვეული შტოს წარმომადგენლები მართავდნენ. ისიც ცნობილია, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის ერთ-ერთი კუროპალატის სამოხელეო ტიტულს ატარებდა, რომელსაც ბიზანტიის კეისარი აძლევდა და, ამ აქტით, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, მათ **„პატრონყმობის დამოკიდებულობის გამოხატვა სურდათ.., თუმცა კეისრის უფლება საქართველოში არასდროს, უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვარს არ გასცილებია და მათ სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდათ“** (ჯავახიშვილი, 107-109, 1948)

ასეთ დამოკიდებულებას კარგად ადასტურებს შემთხვევა, როცა უკვე ხსენებულმა და თავის თანამოძმეებზე განაწყენებულმა აშოტ ბაგრატიონმა, იგივე კისკასმა, არტანუჯის ცნობილი ციხე, ბიზანტიის იმპერატორს **რომანოზ I ლეკაპინეს** გადასცა, იმპერატორმა ისარგებლა ქართველთა შორის გამოწვეული უკმაყოფილებით და თავის ერთ-ერთ მხედართმთავარს უბრძანა ციხის დაკავება, რაც აღსრულდა კიდევაც.

ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენლებმა **დავით II (923-937)** და ერისთავთ-ერისთავმა **გურგენ IV (+941)** წერილი მისწერეს ბიზანტიის იმპერატორს და მოსთხოვეს მის ჯარს დაეტოვებინა ციხე, უკიდურეს შემთხვევაში ქართველები იტოვებდენ უფლებას პოლიტიკური კავშირი შეეკრათ სარკინოზებთან, რაც ყოვლად მიუღებელი იყო რომანოზისათვის. მან თავის საპასუხო წერილში, ეს აქცია ახსნა ციხის ამღების **კონსტატი მანკლავიტის** თვითნებობით და უბრძანა სასწრაფოდ გამოეყვანა ჯარი არტანუჯის ციხიდან. საგულისხმოა, რომ ამ ამბავს გადმოგვცემენ ბიზანტიური წყაროები (ყაუჩიშვილი, 275, 1952), აღნიშნული ცნობიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტაო-კლარჯეთის სამთავროს ბიზანტიის იმპერიისთვის, მისი აღმოსავლეთელი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში: **„თუ ტაო-კლარჯეთის მეფე-მთავრები ერთმანეთში აირეოდნენ და ერთმანეთს დაასუსტებდნენ ეს მის წისქვილზე დაასხამდა წყალს და ამ პროცესის ეფექტიანობისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიის სამეფო კარზე ტაო-კლარჯეთის მეფე-მთავართა ცალკეული წარმომადგენლების მიწვევასა და მათ გამოყენებას პირადი ინტრესებისათვის“** ( ვ. კოპალიანი, 16-15, 1969)

სამაგალითოდ გამოდგება აშოტ ბაგრატიონის მიწვევა ბიზანტიის სამეფო კარზე 922 წელს. ბიზანტიელი ისტორიკოსების **კონსტანტინე პორფიროგენეტისა** და **თეოფანე გამგრძელებლის** ცნობებით „იბერიელი დიდებული“ დიდი პატივით მიუღიათ სამეფო ქალაქში და იმპერატორის ბრძანებით მისთვის კუროპალატობა უბოძებიათ. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დამოუკიდებელ პოზიციას ააშკარავებენ ბიზანტიელი ისტორიკოსები. თავად კონსტანტინე პორფიროგენეთისავე ცნობით, მისი წინაპრები მოწიწებით სთხოვდნენ ტაო-კლარჯეთის მმართველებს, რომ ამ უკანასკნელებს თეოდოსიუპოლის მისადგომებთან ჯეკეს ციხე დაეთმოთ ბიზანტიელთათვის, რათა იქ თავიანთი გარნიზონი ჩაეყენებინათ, რაზედაც იბერთაგან უარი მიუღიათ *(ყაუჩიშვილი, 263-264, 1952)*, იგივე ავტორის ცნობით, ქართველები დიდ მოკავშირეობას უწევდნენ ბიზანტიელებს არაბებთან წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, კერძოდ, იგი მიუთითებს იმ გამარჯვებაზე, რომელიც ქართველთა არსებითი დახმარების წყალობით, ბიზანტიის მხედრობამ, მოიპოვა არაქსის სანაპირო ციხეებში განლაგებულ მტერზე.

ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კარგადაა ასახული ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამ ურთიერთობის შესახებ არსებობს ბიზანტიური წყაროების უმდიდრესი კორპუსი, რომლის ყველა მონაკვეთში ჩანს სამხრეთ საქართველოს, ამ უძველესი პროვინციის როლი და მნიშვნელობა მახლობელ აღმოსავლეთში, ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში.

როგორც ითქვა, ისტორიული პროცესის ასეთი რეალობა არცთუ მისაღებია მეცნიერთა იმ ნაწილისათვის, რომლებიც ცდილობენ სამხრეთ საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ მემკვიდრეობაში დაიდონ წილი და ზოგიერთ შემთხვევაში ამ მხარის პოლიტიკური და კულტურული პროგრესი დაუკავშირონ ეთნიკურად სომეხი მოღვაწეების სახელს.

ყოველი მცდელობა, იქნება ეს ზოგადი სახისა თუ კონკრეტულად ისტორიის დარგის კვლევასთან დაკავშირებული, თუკი ყალბია, ნებით თუ უნებლიეთ, აუცილებლად ქმნის ხელოვნურობის გარემოს და, ზოგჯერ, ელემენტარული გაუგებრობის დონემდე ეშვება.

ამჯერად, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და იგი ეხება ზემოთდასახელებული არტანუჯის ქართველი მთავრის **აშოტ ბაგრატიონის**, ზედწოდებით – კისკასის, ხელოვნურად გასომხების საკითხს. სომეხმა მეცნიერმა **რ. ბარტიკიანმა** ჯერ თბილისში გამართულ ბიზანტიოლოგთა სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებაში (Бартикян Р. М. 3-4, 1965) და შემდგომ პარიზში დაბეჭდილ ფრანგულენოვან სამეცნიერო ჟურნალში (R. Bartikians, 261-272,1965) გამოქვეყნებულ სტატიაში აშოტ ბაგრატიონი-კისკასი გამოაცხადა სომეხ დიდებულად. მკვლევარმა თავისი მოსაზრება დაამყარა ეტიმოლოგიურ საფუძველზე და სიტყვა „კისკასი“ დაუკავშირა სომხურ გეოგრაფიულ სახელს „ვიხიკს“, რითაც კისკასი გამოაცხადა სომეხი ბაგრატიდების წარმომადგენლად. საგულისხმოა, რომ **რ. ბარტიკიანს აშოტ კისკასის** სომხობის დასამტკიცებლად სხვა არსებითი საბუთი არ აქვს, თუმცა მისი პათოსი არტანუჯის მხარის სომხებისთვის კუთვნილების თაობაზე მწვავე სურვილითაა გადმოცემული.

რაჩია მიქაელისძე ბარტიკიანი, გამოჩენილი ბიზანტისტი და არმენოლოგი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თავის ნაშრომებში, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა საქართველოს ისტორიის საკითხებს და მისი მოსაზრებანი ამ მიმართულებით ანგარიშგასაწევი და ყურადსაღებია, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მისი დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის მიმართ არ გამოირჩევა ორიგინალობით და თანხვედრი და მსგავსია საერთო პრეტენზიული ფონისა, რომელიც სომეხი მეცნიერების ერთ ნაწილს გააჩნია საქართველოს ისტორიისა და მისი კულტურის მიმართ.

ვიდრე უშუალოდ ჩვენი წერილის ძირითად საკითხს შევეხებოდეთ, გვსურს წარმოვადგინოთ დამოკიდებულება, რომელიც სანიმუშოდ გამოდგება იმისათვის, თუ, ზოგჯერ, როგორ ინტერპრეტაციას აძლევს ბატონი ბარტიკიანი ისტორიულ დოკუმენტს და როგორ იყენებს მას თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად.

1986 წელს ჟურნალ «Вестник общественных наук», (№ 2, с. 75—80) გამოქვეყნდა რ. ბარტიკიანის სტატია: „МНИМОЕ УПОМИНАНИЕ «КАРТЛИИСКОИ ЦАРИЦЫ» В АРМЯНСКОЙ НАДПИСИ АТЕНСКОГО СИОНА» , სადაც განხილულია ატენის სიონის ერთი წარწერა, რომელიც შეეხება შიდა ქართლის მნიშვნელოვანი პუნქტის თიღვას კუთვნილების საკითხს, ბარტიკიანი თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მთლიანად ცვლის წარწერის ტრადიციული წაკითხვის შინაარსს და გამოაქვს დასკვნა მის მიერ წინასწარ შემუშავებული მოსაზრების დასამტკიცებლად.

ბარტიკიანის ამ წერილს მკაცრი კრიტიკული შეფასება მისცა გამოჩენილმა სომეხმა მეცნიერ-მედიევისტმა, ქართულ-სომხური ეპიგრაფიკის აღიარებულმა მკვლევარმა პ.მურადიანმა (П. МУРАДЯН, Iraber. asj-oa.am/4589/1/1986-7(75).pdf), რომელმაც ავტორს მიუთითა ქართული ეპიგრაფების არასწორ გამოყენებაზე და მათ არასათანადო ინტერპრეტაციაზე და აღნიშნა, – „Р. М. Бартикян читает не то, что написано в надписи, а то, что может послужить основой для новой интерпретации.“ (გვ. 75) , ხოლო წერილის დასკვნაში ასეთი შეფასება მისცა ავტორის ნაზრევს: „Таким образом, если о чем-то «мнимом» может идти речь, то во всяком случае не о «мнимом упоминании картлийской царицы», а ' о мнимом обосновани и предлагаемого Р. М. Бартикяном осмысления.“ (იქვე) .

ვფიქრობთ, ისეთი ავტორიტეტული მეცნიერის დასკვნას, როგორიცაა პ. მურადიანი, ყველა მკვლევარი ანგარიშს უნდა უწევდეს და ბარტიკიანის ნაშრომების კრიტიკული შეფასებისას აუცილებლად ითვალისწინებდეს.

ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენი წერილის მთავარ საკითხს და გავარკვიოთ თუ რამდენად მართალია რ. ბარტიკიანი, როცა ტაო-კლარჯეთში, კერძოდ, არტანუჯში, მოღვაწე აშოტ ბაგრატიონს (კისკასს) უკავშირებს სომეხი ბაგრატიდების შტოს – **კეკავმენ ბაგრატიდებს.**

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ხსენებულ წერილში ავტორს უმთავრეს არგუმენტად წარმოდგენილი აქვს გეოგრაფიული სახელის „ვიხიკის“ შეპირისპირება აშოტის თიკუნ „კისკასთან“ და თვლის, რომ ტერმინი „კისკასი“ წაკითხული უნდა იქნეს არა როგორც „კისკასი“, არამედ, როგორც „ვიხიკი“. რის საფუძველზე უარყო მან „კისკასის“ არასწორი წაკითხვა, ამის მეცნიერულ ახსნას არ იძლევა, მხოლოდ მისთვის სასურველ დებულებას თავაზობს მკითხველს და აქედან ასკვნის, რომ ვიხიკის მფლობელ კევკემენ ბაგრატიდების შტოს წარმომადგენელი იყო ის აშოტ ბაგრატიონი, რომელიც ტაო-კლარჯეთის მიწების ერთ-ერთი მფლობელი იყო. ასეთი არასწორი დასკვნით რ. ბარტიკიანი წინ წამოსწევს და პრიორიტეს ანიჭებს სომხებისაგან არტანუჯის ფლობის საკითხს, რაც ძირითადი მიზანია მის მიერ შესრულებული კვლევისა.

წერილიდან კარგად ჩანს, რომ ბარტიკიანი არ იყენებს სათანადო ისტორიულ საბუთებს, ქართულ წყაროზე – სუმბატ დავითის ძის ქრონიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, სადაც აშოტ კისკასი წარმოდგენილია ტაოჯლარჯეთის ბაგრატიონთა შტოს წევრად და აშოტ დიდიდან დაწყებულული ეკუთვნის მეხუთე თაობას *(აშოტ დიდი კუროპალატი, ადარნასე, სუმბატ I მამფალი, ბაგრატ I მამფალი და აშოტ IV კისკასი)*, იგი არ უთითებს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობას (ყაუხჩიშვილი,1952, 275), რომელიც მთლიანად ემთხვევა ქართველი მემატიანის მონაცემებს. ზოგადად უნდა ითქვას ისიც, რომ მოცემულ პერიოდში ტაო-კლარჯეთში მოღვაწე ქართველი ბაგრატიონები წარმოგვიდგებიან უაღრესად ძლიერ და გავლენიან საგვარეულო დინასტიად, ისინი გარკვეულ პოლიტიკურ ალიანსში არიან ბერძნებთან, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ სრულიად დამოუკიდებლად ახორციელებენ მესხეთის ქვეყნის მართვას, მოხერხებულად იყენებენ თავიანთ პოზიციას აღმოსავლეთში ბიზანტიის იმპერიის ინტერესების გაძლიერების მცდელობისას, თავად ბიზანტიელი ისტორიკოსები დიდი პოლიტიკური ტაქტით არაერთხელ ეხებიან ტაოკლარჯეთის „იბერიელ დიდებულთა“ მოღვაწეობას, როგორც ქართულ, ასევე ბიზანტიურ წყაროებში, მთელი თემებია მოცემული მათი ვნებათაღელვიანი ცხოვრებისა, სადაც ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის მათი ეთნიკური წარმომავლობა, ამ ისტორიაში არაა ერთი უმცირესი მონაკვეთიც კი, სადაც შეიძლებოდა კევკამენ ბაგრატიდებს ადგილი ეპოვათ.

„ვიხიკს“ რომ არაფერი საერთო აქვს „კისკასთან“ და მათი ერთმანეთთან, თუნდაც ენათმეცნიერული გზით დაკავშირება შეუძლებელია, ეს აშკარაა, ცხადია ისიც, რომ წარწერის სიტყვა – „კისკასი“ დამახინჯებული არაა და მისი წაკითხვა ამ ფორმით სავსებით სწორია, მთავარი კი მაინც ისაა, რომ ეს სიტყვა წმინდა ქართული წარმოშობისაა.

**ქართველ ლექსიკოგრაფებთან კისკასი განმარტებულია როგორც – სწრაფად მქცევარი** *(სულხან-საბა, ტ.1, 1991)*, მსწრაფლი, მარჯვე, *(ჩუბინაშვილი, 1984)*. ცოცხალ მეტყველებაში იგი კიდევ უფრო დატვირთულია შინაარსით და აღნიშნავს ადამიანს მსწრაფლსა და მოქმედებისას ელვარედ სახეგაბწყინებულს (აქედანაა ნაწარმოები სიტყვა „კისკისი“).

ეს სიტყვა რომ ქართული სალიტერატურო ენის საგანძურიდანაა, ამის დადასტურება შესაძლებელია XII-XIII საუკუნეების ქართველი პოეტის იოანე შავთელის პოემაში – „აბდულმესიანი“, რომელიც მიძღვნილია თამარ მეფისადმი.

შავთელისაგან თამარის ერთერთ ქებაში დედოფალი შემკულია ამგვარად: ***„თამარ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფსა, უკვდავთ წყაროსა, ცის სამყაროსა, სხვათა მძლეველსა თვით უძლეველსა, კისკასად მქცევარსა, ტანად საროსა“***, ხოლო მისი მეუღლე დავით სოსლანზე ნათქვამია: ***„ვარდო უფრჭვნელო, ცვრით განბანილო ნერგო სვიანო დავითიანო, ვინ კისკასია სურნელ კასია, ბალასნად კმოლავ და ვით იანო“*** *(ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1975, კუპლეტი 11 და 51)*. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, ქაჯთა ციხის აღების წინ, ფრიდონი თავის გეგმას სთავაზობს ტარიელსა და ავთანდილს და ამბობს: ***„აბჯრითა გავლა არად მიჩნს ჭირად გატანა ფარისა, შიგან ჩავხტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა“*** *(რუსთაველი, 1988, 1385)*. კისკასი, როგორც ადამიანის შემამკობელი ეპითეტი, ხშირადაა ნახმარი გვიანფეოდალური ხანის საისტორიო თხზულებებშიც, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორი, XVII საუკუნის ისტორიკოსი **ბერი ეგნატაშვილი**, თავის ქრონიკაში ხშირად იყენებს მას ისტორიულ პირთა დახასიათებისას. მაგ; ქართლის მეფის **შაჰნავაზის** შვილი არჩილი ***„იყო კისკას, მშვენიერ, მობურთალი, მოისარი“*** *(„ქართლის ცხოვრება“, 1959,435|20)*, ლევან დადიანის მიერ შევიწროებული იმერეთის მეფის **ალექსანდრეს ძე მამუკა** იყო ***„განთქმული რაინდობასა შინა კისკასად“*** *(იქვე,429|30)*, **თემურ ლენგთან** ერთ-ერთი ბრძოლისას, ქართველები ***„შეჰხდიან კისკასად შუასა შინა რაზმთა მათთა“*** (იქვე, 462|5)) და კიდევ სხვა. ასე რომ სიტყვა კისკასი ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებაა და მას არასდროს დაუკარგავს თავისი მხატვრული მნიშვნელობა

**აშოტ ბაგრატიონი**, მართლაც რომ დაუდგრომელი კაცია, თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ იგი არ ემორჩილება თავისი დიდი საგვარეულოს ზოგიერთი წევრის მოსაზრებას და როცა საჭიროა თავად იღებს გადაწყვეტილებას, რაც უთუოდ მიანიშნებს მის პიროვნულ ხასიათზე, მეომრულ და დაუმორჩილებელ ბუნებაზე, რაც საბოლოო ჯამში მის კისკასობას უსვამს ხაზს. ბუნებრივია თიკუნი „კისკასი“ ამ პიროვნებას შერქმეული აქვს თავის ხასიათიდან გამომდინარე და სრულიად უნიადაგოდ მოჩანს წარწერის არასწორი წაკითხვით მისი დაკავშირება ვიხიკის მმართველ კეკავმენ ბაგრატიდების სახელთან.


რეზიუმე:

წერილში კრიტიკულადაა განხილული სომეხი მეცნიერის რ. ბარტიკიანის მოსაზრება ტაო-კლარჯეთში, კერძოდ, არტანუჯში მოღვაწე აშოტ ბაგრატიონის (კისკასის) ვინაობასთან დაკავშირებით. საქართველოს ისტორიაში ცნობილია ამ ქართველი ბაგრატიონის ეთნიკურ წარმომავლობას ავტორი უკავშირებს გეოგრაფიული პუნქტის „ვიხიკის“ მმართველი სომეხი ბაგრატიდების შტოს – კეკავმენ ბაგრატიდებს, რითაც სურს დაამტკიცოს სომეხი ბაგრატიდების პრიორიტეტულობა აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში.

ამ მოსაზრების უმთავრეს არგუმენტად მ.ბარტიკიანი მიიჩნევს წარწერას, სადაც ნახსენებია აშოტის თიკუნი – „კისკასი“. იგი მის დაწერილობას დამახინჯებილად ანიჭებს სომხურ გეოგრაფიულ ტერმინ „ვიხიკ“-ის შინაარსს. სინამდვილეში ტერმინი „კისკასი“ წარმოადგენს ქართულ სიტყვას და წარწერაში წარმოდგენილია ავთენტური ფორმით, რომელიც დასტურდება და ნათლად აიხსნება როგორც ქართული ლექსიკოგრაფიული მასალით, ასევე ძველი ქართული ლიტერატურის ენობრივი მონაცემებით.



ელდარ ნადირაძე,
*პროფესორი*



# სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია არდაჰანის უნივერსიტეტში

2018 წლის 7-8 მაისს არადაჰანის უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ჩემი მოხსენება 8 მაისს, დღის მეორე ნახევარში იყო დაგეგმილი. ამიტომ, როინ ყავრელაშვილთან ერთად, არდაჰანში, ლექციების დამთავრების შემდეგ, პირველ საათზე გავემგზავრე. კონფერენცია თემატური იყო და სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემებს ეძღვნებოდა. მე შეგნებულად ავარიდე თავი ამ თემაზე საუბარს და კონფერენციაზე მომიჯნავე თემა – საქართველოში დევნილთა პრობლემა გავიტანე. როინის თარგმანიდან ადვილი მისახვედრი იყო, რომ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების ავტორები პრობლემას ძალზე ზედაპირულად იცნობდნენ. ჩემი მოხსენების შესავალ ნაწილშივე ვთქვი: *„ერთი შეხედვით, ჩემი მოხსენების თემა სცილდება კონფერენციის თემატიკას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დეპორტირებულთა რეპატრიაციის ერთ-ერთ შემაფერხებელ მთავარ ფაქტორს სწორედ საქართველოში დევნილთა უზარმაზარი არმიის არსებობა წარმოადგენს, კავშირი აშკარა გახდება“*- მეთქი.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გამართული დისკუსია ცალ კარში ფეხბურთის თამაშს დაემსგავსა. შეკითხვებს მხოლოდ მე მისვამდნენ. ამასთან, ერთი შეკითხვის გარდა ყველა შეკითხვა დეპორტირებულთა თემას შეეხებოდა.

სამწუხაროდ, ვერ მოვიფიქრე, რომ კონფერენციის მსვლელობა ვიდეოზე ჩამეწერა (პლანშეტი თან მქონდა). ამიტომ საინტერესო კითხვებს და მათზე ჩემს პასუხებს მეხსიერებით აღვადგენ:

*– დეპორტირებულთა რაოდენობა ამჟამად 600 ათასს აჭარბებს. მათ უმრავლესობას საქართველოში დაბრუნება სურს, თუმცა, საქართველოს ხელისუფლება მათ ამის ნებას არ აძლევს. რეპატრიაციის მსურველებიდან საქართველომ მხოლოდ ერთეულთა თხოვნა დააკმაყოფილა. რატომ არღვევს საქართველო ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს?*

– თავდაპირველად, ნება მიბოძეთ ეჭვი შევიტანო თქვენს მიერ დასახელებული ციფრის – 600 ათასის სისწორეში. უკანასკნელ ხანს დაზუსტებული მონაცემებით საქართველოდან დაახლოებით 80 ათასამდე მუსლიმი გაასახლეს. თუ თქვენს სტატისტიკას დავუჯერებთ, გამოდის, რომ დეპორტირებულთა რაოდენობა 60 წლის მანძილზე 8-ჯერ და მეტჯერ გაზრდილა. მესმის, რომ საქმე მუსლიმებს ეხება, რომლებსაც პოპულაციის მაღალი ტემპები ახასიათებთ, მაგრამ თქვენც ხომ მუსლიმები ხართ. რამდენი იყო თურქეთის მოსახლეობა 60 წლის წინათ? 40 მილიონი. ახლა კი 78 მილიონი ხართ. ანუ, თქვენი რაოდენობა მხოლოდ გაორმაგდა. თქვენ კი სამშობლოში, საკუთარ სახლებში, სითბოსა და კომფორტში ცხოვრობთ. ავიღოთ აზერბაიჯანი. 60 წლის წინ ის 4 მილიონ ნახევარი



იყო, დღეს 9 მილიონია, ანუ მისი მოსახლებაც მხოლოდ გაორმაგდა. აზერბაიჯანელებს კი ნავთობიც აქვთ, გაზიც, სითბოც, სახლ-კარიც და სასმელ-საჭმელიც. ამ ფონზე განა დასაჯერებელია, რომ გაუსაძლის პირობებში მყოფი დეპორტირებულების რაოდენობა, დროის იმავე მონაკვეთში, 8-ჯერ და მეტჯერ გაზრდილიყო? განა რა ისეთი გამრავლების ქუში შეეყარათ უსახლკარო და მშიერ-მწყურვალ დეპორტირებულებს, რომ კომფორტში მყოფ თურქებს და აზერბაიჯანელებს პოპულაციის ტემპებით 8-ჯერ და მეტჯერ გაუსწრეს?

ცხადია, ეს ციფრი აშკარად გადაჭარბებულია. ჩვენში ის თავიდანვე ეჭვს იწვევდა, რაც მოვლენების განვითარებამაც დაადასტურა. დეპორტირებულებს ორი წლის მანძილზე ჰქონდათ განცხადებების შემოტანის შესაძლებლობა, რითაც მხოლოდ 5 841 კაცმა ისარგებლა. არასრულწლოვანების ჩათვლით ეს 9-10 ათასი კაცია. მათი დიდი უმრავლესობა დღეს უკვე ფლობს რეპატრიანტის სტატუსს, რაც საქართველოში სამართლებრივ საფუძველზე ჩამოსვლის შესაძლებლობას აძლევს. თუმცა ისინი ჩამოსვლას არ ჩქარობენ, და ეს სავსებით გასაგებია: საქართველო, პრაქტიკულად, ომის ვითარებაში იმყოფება რუსეთთან, ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობაა, დაბალია მოსახლეობის ცხოვრების დონე, ქართულ სახელმწიფოს არ შეუძლია მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს რეპატრიანტებს და ა. შ.

სად არის ის 600 ათასი კაცი, რატომ არ შემოიტანეს განცხადებები? იმიტომ, რომ ეს ადამიანები ბუნებაში არ არსებობენ, ეს ციფრი, უბრალოდ, გაბერილია.

დეპორტირებულების ერთ-ერთი პრეტენზია ქართული სახელმწიფოს მიმართ ასეთია: ჩვენ უკანონოდ გაგვასახლეს საქართველოდან. ამიტომ ახლა ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე უნდა დაგვაბრუნოთ!

უკაცრავად, მაგრამ ისინი სახელმწიფოში ბრუნდებიან. სახელმწიფოს კი თავისი წესი და რიგი, თავისი მოთხოვნები გააჩნია. მათი დაცვა ნებისმიერი მოქალაქის ვალია. საქართველო გამჭოლი ეზო როდია, ვისაც როდის მოესურვება, ზედ გადაიაროს. ის, რასაც ქართული სახელმწიფო ითხოვს დეპორტირებულებისაგან, ძალზე მარტივად შესასრულებელია. ჩვენ ვხედავთ, რომ ვიღაც ხელოვნურად ბერავს დეპორტირებულთა რაოდენობას. ისიც ვიცით, რომ ეს „ვიღაც“ კრემლში ზის. ამიტომ დეპორტირებულებისაგან ვითხოვთ საარქივო ცნობას, რომ ის საქართველოდან დეპორტირებული, ან მისი შთამომავალია. გვითხრეს, რომ ასეთი ცნობის მოპოვება ყოველთვის არ ხერხდება. მაშინ ჩვენ დათმობაზე წავედით, ვთქვით, რომ ასეთ შემთხვევაში საკმარისი იქნება სამი უხუცესის წერილობითი მოწმობა.

თუ ასეთი ცნობის მოპოვება 6 ათას კაცს არ გაუჭირდა, რატომ გახდა ის პრობლემა დანარჩენებისათვის?

ცხადია, რომ პრობლემა ცნობის მოპოვება არაა. საქმე ისაა, რომ დაბრუნების სურვილი მეტს არა აქვს.

აი, რატომ არ შემოვიდა მეტი განცხადება!

*– ჩვენ სხვა მონაცემები გვაქვს. განცხადებების უმრავლესობა საქართველომ, უბრალოდ, არ მიიღო!*

– მოლა ნასრედინის პერსონა თქვენთვის, ცხადია, ნაცნობია. მან ერთხელ მომჩივანს მოუსმინა და უთხრა, რომ ის მართალი იყო. ამის შემდეგ მოპასუხემ ისაუბრა. მოლას მისი არგუმენტებიც მოეწონა და მასაც იგივე უთხრა – მართალი შენ ყოფილხარო. „მოლა, მომჩივანი და მოპასუხე ორივე მართალი როგორ შეიძლება იყოსო?“, – უთხრეს მოლას სხვებმა. თქვენც მართალი ხართო, – უპასუხა მოლამ (სიცილი, ტაში და გამოცოცხლება დარბაზში).

დღემდე თქვენ ერთი მხარის მონაცემებს ეყრდნობოდით. ახლა მეორე მხარის პოზიციაც იცით. ამ მონაცემებს ცალ-ცალკე თუ განიხილავთ – ნასრედინის დღეში ჩავარდებით და სიმართლემდე ვერ მიხვალთ. აიღეთ ორივე მხარის არგუმენტები, შეაჯერეთ, აწონდაწონეთ და დასკვნა ისე გააკეთეთ. ჩემი მონაცემების გადამოწმება ადვილად შეიძლება. ისინი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ვებგვერდზეა განთავსებული. რაც შეეხება განცხადებების არმიღებას: ასეთ ფაქტებს მართლაც ჰქონდა ადგილი. ქართულმა მხარემ არ მიიღო და არც განიხილა მხოლოდ ის განცხადებები, რომლებიც მხოლოდ სიის სახით, ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე იყო წარმოდგენილი. ანუ, მათ არ ჰქონდათ სრულყოფილი სახე. ნიშანდობლივია, რომ ასეთი სიები მხოლოდ რუსეთიდან, და ისიც, განცხადებების მიღების ვადის ამოწურვის წინა დღეებში შემოვიდა.

*– თქვენ ამბობთ, რომ ქართულ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ეტაპზე მატერიალური და ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს რეპატრიანტებს. მაგრამ თუ თურქეთი დააფინანსებს, ვთქვათ, 200 ათას დეპორტირებულს, აუშენებს მათ ბინებს, დაეხმარება ფინანსურად და ა. შ. არის თუ არა ქართული მხარე მზად იმისთის, რომ ეს ადამიანები სამცხე ჯავახეთში ჩაასახლოს?*

– ქართული სახელმწიფოს სახელით ვერ ვილაპარაკებ. მე აქ შემიძლია მხოლოდ ჩემი სახელით ვილაპარაკო, როგორც ერთმა რიგითმა პროფესორმა. უკვე ვთქვი და კვლავ გავიმეორებ, რომ არ არსებობს დაბრუნების მსურველი არც 200 და არც 100 ათასი დეპორტირებული ან მისი შთამომავალი. ეს ციფრი მეტისმეტად გაზვიადებულია. მაგრამ, რომც იყოს, ჩემი აზრით, თქვენი წინადადების მიღება მაინც მიზანშეუწონელი იქნება. სამცხე-ჯავახეთი მთაგორიანი მხარეა. საქართველოში ის დღეს წარმოადგენს მცირემიწიან რეგიონს. მოსახლეობის გაორმაგება აქ უკიდურესად გაამწვავებს სავარგულების პრობლემას, ადგილობრივ და ჩამოსახლებულ მოსახლეობას შორის შექმნის დამატებით მოტივაციას კონფლიქტების გაღვივებისათვის. რეპატრიანტთა ნაწილი, ალბათ, ქალაქებშიც დასახლდება. აქ კი მასობრივი უმუშევრობაა. თქვენ ბინას აუშენებთ, მაგრამ სამუშაო ფრონტითაც ხომ ვერ უზრუნველყოფთ? გასაგებია, რომ ეს დამატებით სოციალურ დაძაბულობას შექმნის რეგიონში და მთლიანად ქვეყანაშიც.

საქართველოს აკლია პრობლემები, რომ ისინი ხელოვნურად არ დაიმატოს? ასე, რომ საკითხის ასეთი დაყენება ეწინააღმდეგება ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. ნებისმიერი ხელისუფლება ვალდებულია ქვეყანაში ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკა განახორციელოს, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო ინტერესებს. განა ასე არ იქცევა თურქეთის მთავრობა? ვფიქრობ, ასევე მოიქცევა საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლებაც.

*– მაგრამ ეს 200 ათასი მუსლიმი შეიძლება კარგი ბუფერი გამოდგეს ქართველებსა და სომხებს შორის!*

– საქართველოში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები და მათთან ქართველებს ჰარმონიული ურთიერთობა გვაკავშირებს. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეთნოსი თანასწორი უფლებით სარგებლობს. ჩვენ ვერ და არ დავუშვებთ აქ მცხოვრები რომელიმე ეთნოსის დისკრიმინაციას. საქართველოს სომხებთან არანაირი ბუფერი არ ჭირდება! ადამიანები არ იყოფიან შოვინისტებად, ნაცისტებად, შურიანებად, ანგარებიანებად და ა.შ. ადამიანები ორ კატეგორიად იყოფიან: კარგებად და ცუდებად. აი, ცუდები კიდევ – შურიანებად, ბოროტებად, ნაციონალისტებად და ა.შ. ჩვენ, კარგ ადამიანებს კი ყოველთვის შეგვეძლება საერთო ენის გამონახვა, ჩვენ გვეყოფა გონიერებაც, ობიექტურობაც, ნებისმიერ რთულ საკითხში მივაღწიოთ კონსესუსს, მივიდეთ სამართლიან შეთანხმებამდე! (ტაში, გამოცოცხლება დარბაზში)...

*– თვლით, რომ დეპორტირებულების მიმართ საქართველო ვალში არ არის?*

– მინდა დეპორტირებულებთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი გავიხსენო ჩემი ცხოვრებიდან. 1996 წლის ოქტომბერი იდგა. მაშინ სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში ვმუშაობდი. გუბერნატორის მისაღებს აზერბაიჯანიდან ჩამოსული 17 დეპორტირებული მოადგა. ისინი ადიგენის რაიონში, სოფელ სმადაში ჩასვლის ნებართვას ითხოვდნენ. გვინდა წინაპართა საფლავებზე ვილოცოთ, შემდეგ უკანვე დავბრუნდებითო, – ამბობდნენ. მაშინ სამცხე-ჯავახეთში, განსაკუთრებით კი ადიგენში, დეპორტირებულების მიმართ ძალზე აგრესიული განწყობა იყო, იქაურ მოსახლეობაში ჯერ კიდევ ცოცხლად იყო შემორჩენილი 1918-1919 წლებში მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების ხსოვნა. გუბერნატორმა აზრი უშიშროების და პოლიციის უფროსებს, აგრეთვე მე, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მის მრჩეველს, გვკითხა. სამართალდამცავებმა თავი შორს დაიჭირეს – ჩვენ მაგათ სიცოცხლეზე პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთო. ჯერი ჩემზე მიდგა: ამ ხალხმა 800 კილომეტრი გამოიარა, რომ წინაპართა საფლავებთან მუხლი მოიყარონ. ამ საფლავებამდე სულ რაღაც 20 კილომეტრია დარჩენილი და ჩვენ მათი უკან გაბრუნება გვინდა. აქ უსამართლოდ გაწამებული 17 ადამიანია, მაგრამ მათ უკან 170 ათასი დგას. რას იფიქრებენ ეს ადამიანები ჩვენზე, როგორ გამოვჩნდებით მათ თვალში? სმადაში მათ მე გავყვები, ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას. გარწმუნებთ, არანაირი ექსცესი არ მოხდება. მე დავარწმუნებ ყველას, რომ ამ ხალხს აქვთ წინაპართა საფლავების მონახულების უფლება, – ვთქვი მე.

გუბერნატორმა გადაწყვეტილება მიიღო და 17 დეპორტირებულთან ერთად სმადაში ჩავედით. სოფლის შესასვლელში მათ უწესრიგოდ გაბნეული საფლავის ქვები დაინახეს, ავტობუსი გააჩერეს და ამ ქვებთან ილოცეს. იქვე სმადაში ჩასახლებული იმერლები ვაშლს კრეფდნენ. როცა გაიგეს, ვინ იყვნენ ეს ადამიანები – მათ ვაშლი მოუკითხეს. თავის მხრივ, დეპორტირებულებმა მათ ბროწეულები მიართვეს. მათ შორის გულთბილი საუბარი გაიმართა.

ახალციხეში დაბრუნების დროც დადგა. თვალცრემლიანი დეპორტირებულები ნელი ნაბიჯით გაემართნენ ავტობუსისკენ. ამ დროს შევნიშნე, რომ ერთ-ერთი დეპორტირებული, ასე 15-16-ოდე წლის ბიჭი, დაიხარა, რამდენიმე კენჭი აიღო და ჯიბეში ჩაიყარა. ავტობუსში მე მას გვერდით მივუჯექი და კენჭების თაობაზე ვკითხე. – „მე აქ პირველად ვარ, თვითონ აზერბაიჯანში დავიბადე. სმადადან დედაჩემია. ის ახლა ავადაა და წამოსვლა ვერ შეძლო. მან მე მითხრა – წადი საქართველოში, მე იქ ჩასვლას, ალბათ, ველარ შევძლებ, იქნებ შენი თვალებით მაინც ვნახო ჩემი სოფელიო... აი, ამ კენჭებს ჩავუტან და ვეტყვი, რომ ისინი მისი სოფლის კენჭებია“-ო. – მითხრა ბიჭმა.

ამ ამბიდან 20 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ მე დღესაც არ შემიძლია მისი უცრემლოდ გახსენება. რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის ამ ხალხის ტრაგედია და თანავუგრძნობთ. ქართული სახელმწიფო, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერს აკეთებს მათი ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის, მაგრამ არ შეიძლება ქვეყანაში მხოლოდ მომხმარებლად ჩახვიდე. არ არსებობს უფლებები მოვალეობების გარეშე და, პირიქით. ჩვენ გვინდა, რომ რეპატრიანტებს ისევე ტკიოდეთ ჩვენი დაკარგული ტერიტორიები, როგორც ჩვენ, გვინდა, რომ მათ არა მხოლოდ თავიანთი უფლებები, არამედ – მოვალეობებიც ღრმად ჰქონდეთ გააზრებული.

კონფერენციის დასრულების შემდეგ ჩემ წინ რიგი დადგა... ყველა ცდილობდა ჩემთვის ხელი ჩამოერთვა, ჩემთან სურათი გადაეღო და მადლობა გადაეხადა... ზოგი იმისთვის მიხდიდა მადლობას, რომ დეპორტირებული მოსახლეობის საკითხში „ბევრი რამ მათთვის ცხადი გავხადე“, ზოგი იმისთვის, რომ „მოლა ნასრედინის მაგალითი ძალიან მოსწრებულად მოვიტანე“, ზოგიც – ადამიანების ჩემეული გრადაციის გამო და ა. შ.

ჩემთვის მოულოდნელი სწორედ ეს საყოველთაო მოწონება გამოდგა. მე ხომ იოტისოდენადაც არ დავთმე ქართული ინტერესები. ყველაფერი პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად ვუთხარი. ვფიქრობდი, რომ ამის გამო გაღიზიანდებოდნენ... მაგრამ – არა, ჩემი პასუხები მოეწონათ და ეს მოწონება ღიად გამოხატეს!

რამ იმოქმედა ასე პოზიტიურად ჩემს თურქ მასპინძლებზე – ჩემ მიერ სწორად შერჩეულმა ტონალობამ, ტოლერანტულმა განწყობამ, იუმორისტულმა ჩანართებმა, ჩემი არგუმენტების დასაბუთებამ და სიმტკიცემ თუ კიდევ სხვა რამემ? ალბათ, ყველაფერმა ერთად. ფაქტია, რომ ჩემ თურქ კოლეგებს ეყოთ ობიექტურობა ელიარებინათ, რომ დეპორტირებულთა საკითხში ქართული პოზიცია სამართლიანია, მათ კი ამ პრობლემის შესახებ ცალმხრივი და ტენდენციური ინფორმაცია გააჩნიათ.

მეორე დღეს კონფერენციის მონაწილენი არდაჰანის უნივერსიტეტის კომფორტული ავტობუსით ახალციხეში ექსკურსიაზე გამოემგზავრნენ. მეც მათ გამოვყევი. ახალციხეში მადლობა გადავუხადე სტუმართმასპინძლობისა და კეთილგანწყობისთვის, განსაკუთრებით კი იმ ობიექტური პოზიციისთვის, რომელიც დისკუსიის მსვლელობისას დაიკავეს და რაბათის ხიდთან დავემშვიდობე.

უჩა ბლუაშვილი,
*პროფესორი*

# „წმინდა" ყადი ეფენდი, რომელიც ფეხს არ ადგამს ჭიანჭველას, რომ ცოდვა არ შეემთხვეს

## თათრულ ენაზე მცირეთ-შემოკლებით ნაამბობი მიხა ასათიანის მიერ 1934 წელს ქ.ახალციხეში

დიდ დაბაში ცხოვრობდა გამრჯე, გულუბრყვილო ადამიანი, რომელსაც თავისი კეკელა ცოლი უყვარდა: მის ღვთის მოყვარეობისა და გლახაკთა გამკითხველობისა გამო.

მისი ცოლი იყო წარმტაცი, მიმზიდველი იერის, ქმრის სახლში ყოფნის დროს თვალებზე ხილაბანდ ჩამოფარებული საქმობდა. სახეს ფერუმარილით ითითხნიდა-ილამაზებდა. არ გადააცილებდა დროს: დღეში ხუთჯერ მიიღებდა „აბდახს„:[1] დაიბანდა პირს, ხელ-ფეხს და ასე გაწმენდილ-განბანილი ლოცულობდა. კარზე მომდგარ მათხოვარს გაიკითხავდა, ხელცარიელს არ გააბრუნებდა, ნამეტნავად მაშინ, როცა მისი ქმარი სახლში იყო.

ქმარი დარწმუნებული ცოლის სიწმინდეში, შემბრალებლობაში, წმინდანათ მიაჩნდა. ქმარი ხარობდა, ცდილობდა უხვად ჰქონოდა სახლში სარჩოს მარაგი, რასაც ბარაქა არ ჰქონდა, ქაფურივით ქრებოდა. მარაგის უბარაქობას ყარიმა ხსნიდა ცოლის გულკეთილ-გამკითხაობით. ამიტომ ხშირად უხდებოდა სახლიდან წასვლა შორს სოფლებში, ან სადმე დიდ-დაბაში, რომ ეშრომა, შეეძინა, მოეტანა სახლში შენაძენი. ამ დრომდე სახლში დარჩენილი საწუთრო მარაგი უკვე გამოლეული ხვდებოდა, რომლებიც, მისი ვარაუდით, უფრო დიდხანს უნდა ყოფნოდათ...

უვიც, გულუბრყვილობით გზაში მიმავალ ყარიბას ფიქრებში გართულს ხშირად უფიქრია და მისულა იმ დასკვნამდე, რომ მისი ცოლი არის ღვთის მოსავი, ფაქიზი ზნეობისა და ცდილობს: არ დაანახოს სახე უცხო ადამიანს, გულმოწყალეა, გლახაკთა გამკითხავი, მაშასადამე, წმინდანია ჩემი ცოლი, წმინდანი! ამაყობდა გულში და, ამავე დროს, გაივლებდა გულში: ღმერთს ვცოდავ, რომ ჩემ ანგელოზ, წმინდან ცოლთან ვიქმ ცოლ-ქმრულ ვნებით აზვირთულ სქესობრივ კავშირს. მიტომ ღმერთი მსჯის, არ მეძლევა შვილი. მაგრამ რა ვქნა, ჩემი რა ბრალია?! – იმართლებდა თავს, რომ ადათია, ბუნების მოთხოვნილება და თვით ღვთისგანაა დაწესებული, დაკანონებული!

რა გახედავდა საწუთროს, რომ ერთ-ორ კვირას ეყოფათ, წავიდოდა შორს შრომისათვის, სადაც შეიძენდა, მოიტანდა სახლში. ასე მიმდინარეობდა დრო და ჟამი...

ერთ დღეს, დილით, ცოლს განუცხადა: ხვალ მივალ შორს, უცხო მხარეს, შორეულ ქვეყანაში დიდი ხნით, სადაც ექვს თვეს, ან ერთ წელიწადს დავრჩები, რომ შევიძინო ბლომათ უჭირველ ცხოვრებისთვის ფული. ამისათვის მომიმზადე სამგზავროთ რაც საჭიროა და გზისთვის საგზალი.

ცოლმა წუწუნი დაიწყო: რა გამაძლებინებს უშენოთ, მაგრე დიდ ხანს? ხომ გადვირიე, ბეჩავი. უშენოდ ყოფნას სიკვდილი მირჩევნია, მაგრე დიდი ხნით დაშორებას ვერ ავიტან, ვერა!

ქმარმა ანუგეშა ცოლი; ფულს მალ-მალ გამოგიგზავნი, ვეცდები, მალე მოვიდე, ჩემო ანგელოზო! მსურს, უფრო უხვ ცხოვრებაში მყავდე, არ განიცადო გაჭირვება!

ცოლმა „ივაგლახა". თვალთაგან ცრემლები გადმოაფრქვია, გაახსენა ქმარს, რომ უიმისოდ ძნელი გასაძლებია, ძნელი ასატანი. თხოვა ქმარს, ნუ წახვალ დიდი ხნით, შორს...

მეორე დღისთვის დაუმზადა ქმარს ყველაფერი, რაც საჭირო იყო, ჩაულაგა ხურჯინში. ქმარი გამოეთხოვა, წავიდა...

კაი ხნის სიარულის შემდეგ, ნაშუადღევს, შეამჩნია ყარიბამ ერთ დიდ მინდორზე დაბანაკებული ქარავანი, მიაშურა იქ. მისვლისთანავე იკითხა: სად მიდის ქარავანი. უთხრეს: ქარავანი მიდის შორს, მისირში, დიდ ქალაქში, სადაც ქვეყანას განაგებს „ხალიფა". შემდეგ მონახა ქარავნის მეთაური, თხოვა მას: ნება მომე, თან გამოვყვე ქარავანს. ამის დასტური მიიღო. ქარავნის მეთაურმა განუცხადა ყარიმას: ამაღამ ვახშმობის დროს აიშლება ქარავანი.

ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა სოვდაგარი ვაჭარი, ვისიც იყო საქონელი, განუცხადა მეთაურს: ამაღამ აქ დარჩეს ქარავანი უსათუოდ! არ მსურს ღამე მგზავრობა. როცა კარგა ინათებს, მაშინ აშალეთ ქარავანი, მზეც ამოვა, დღისით, მზისით იარეთ მშვიდობით.

ეს განკარგულება უსიამოთ დაურჩა ყარიბას. იფიქრა: დილამდის რა გამაძლებინებს? სახლში წავალ, იქ მოვისვენებ. უკეთ ვანუგეშებ ჩემს წმინდან ცოლს, ნაშუაღამევს წამოვალ, აქ ვიქნები ქარავნის წასვლის დროს. კაი ხნის გადაცილებული იყო ვახშმობა, რომ ყარიბა მოუახლოვდა თავის სახლს. გაოცდა! მის სახლის ფანჯრიდან ჩვეულებრივზე უფრო დიდი სინათლე გამოჰნათებდა. თვალები მოიწმინდა, მოიშმუშნა, ლიბრი ხომ არ გადამეკრა თვალებზეო? რომ ამ მოულოდნელობას ვხედავ? შეეკითხა თავის თავს. ფანჯრიდან შეიხედა ოდაში. კინაღამ გადაირია ნახულით... თვალებ დაჭყეტილმა, გონება აფორიაქებულმა უცქირა კაი ხანს. ნახულით თავზარდაცემულს, გული ძალზე აუძგერდა, აუჩქროლდა, ლამის შემოასკდა... გადაირია ნახვით: მის „წმინდან", „უმანკო" ცოლს თმის ნაწნავები გამოფენილი აქვს მკერდზე. გული გაღეღილი, ხილაბანდი შუბლის ზემოთ აქვს გადაკრული, სახე მოკალმასებული. ყელმოღერებულს ეშხის ალმური ასდის, გვერდზე უზის უსანდომო ვაჟკაცი, რომელსაც მარჯვენა ხელით ელაქუცება კეკელას ძუძუებს, შესტრფიან ერთმანეთს: ქილიკობენ, მოლიზღარობენ, კოცნიან ერთმანეთს... წინ სუფრა აქვთ გაშლილი, ზედ შემწვრები და ხილი აქვთ დალაგებული, სმენ ლალის ფერ ღვინოს და კოცნით იმტკბარებენ პირს... ამ მოულოდნელმა გამოაშკარავებამ ელდაცემული ყარიბა ააღელვა, გააბოროტა, ლამის ჭკუიდან შეიშალა... იმავე დროს გაშტერებული დაუძლურდა, მოდუნდა, მომჩვარდა, თითქოს თავში სთხლიშეს მძიმე ვარიოზი, მით დარეტიანდა, საზრი დაკარგა, ნების ყოფა მოესპო. ამ ყოფაში კაი ხანს უცქირა თვალებ დაჭყეტილმა თავის უბედურებას. ნელ-ნელა გამოერკვა. ამოიკვნესა. გუნებაში გაუხმაურდა: აი, რა თვალთმაქცი „ანგელოზი" ცოლი მყოლია, მე უბედურს, გონებით ბრმას... ჰაი, შეგირცხვეს ნამუსი!.. მიაფურთხა მათ მხარეს... მოშორდა თავის ნაშრომ კერას... შმაგივით მირბის ნალებიანი ქარავნისაკენ, რომ გაჰყვეს, გადაიკარგოს სამუდამ ჟამოთ...

ქარავანს გაჰყვა მწუხარედ... მიდის და თვალთაგან არ შორდება სახლის სარკმლიდან ნახული სურათი... ჰკვირობს: რათ იყო გულუბრყვილოთ მინდობილი ცოლზე. განა სანდოა. გაახსენდა ხალხური ნათქვამი: ძაღლი სანდო, ქალი უნდო. როგორც მარტის ამინდი ცვალებადია, დაუნდობელი, დაუყრდენი, ქალის სულიერი თვისებაც იგივეა, როგორც მარტის ტაროსი... რას წარმოვიდგენდი, თუ ასე თვალთ მაქცი, ფარისეველი და უნამუსო იყო შეჩვენებული! ნუთუ შერჩება, არ დაისჯება ზნეობრით სიბილწისაგან? რომლითაც მწარეთ მომშხამა! არა რად მაქცია, ნამუსი გამიწბილა! რატომ არ შევარდი, არ მოვკალ ორივ, ან ერთ-ერთი? რათ მომჩვარდი? – ანაზდეულ მომესპო გამბედაობა. ნების ყოფა... მოულოდნელმა უბედურებამ გამქაჩა... რათ მაძალებს ჩემი ლანდი ორეული, რათ მბორკავს, რათ ჩამძახის: გაცლას!.. რათ ჩამჩიჩინებს: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო„!!! აჰა, გავეცალე, მოვშორდი. მერე? რის მაქნისი ვარ, ან ვიქნები?! ჰოი, ულმობელო, უნდო, თვალთ მაქცო, ბილწო, ფუჭო წუთი სოფელო! რა მურდალი რამ ყოფილხარ.

ნაღვლიან ფიქრებში ჩახვეული ყარიბა ქარავანთან ერთად ჩავიდა დიდ ქალაქში, სადაც ხალიფა განაგებს ქვეყანას. ყარიბა დაბინავდა ქარვასლის ოდაში, რომელსაც სურდა გამოეძებნა შესაფერისი რამ საქმე, რომ გართულიყო და მით გაჰქარვოდა გულიდან კაეშანი. ამ მიზნით ქალაქში დაწანწალებდა...

დილით მზე კარგა ხნის გადაწვერილი იყო, ნახა ქუჩაში მიმავალი, ძვირფას მწვანე მაუდის ტანისამოსში გამოწყობილი გორჯოლო[2] ტანის დიდ ფაშვიანი, სახით ჭორფლიანი დაჩილული, ჭროღა, წირპლიანი თვალებ გადმოკარკლული, მოკლე მკლავებით ყადი ეფენდი.

გაჰკვირდა, გაოცდა, გაშტერდა ნახულით... ოცი-ოცდაათი მოწიფული ვაშკაცი შეიარაღებული ხანჯლებით, დანებით, დამბაჩებით სარტყელში, ვით იანიჩარნი, რომელთა ნახვა შემზარავ შიშს აგრძნობინებს მნახველს და მათში არეული რამდენიმე არშიყი ქალი შემოსხდომია სუფრას. სუფრის საპატიო ადგილს – თავში ჯის „წმინდანი" ყადი ეფენდი, შეექცევიან ვახშამს... სმენ სასმისს, ლხინია გაჩაღებული... ქალები შესტრფიან „წმინდან" ყადი ეფენდის... ამის მნახველი ყარიბა მოშორდა სარკმელ ჭუჭრუტანას, მიაშურა თავის სამალავს, ჩაიცუცქა შიგ... ნაშუაღამევს კაი ხანი გადაცილებული იყო, რომ „წმინდანი" ყადი ეფენდის სალხინო დარბაზიდან ხამუშ-ხამუშ გამოლაგდნენ ქალები, რომელთაც გამოჰქონდათ სუფრიდან ალაგებული ჭურჭელი, ნარჩენი საჭმლები, მიაქვთ სარდაფებში თავეთ სამალავში, იქვე რჩებიან. დამყარდა მყუდროება... ფართხალით გამოძვრა ყარიბა სამალავიდან, მიცუცქდა დარბაზის კარებთან. მონახა ჭუჭრუტანა, შაიხედა... თან ყურს უგდებს, ისინი რასაც შიგ ლაპარაკობენ. სმენად გადაიქცა ნასმენით გაკვირვებული... ისევ მიიმალა სამალავში.

გათენდა. მზე მაღლა-მაღლა იწევს, ცხარე სხივებს აფრქვევს... ყადის სახლში მხოლოდ სამიოდე მოსამსახურე მოძრაობს. გაიღვიძა „წმინდა" ყადმა ეფენდიმ. ადგომისთანავე ლოცვის სამზადისს შეუდგა, რომ არ გადააცილოს დროს. ხელპირი და ფეხები დაიბანა, მოსამსახურეს შეაწმენდინა სველი ფეხები... ჩაიცვა ჭრელი წინდები, მიბძანდა ხალიჩებ დაფენილ, მორთულ სამლოცველო ოთახში... ილოცა! გამობძანდა, მიირთვა ყავა და სამხარი... მას შემდეგ მის კარებთან ქუჩაში შეგროვდა „წმინდა" ყადის თაყვანის მცემელნი, რომლებიც მიაცილეს მეჯლისამდე.

მზვერავი ყარიბა გამოძვრა სამალავიდან, „წმინდა" ყადის მიმცილებლებში შეერია, თან გაჰყვა...

რომ მტკიცეთ დარწმუნებულიყო ნახულში, რაც ნახა, განიცადა, რამოდენიმეჯერ დაზვერვა განიმეორა...

იმ ქალაქში გავრცელდა მდიდარშეძლებულ მცხოვრებთა სახლების გაქურდვა-ძარცვა. ხალხი ღელავს, ცხადლივ აცხადებს უკმაყოფილებას არსებულ მთავრობის მიმართ... საგონებელს მიეცა მთავრობა. დაეძებს ბოროტ მომქმედთ, სურს, მიაგნოს კვალს, თვალს ადევნებს ქალაქში მისულ მგზავრებს, მახლობელ ხანში მოსულთ და უსაქმოთ მოხეტიალე ადამიანებს... ასეთების რიცხვში შენიშნეს ყარიბა. გაქაჩეს. წაიყვანეს დიდ საიდუმლო დაწესებულებაში. გამოკითხეს ვინაობა, საიდან არის მოსული, რამდენი ხანია, რა საქმეზეა აქ, რითი და რა საშუალებებით ირჩენს თავს. ბრალს სდებენ, რომ ის მონაწილეა სახლების გაქურდვაში, ავაზაკობაში, დაჟინებით თხოულობენ, გაამხილოს მისი ამხანაგები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასჯიან, აწამებენ მას... უცნაურ სიამეს გრძნობს ყარიბა, რომ აღმოაჩინა მეორე გარყვნილი „წმინდანი", როგორც იყო მისი ცოლი...

რომ გაუჭირვეს და ბრალს სცხებენ ქურდობა-ავაზაკობაში, ყარიბამ განუცხადა: მიმიყვანეთ ხალიფასთან, ან მის ნაზირ-ვეზირებთან, მათ მოვახსენებ ყოველივეს სიმართლეს. ბევრს ეცადნენ მოხელენი, რომ მათთვის მოეხსენებიათ და არ შაეწუხებინათ ნაზირ-ვეზირნი და ხალიფა. ვერას გახდნენ. დაჟინებით მოითხოვდა ყარიბა მათ ნახვას.

მოახსენეს ნაზირ-ვეზირთ, რომლებსაც აღეძრათ ცნობისმოყვარეობა. ბძანეს: მოიყვანეთ ის კაცი!

წარუდგინეს ყარიბა თვით ხალიფას ნაზირ-ვეზირთ.

– გვიამბე, ვინ არიან შენი ამხანაგები? სად მიგაქვთ ნაქურდალი, სად ჰყიდით? – უბძანა ხალიფამ.

– მე არავინ მყავს ამხანაგი და არც ჩამიდენია ქურდობა! სიცრუე მოუხსენებიათ თქვენთვის, – მოახსენა ყარიბამ.

– არც ვინ ჰქურდავს სახლებს?

– ვიცი, რომ მოგახსენოთ, ვინც არის, არ დაიჯერებთ, მის მაგიერ მევე დამსჯით, – მოახსენა ყარიბამ.

– სთქვი, სთქვი! – ერთბაშად შესძახეს ვეზირებმა.

– ვიდრე ვიტყოდე, სიტყვა მომეცით, რომ ბოლომდე მომისმენთ, ვიდრე დავასრულებდე. დამიჯერებთ თქმულს და სასტიკათ მოექცევით მას, ვინც არის. გაუჩხრეკავთ სახლს, გაჩხრეკვა სახლისა დაამტკიცებს ჩემ თქმულს, გამოაშკარავებს მის ამხანაგ ავაზაკებს, ვინაობას. თუ ტყუილი გამოდგა ჩემი ნაამბობი მცირეთაც, მაშინ დამსაჯეთ, თავი მომკვეთეთ.

ხალიფამ მისცა მტკიცე სიტყვა ყარიბას.

ყარიბამ უამბო მათ თავის წარსული ცხოვრება ცოლთან. მის „ღვთის მოყვარეობა", გლახაკთა გამკითხაობა, „სიწმინდე" და გარყვნილობა, ამისი ნახვა, განცდა, ქარავანთან ერთად ამ ქალაქში მოსვლა, ნახვა „წმინდანი" ყადი ეფენდის, რომლის ნახვის თანავე, გავკვირდი და გადავწყვიტე ჩავდგომოდი კვალში... უამბო დანარჩენი, რაც ნახა და განიცადა ყადის სახლში მიმალულმა და დასძინა: მე მწამს, რომ ყადი ეფენდი გაქნილი, ფარისეველი ავაზაკია და არა წმინდანი.

– რაებს ლაყბობ, შე სალახანავ, რაებს როშავ წმინდა ყადი ეფენდიზე, მაგ ლაყბობისთვის დაგსჯით! უთხრა ერთმა ვეზირთაგანმა.

– ეგ სასჯელი, რითაც შენ მემუქრები, დასაწყისშივე მე მოვითხოვე, თუ მტყუანი გამოვდგე, – უთხრა ყარიბამ. კარგად შეამოწმეთ, თუ მართალი გამოვდგები, მაშინ რაღას იქმთ, რითი გადმიხდი შეურაცხყოფას?!..

ამ სიტყვების შემდეგ ყარიბას მიუახლოვდა თვით ხალიფა, მხარზე ხელი დაადო და ლმობიერი მზერით უთხრა: შენ მართლა ძნელი საქმე იკისრე. ან სრულად უვიცი და სულელი ხარ, ან ძრიელ გულუბრყვილო პატიოსანი ადამიანი. იქნება ყველა ეგ გეჩვენება ცოლისაგან გაცრუებულ-მოტყუებულს? არ დაივიწყო, რომ ყადი იღებს მონაწილეობას სახელმწიფო საქმეებში, თვით ყადი მოსამართლე მსაჯულია... მისი სახელის შებღალვა სახიფათოა... ადვილი შესაძლებელი არ არის ყადის გაჩხრეკვა, შეურაცხყოფა... გაძლევ ხუთ დღეს ვადას, ერთი კიდევ შეამოწმე... მანობამდის შენ გადევნებ თვალყურს, შემდეგ მოდი, მომახსენე მართალი. ახლა წადი!

კმაყოფილი გამოვიდა სასახლიდან ყარიბა.

მეორე დღეს სახლში მიმავალ წმ.ყადი ეფენდის მომცილებელ ხალხში გაერია... შეიპარა სახლში, მიიმალა სამალავში. იმ ღამეს, ნაშუაღამევს ნახა: სახლების გამძარცველ ავაზაკებმა მიიტანეს ნაქურდალი, ნაძარცვი, რომელიც ჩაიტანეს სარდაფებში და სამალავ დარნებში. ამ ნახულით ძრიელ გახარებული დარჩა ყარიბა. ფრთხილათ გამოიპარა სამალავიდან, მივიდა თავის ბინაზე. მეორე დღეს წავიდა სასახლეში მოსახსენებლათ. ამ ხნის განმავლობაში ყარიბასათვის მიჩენილმა მეთვალყურემ მოახსენეს უფროსებს: წუხელ, გათენების წინ, წმ. ყადი ეფენდის სახლში, ვიღაცებმა – რიცხვით ოცზე მეტმა შეიარაღებულმა, მორიდებით მიიტანეს ზურგზე მოკიდებული ტვირთი, შეიტანეს ყადის სახლში, იქვე დარჩნენ.

ყარიბამ მოითხოვა ნახვა თვით ხალიფასი... ნახა. მოახსენა ნახული წინა ღამის... ამ დროს ხალიფას ეახლა დიდი მოხელე... ცალკე მოახსენა ხალიფას, რაც ენახათ მზვერავებს. ამ ფერ დადასტურდა ყარიბას ყველა ნაამბობი „წმინდა" ყადის შესახებ.

ხალიფა დარწმუნდა ყარიბას მიერ მოხსენებულ სიმართლეში, გაისტუმრა ყარიბა და უბძანა: შეგიძლიან ხშირათ მოსვლა და ჩემი ნახვა. მისცა ფირმანი.

ხალიფამ მოახდინა შესაფერი განკარგულება მოსამზადებლათ. ორი დღის შემდეგ ხალიფა ნაზირ-ვეზირების და მცველ ჯარის კაცების თანხლებით, დილით ადრე, სანამ წმ. ყადი ეფენდი გავიდოდა სახლიდან, მივიდნენ სტუმრათ ყადის სახლში, მის სანახავათ.

ამ მოულოდნელ დარბაზობით განცვიფრებულ ყადს გულში მწარეთ განსჭვალა!... დაფაცურდა. მხიარულ სახით, მოფერებით, მისალმებით, სცდილობდა ესიამოვნებინა ხალიფასათვის და მისი თანამხლებელნი, მაგრამ ემჩნეოდა, რაცხა უხერხულება, სმუსვნა, ცმუკვა, არაბუნებრივი მდგომარეობა. პირველ მისალმების შემდეგ, უცებ შემოერტყა ჯარი ყადის სახლს, ყოველ მხრიდან.

რო ნახა ყადმა ჯარის სიმრავლე სახლის გარშემო, გაფითრდა... შიშმა აიტანა. არ იცოდა, როგორ მოიქცეს, როგორ დააძვრინოს თავი განსაცდელს... ვეზირებმა გაართეს ყადი და განუცხადეს – ხალიფას სურს თქვენი სახლის გეგმაზე ააშენოს ახალი შენობა, ამიტომ სურს დაათვალიეროს სახლის ყონაღი, ოდები და თუ შეიძლება, სახლის ქვეშა სართული, თუ აქვს სახლს. ვერ გაბედა უარი სახლის დათვალიერებაზე ყადმა...

შეუდგნენ სახლის გაშინჯვას. ნახეს ყველა ყონაღი, ოდებისთვის ყადის მდიდრათ მორთული იშვიათი საცავებით, ქსოვილ-ძოწეულებით მორთული საწოლი ოთახებით, მიაგნეს ჩასავალს ქვესკნეთში. ნახეს, გაკვირვებით შეაცქერდნენ ყადს, რომელსაც გააჟრჟოლა. ამის შემდეგ უზოდიშოთ დაათვალიერეს, გასინჯეს სახლის ქვესკნეთი: სარდაფები, საწყობი-სამალავები, დარნები, რომლების ჩასავალ გვერდზე ნახეს შუა ადგილებში, განსაკუთრებული სამალავი, პატარა ოდები, სავსე ნაქურდ-ნაძარცვით, სხვადა სხვანაირ ბარგით, ავეჯ, საფენით, ფარჩეულით და ათასი სხვა განძეულით. აქვე დააპატიმრეს ყადის თანამზრახველნი – ოცდაათამდე ამხანაგი. ყველა შეიარაღებული და რამდენიმე როსკიპი ქალი... ყველა ესენი ყადთან ერთად შეიძულეს, გაქაჩეს და ყველა „წააბძანეს" ვირების აბანოში, განსაწმენდათ.

რა გამომჟღავნდა ყადის ავაზაკი ყალთაბანდობა, ქალაქში შეიქმნა დიდი მითქმა-მოთქმა, გაძარცვულ-გაქურდული სახლების პატრონები მიაწყდნენ ყადის სახლს, სადაც გარეთ, ქუჩაში უკვე გამოლაგებული იყო მოპარულ-ნაქურდ-ნაძარცვი... პატრონებმა იცნეს თავეთი კუთვნილებანი...

ყარიბა დააჯილდოეს, მისცეს კარგი სამსახური. დაბინავდა იმავ ქალაქში.

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის ფონდიდან*

ახალციხელი

**ნიკო ასათიანი,**

6 მარტი, 1935 წელი.

*ე 3133*

მოგვაწოდა **გრიშა ჯვარიძემ** და **ლევან ლაფაჩმა**

---

1 აბდახი – სიცოცხლის გზა

2 გორჯოლო – (ჯავახ.) გაუთლელი, უსწორ-მასწორო ქვა

# ივანე როსტომაშვილი და მესხეთი

ივანე როსტომაშვილი – მწიგნობარი, ჟურნალისტი, რედაქტორ-გამომცემელი, პედაგოგი, განმანათლებელი, ენციკლოპედისტი და საზოგადო მოღვაწე – XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო. იგი აქტიურად მოღვაწეობდა სხვადასხვა სფეროში, დააფუძნა და წლების მანძილზე რედაქტორობდა ჟურნალ „*მოგზაურისა*“ და გაზეთ „*სინათლეს*“. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა კახში, ზაქათალაში, თელავსა და ახალქალაქში. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, იყო ავტორი სასკოლო სახელმძღვანელოების („*ქართული ანბანი – ოჯახში, სკოლაში და ხალხში სახმარებელი*“, „*არითმეტიკული ამოცანები სახალხო სკოლებისათვის და მშობლებისათვის*“) და დამხმარე საკითხავი წიგნებისა. მისი რედაქტორობით გამოიცა რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი (უწოდა „*სალარო ცოდნის*“). მას ეკუთვნის პირველი სახელმძღვანელოები პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, რომლის შესავალი წერილის ავტორია შალვა ნუცუბიძე და ა.შ. ასეთი მრავალმხრივი მოღვაწეობის გამო ილია ჭავჭავაძემ მას „*ჩვენი ფუტკარი*“ უწოდა.



ელისაბედ ჩოლოყაშვილი და ივანე როსტომაშვილი

ივანე როსტომაშვილი იმ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც წლების განმავლობაში მოუხდათ საქმიანობა სამცხე-ჯავახეთში. მან თავისი მოღვაწეობით მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებაში და ეროვნული ცნობიერების დაცვაში. უნდა აღინიშნოს, რომ მას სამცხე-ჯავახეთში ორ სხვადასხვა პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, პირველად 1889-1894 წლებში. იგი მივლინებული იქნა ახალქალაქის საქალაქო სკოლის ინსპექტორად. იმ პერიოდში ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას: – „**ივანე როსტომაშვილმა ჯავახეთში ჩასვლისთანავე მიზნად დაისახა იქაური დაბეჩავებული ხალხის უმეცრებასა და სიდუხჭირეში ყოფნის წინააღმდეგ ბრძოლა. ხელი მოჰკიდა მოსახლეობაში სახალხო განათლების დანერგვას, ქართული ენის აღდგენა-დაცვა-შენარჩუნებას**“ (*დ. კოჟორიძე, „განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში“, გვ.172*). იგი ჭირისუფლად მოევლინა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას, კერძოდ, მის სახელთან არის დაკავშირებული ჯავახეთის ძველი ისტორიული ძეგლების გადარჩენა. „**მან ფოტოაპარატით მომარჯვებულმა შემოიარა საქართველოს ეს უძველესი მხარე, რომელიც იმ ხანებში, გარეშე და შინაური მტრებისაგან გაძარცვული, უნუგეშო მდგომარეობაში იყო და თვითმპყრობელობის მიერ ამ მხარეში ჩამოსახლებული უცხო ტომელებისაგან ნადგურდებოდა მისი ისტორიული ძეგლები. ფეხით თუ ცხენით შემოიარა მთელი კუთხე. გაეცნო ზეპირსიტყვიერებას. გარდა იმისა, რომ იზრუნა მათ გადარჩენაზე, მოახერხა მათი ფოტოგრაფირება. აღწერა ნასოფლარები, ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები, შეკრიბა მდიდარი ისტორიული და არქეოლოგიური მასალა. მთელი ეს მასალა 1898 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა კრებულში. მის არქეოლოგიურ აღწერილობას იმთავითვე მაღალი შეფასება მისცეს დიდმა მეცნიერებმა და მოღვაწეებმა: ექვთიმე თაყაიშვილმა, მოსე ჯანაშვილმა და ილია ალხაზიშვილმა. იმავე წელს კრებული გამოიცა ქართულ ენაზეც**“ (*ბესარიონ ღოღობერიძე, ივანე როსტომაშვილი, „განმანათლებლობა საქართველოში*“). თავისი მრავალმხრივი საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის განათლებასა და ეროვნული ცნობიერების გაძლიერებაში. 1894 წელს ივანე როსტომაშვილმა, თავის ოჯახთან ერთად, იძულებით დატოვა ახალქალაქი.

XX საუკუნის დასაწყისში ივანე როსტომაშვილს კვლავ მოუწია სამცხე-ჯავახეთში დაბრუნება. 1917 წლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში ახალქალაქის საქალაქო სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა. ახალქალაქელებმა მის პირველ დირექტორად ივანე როსტომაშვილი მოითხოვეს. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მისი დიდი მეგობარი **ილია ალხაზიშვილი** იყო (ის ჯავახეთში წლების განმავლობაში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას). ჯავახეთის მოსახლეობა კი სიხარულით შეეგება ყოფილ მასწავლებელსა და მზრუნველს: – „**ხერთვისში ეტლითა და ცხენოსანი რაზმით დახვდნენ. ახალქალაქში კი მხრებზე შესმული შეიყვანეს**“ (*ილია მაისურაძე, ივანე როსტომაშვილი, ს.ჯ.ი.ს.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე N17, საქმე 56).* იგი დიდი მონდომებით შეუდგა ახალი გიმნაზიის ჩამოყალიბებას, შეეცადა მისთვის შეექმნა ნორმალური პირობები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ პერიოდში როსტომაშვილის მოღვაწეობა რთულ ვითარებას დაემთხვა. კერძოდ, მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. სომხეთის ნაციონალისტური პარტიის „დაშნაკ-ცუტუნის წარმომადგენლებმა ცეცხლი წაუკიდეს გიმნაზიის შენობას. სწორედ იმ დროს განადგურდა როსტომაშვილის ბიბლიოთეკა და ხელნაწერები. იგი ერთი წელი მუშაობდა ახალქალაქის გიმნაზიის ინსპექტორად.

ივანე როსტომაშვილი, თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობიდან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობდა მესხ მოღვაწეებთან. მათთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია ამ კუთხიდან გამგზავრების შემდეგაც. ამ მხრივ მდიდარი და საინტერესო მასალაა დაცული სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა და იქვე არსებულ ილია მაისურაძის ფონდებში, იმ პერიოდის პერიოდიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ივანე როსტომაშვილისა და ივანე გვარამაძის თანამშრომლობა. როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა, მათ ახლო მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდათ. შეიძლება ითქვას, რომ ივანე გვარამაძე მისი უფროსი მეგობარი და მრჩეველი იყო. ივანე როსტომაშვილმა როდესაც ლექსიკონზე დაიწყო მუშაობა, ივანე გვარამაძემ არ დაიზარა და საჭირო რჩევა-დარიგებები მისცა. ერთ-ერთ წერილში სწერდა: „**ძლიერ კარგი იქნება რაც ეკლესიებს აღნიშნამთ მაგ თქვენ ლექსიკონში, მას წარწერებსაც მოუძებნით და იმასაც ზედ მიაწერთ. მაშინ უფრო სარგებელი იქმნება ჩვენი დაბნეული ხალხისათვის. ხომ კარგად მოგეხსენებათ, ძლიერ ცოტა ცნობები გვაქვს ჩვენის ქვეყნისა და მცირეოდენი, რაც გვაქვს, მაინც სისრულით დაიწეროს ობოლ მარგალიტსავით ხელიხელ საგოგმანებლად.**“ მიუთითებდა, რომ ლექსიკონში დაემატებინა ვარანტა (ხიზაბავრის ტერიტორიაზე ცივი წყლითა და ქარების გასაკურნი აბანოთი ცნობილი), ვარხანი, ვარდისციხე და ა.შ *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ N1833, ივ გვარამაძის წერილი ივანე როსტომაშვილისადმი).*

ივანე როსტომაშვილი ერთ-ერთ წერილში მადლიერებას გამოსთქვამდა მისი უანგარო დახმარებისათვის: „**დიდათ გმადლობთ მასალების მოწოდებისათვის. ოღონდ თქვენ, რაც ჩვენს ქვეყანას შეეხება, ყოველი მომაწოდეთ და მე ყველას დავბეჭდავ. ჯერ ასო ვინზე მომაწოდეთ, რადგანაც ამ რიგზე დავბეჭდავ და მერე სხვა იყოს**“ (*ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ N1853, ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი).*

ივანე როსტომაშვილს ივანე გვარამაძე იმთავითვე მიაჩნდა ქართველი ერის საპატივსაცემო პიროვნებად. ამიტომაც იყო, რომ ლექსიკონზე მუშაობისას გადაწყვიტა მასზე საჭირო მასალები შეეკრიბა და შეეტანა. ბიოგრაფიული ცნობების მიწოდება კი პირადად მას სთხოვა. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „**ერთი პატარა სათხოვარი მაქვს და იმედია შემისრულებთ. რამდენიმე თვის შემდეგ შევუდგებით ასო განზე ლექსიკონის შედგენას და იქ, სხვათა შორის, თქვენი გვარი და ბიოგრაფია უნდა ჩაურთო. გთხოვთ რამდენადაც შეიძლება, გულახდილად თქვენი ცხოვრების არწერა მოგვაწოდოთ... ნუ დამერიდებით, ისე დასწერეთ, ვითომ ყველაფერს მაგას ვინმე სხვა სწერს თქვენზე**“ *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ N1840, ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი)*. როგორც მათი მიმოწერიდან ჩანს, ივანე გვარამაძემ თხოვნა შეუსრულა და მიაწოდა თავისი ბიოგრაფია. მისი მოთხოვნით ასევე მიაწოდა ცნობები თავისი გვარის გამოჩენილ ადამიანებზე. შეიძლება ითქვას, რომ ივანე გვარამაძე აქტიურად თანამშრომლობდა მასთან ლექსიკონის სამივე წიგნზე მუშაობის პერიოდში, სამცხე-ჯავახეთის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მხოლოდ მან მიაწოდა ანბანის თითქმის ყველა ასოს შესახებ. „**აი ახლა პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა ჩემის ლექსიკონისა, მესამე წიგნს ასო ვინზე მალე დავიწყებ და ეს თქვენი ცნობები ასო განისთვის დამჭირდება. თუ რამ ცნობებს გამომიგზავნით ასო ვინზე, დიდის სიამოვნებით დავბეჭდავ ამ მესამე წიგნში. მაგალითად სოფელ ვალის შესახებ და სხვა**“ *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ N1847, ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი).* სწორედ არაერთი ასეთი შინაარსის წერილი ასაბუთებს მათ ურთიერთთანამშრომლობას.

ივანე როსტომაშვილი, თვითონ უაღრესად განათლებული პიროვნება, სწორად აფასებდა მესხი მოღვაწის საქვეყნო საქმიანობას, მის მუხლჩაუხრელ შრომას თავისი კუთხის საკეთილდღეოდ და ცდილობდა მხარში ამოსდგომოდა, რითაც კი შეიძლებდა. კერძოდ, მათი მიმოწერიდან ჩანს, რომ დახმარებას უწევდა და ერთგვარად აგვარებდა თბილისში ივანე გვარამაძის საქმეებს გამომცემლებთან და სხვადასხვა პირებთან. 1898 წელს აცნობებდა, რომ სვეტიცხოვლის განახლების კომიტეტი მისი წიგნის (არ ჩანს რომელ წიგნზეა საუბარი. ნ.ყ.) გამოცემას იმ პირობით დაეთანხმებოდა, თუ იგი წიგნებს შესწირავდა მათ სასარგებლოდ. იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას წიგნის გაყიდვის თაობაზე მაღაზიებთანაც. მისი პატივისცემით არ ერიდებოდა შეწუხებასა და უსიამოვნებებს (*ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ N2045, „ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი“).* ერთ-ერთ წერილში კი ატყობინებდა, რომ ცენზურამ უკან დაუბრუნა მისი ხელნაწერი იმის გამო, რომ წვრილად იყო ნაწერი და ვერ წაიკითხეს. „**რას გვიბრძანებთ, მანდ მოგართვათ გადასაწერად, თუ აქვე გადავაწერინოთ ფასით**“, – წერდა ივანე როსტომაშვილი (*ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ N1841, ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისა*დმი). ამდენად, თვითონ მრავალმხრივი მოღვაწე და ყოველთვის მოუცლელი, დროს მაინც პოულობდა მესხი მოღვაწის დასახმარებლად.

ივანე როსტომაშვილს ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჯავახეთში მოღვაწე ცნობილ აფთიაქართან და საზოგადო მოღვაწესთან **ილია ალხაზიშვილთან.** იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონდა, რომ ივანე როსტომაშვილი, მის სხვა კეთილისმსურველებთან ერთად, დაინტერესებული იყო მისი დაოჯახების საკითხითაც. მისი დაოჯახება საზოგადო საქმედ მიაჩნდა. წერილიც კი გაუგზავნა **ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს** ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით **მ. გოგოლაძე** სამართლიანად დაასკვნის: „**ამ ეპიზოდიდან ცხადად ჩანს, რომ ქართველი საზოგადო მოღვაწეები ყველაზე პირადული საქმეების გადაწყვეტის დროსაც კი, უპირველეს ყოვლისა, საქვეყნო ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ**“ *(მ. გოგოლაძე, „ილია ალხაზიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, გვ. 28, 2007).*

შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ 1917 წელს ახალქალაქის გიმნაზიის დირექტორად სწორედ ილია ალხაზიშვილის წინადადებით იქნა იგი მიწვეული. შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სწორედ ეს ორი მამულიშვილი იყო დაუზოგავად რომ ირჯებოდა ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის განათლებისა და კულტურული დაწინაურებისათვის.

**ნატო ყრუაშვილი**

# კონკურსი ესეებში



ჟიური

აფასა და საუკეთესო სამი ნაშრომი გამოავლინა. პირველ ადგილზე გავიდა ახალციხის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე სალომე გიორგაძე, რომელსაც მერიამ საჩუქრად გადასცა 200 ლარი; მეორე ადგილი წილად ხვდა ვალის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეს ნინო მანველიშვილს, რომელსაც 150 ლარი გადაეცა, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ახალციხის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ ელენე თარხნიშვილმა და  გადაეცა 100 ლარი.



სალომე გიორგაძე



კონკურსანტები ჟიურის წევრებთან

ახლახან ქალაქ ახალციხის მერიის (მერი ზაზა მელიქიძე) ორგანიზებით ჩატარდა ესსეების კონკურსი, რომლის მიზანი მოსწავლეთა შორის წერითი უნარების განვითარების ხელშეწყობაა.

მოზარდებს პირველ ეტაპზე  უნდა დაეწერათ ესსე სახელწოდებით  – „ჩემი მომავალი პროფესია“; მეორე ეტაპზე კი  პრეზენტაციის ფორმით წარმოედგინათ.

კონკურსში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლის 60 მოსწავლე. პირველი ეტაპი ახალციხის პირველი და  მეორე საჯარო სკოლის სამ-სამმა, მეხუთე საჯარო სკოლის ორმა, მესამე  და მეხუთე საჯარო სკოლის, დაბა ვალის მეორე და სოფელ კლდის საჯარო სკოლების თითო მოსწავლემ გაიარა.

კონკურსის მეორე ეტაპი მერიის სააქტო დარბაზში ჩატარდა. გამარჯვებულმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი ნაშრომები, რომლებიც წარმომადგენლობითმა ჟიურიმ შეაფასა და საუკეთესო სამი ნაშრომი გამოავლინა.

ღონისძიების ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეთა შორის მსგავსი კონკურსების ჩატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა შორის როგორც წერის კულტურის ამაღლებას, ასევე მათში არგუმენტაციის უნარის განვითარებას.

თამარ ლობჟანიძე

## მოსე ბექაური



გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც სამწუხარო ამბავი შევიტყეთ – ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 82 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი სახალხო მთქმელი, ასპინძის რაიონის დიდი კოლორიტი, სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი მოსე ბექაური. იგი ყველასაგან გამორჩეული პიროვნება იყო. ალბათ, ბოლო 40 წლის განმავლობაში, საქართველოში არ ყოფილა არცერთი დიდი ფოლკლორული შეხვედრა, რომ მოსე ბექაურს არ მიეღოს მონაწილეობა. იგი, როგორც სახალხო მთქმელი, პირველად დიდმა ვახუშტი კოტეტიშვილმა აღმოაჩინა, როდესაც ქ.ახალციხეში გრანდიოზული ფოლკლორული საღამო მოაწყო. იმ დღიდან მოყოლებული იგი არაერთხელ მოექცა ფართო სამეცნიერო თუ ლიტერატურული საზოგადოების ყურადღების ცენტრში, არაერთხელ გახდა რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატიც.

ცნობილი სახალხო მთქმელის მდიდარ პოეტურ მემკვიდრეობაზე მეტყველებს მის მიერ გამოცემული შესანიშნავი წიგნი: – „დავიფერფლები მე მასთან ერთად...“, რომლის წინასიტყვაობაში გამოჩენილ ქართველ მწერალს გოდერძი ჩოხელს ლამაზად გამოუხატავს ბატონ მოსესადმი თავისი მოკრძალებული დამოკიდებულება და სიყვარულით აღუნიშნავს: „სანამ ეს დედამიწა ღვთის წესზე ბრუნავს, მანამდე არ მოიშალოს საქართველოში ქართული სიტყვა და ქართული საქმე. მე მიხარია, რომ რომელიღაც არაგველის შვილთაშვილი, რომელიღაც არაგველის შვილთაშვილს მოსე ბექაურს, ვულოცავ ქართულ საქმეს, ლექსების კრებულის გამოცემას“...

საარაგვოში დაბადებულმა კაცმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მესხეთის პატარა სოფელში – იდუმალაში გაატარა, აქ შექმნა თავისი დიდი და ლამაზი ოჯახი, აქ, ჩვენს გვერდით, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და აქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი – მისმა მშობლიურმა მესხურმა მიწამ მიიბარა მისი სხეული, თუმცა სული მისი, თავისი ლექსების სახით, თაობიდან თაობას გადაჰყვება,

„ერთი სიკვდილი მე ვერას მიზამს“... – ბრძანებს ბატონი მოსე და მართლაც მის ლექსებს, მის დიდებულ კაფიებს, დრო ვერაფერს დააკლებს.

*გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია*

## ფოლკლორი

***

გლეხკაცი ეუბნება ზარმაც ხარს:
ვაი, რა უქნარა მყავხარ,
არ გიყვარს უღელ-საბელი,
იმდენი არ გიშრომია,
თივა-ბზე ჭამე რამდენიც.

***

ახალციხიდან ამოველ,
პეტაანთ ქალო – ბაბალე.
კრავი-ცხვრიანად გავყიდე,
სამი თუმანი დავთვალე.
სულ აბრეშუმი გიყიდე,
ურიის დახლი დავცალე,
ჩითის კაბები ქალო-ჯან,
გაიძრე, გამოიცვალე.
ზოგი სომხებმა წამართვეს,
ზოგიც დუქანში შევჭამე.

***

ახალციხეში ჩავედი,
პურ-შაქარის საყიდლადა,
მე გემოზე გამოვთვერი
პურის ყიდვის მაგივრადა,
ცარიელი შინ დავბრუნდი,
ცოლი იდგა სატირლადა:
– ყადთან უნდა მიგათრიო,
მოემზადე საჩივრადა.
შენს ცოლობას ისევა სჯობს,
მარტო ვიყო ათწილადა.

***

გუშინ მეწვივნენ სტუმრები –
სიმონ, ანტონა, ლაზარე,
ხინკალი როდი მივართვი,
ხმელი აპოხტი1 ჩავთალე,
წინ ნიორწყალიც დავუდგი:
ჭამეთ, დროება ატარეთ.

***

თავმჯდომარედ მოგვივიდა
კაცი ბრიყვი, უცნაური,
კაბინეტში გაიჭიმა,
ვითომც იყოს აქაური.
ვიღაც ქალი მოათრია,
თავის გულის ნანდაური.

***

ცოლმა ნახირში გამგზავნა,
უცებ, დავბრუნდი დილითა,
ქალი ერდოზე დამიხვდა,
ლამის გამგლიჯა კბილითა:
– ეს როგორ მალე მოშავდი,
თვალებს დაგათხრი ფრჩხილითა!
– შენ რაღა ჰქენი ქალო-ჯან,
ლოგინში გდება-ძილითა?
ჩაგიცვამს მოკლე კაბები,
თმაც შეგიღებავს ინითა.

***

ჰეი, მეზობლებო მიშველეთ,
გაჰყინა სიძე-ბატონი,
– გაიხადე და დაჰხურე,
ტელეგრეიკა, პალტონი,
ანდა შინელი მოიტა,
ჯარში რო გქონდა ნაქონი,
თუ უსიძეოდ დარჩები,
ვინ გეყოლება პატრონი?

***

სიმონამ წერა დაიწყო,
ჩემზე ამბობენ ჭორითა,
ნეტავ, ლექსები რად მინდა,
ნუ ყბედობთ ენა-პირითა,
წუთისოფელმა დამჩაგრა,
ენა მიჭირავს კბილითა,
მარა, ცოლი მყავს ლამაზი,
ვარდ-ყვავილია დილითა.

***

კლდემ მოიკრიფა ნისლები,
ველი-მინდორი დაჰფარა,
ფიქრი ოცნებამ დაადნო,
ჯავრმა-გონებამ დაღალა.
თვალი მაქვს შეუშრობელი,
როგორც ფოცხოვი ანკარა,
ჩემმა ცრემლებმა კლდე-ლოდი
ლამის შუაზე გაყარა.
შენ, ჩემო გულის ვარამო,
შენთან მამყოფა აქ არა,
ვარდად გაშლილსა ყვავილსა,
ღმერთო, ერთხელამც შემყარა,
მუდამ სატრფოსთან მამყოფა,
მხოლოდ სიკვდილმა გაგვყარა.

მთქმელი სიმონ კაჭკაჭიშვილი,
ადიგენი, სოფელი არალი, 79 წლის.
ჩაიწერა სოსო გიქოშვილმა 2018 წელს

1 საქონლის გამხმარი ხორცი

## „ლექსო, არ დაიკარგები“!

### ჯვარი გეწეროთ

ცხრა ხეოთელი მესტუმრა, –
ყველას გეწეროთ ჯვარია,
რაც რამ მებადა, დაწრიტეს,
ზედ დააყოლეს ძმარია.

პურის არაყი დალიეს,
როგორც საყევრის წყალია,
საცერი ჩამომიკიდეს
და გაიხურეს კარია.

ქორწილი მექნა, მერჩივნა
ჭობარული და წყნარია,
ხომ დარჩებოდა ბარაქა –
ღვინო, არაყი, ძმარია.

მთქმელი ზაურ ჯვარიძე,
სოფელი ჭობარეთი, 73 წლის

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ  იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.shti@il.co
lit_meskheti@yahoo.com